საქართველოს ეკონომიკური ასოციაციის

საქართველოს ეკონომიკური ასოციაციის

საქართველოს ეკონომიკური ასოციაციის

ეკონომიკური პროფილი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№2, 2007 წელი, იანვარი

მთავარი რედაქტორი:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

რევაზ კაკულია

პასუხისმგებელი რედაქტორი:

პროფ. **ნიკო ჩიხლაძე**

სარედაქციო საბჭო:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

პროფ. **გივი გამსახურდია**
პროფ. **იაკობ მესხია**
პროფ. **მურმან ტურავა**
პროფ. **შოთა ქისტაური**
პროფ. **გიორგი ღავთაძე**
პროფ. **ედუარდ ცირამუა**
პროფ. **ნიკო ჩიხლაძე**

უცხოელი წევრები:

პროფ. **ანატოლი არხიპოვი**
პროფ. **ალიხან დადაშევი**
პროფ. **ანდრესენ რუდიგერი**
პროფ. **ბერნარდ ზიდლერი**

ასოცირებული პროფესორები:

კახა გაბელაშვილი
რამაზ იაშვილი
აკაკი ბაკურაძე
გურამ უფლისაშვილი
ლელა ბახტაძე

დამფუძნებელი:

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი.

რექტორი პროფ. ლელა ქელბაქიანი

4601, საქართველო, ქუთაისი, წერეთლის გამზ. №13

ტელ: +995 331 4 23 73, 4 82 01.

E-mail: kseu@geomail.ge, chixi@mail.ru

http://www.kseu.edu.ge

ფინანსები

1. *რევაზ კაკულია*
ფინანსური ეკონომიკა: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები — გვ. 2

2. *იაკობ მესხია*
არასახელმწიფო ფინანსური კონტროლის ფორმები და ამოცანები — გვ. 5

3. *გიორგი ღავთაძე, ანზა იფშირაძე*
ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ინვესტიციები — გვ. 9

4. *ბორის ჭიჭინაძე*
საქველმოქმედო საქმიანობა და მისი დაბეგვრის თავისებურებანი — გვ. 13

5. *ეძნარ ჯულაყიძე*
დამატებული ღირებულების გადასახადი - აგრობიზნესის მამუხრუჭებელი — გვ. 15

ეკონომიკური პოლიტიკა

6. *იაკობ მესხია, კახა გაბელაშვილი*
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზირების მეთოდოლოგიური საფუძვლები — გვ. 18

7. *ლელა ბახტაძე*
გარდამავალი ეკონომიკა: ახალი ისტორიული ფენომენი — გვ. 24

რეგიონული ეკონომიკა

8. *ნიკო ჩიხლაძე; კახა გაბელაშვილი*
რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფორმირების აქტუალური საკითხები — გვ. 29

მიკროეკონომიკა, მენეჯმენტი

9. *დალი სოლოლაშვილი, ეკატერინე უდესიანი*
საწარმოს სიცოცხლისუნარიანობისა და გაკოტრებისაგან დაცვის სისტემა — გვ. 32

10. *ვაჟა გურაბანიძე*
კარიერის მართვა – ხელმძღვანელობა მემკვიდრეობისა და კარიერის დაგეგმვა — გვ. 36

ბაზრის ფილოსოფია

11. *სოფა ვალიშვილი, ნუგზარ თოდუა*
საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში — გვ. 38

ეკონომიკური აზრის ისტორია

12. *რამაზ ნამიჭეიშვილი*
ნიკო ნიკოლაძე და მისი თანამედროვეები — გვ. 42

13. *რამაზ იაშვილი, თინათინ გუგუშაშვილი*
ნიკო ნიკოლაძე და საბანკო ურთიერთობის განვითარება საქართველოში — გვ. 46

ნობელიანტი ეკონომისტები ——— გვ. 49

ჩვენი ავტორები ——— გვ. 51

ახალი წიგნები ——— გვ. 52

ფინანსები

რევაზ კაკულია

ფინანსური ეკონომიკა: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები

21-ე საუკუნე მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდ სიახლეებს გვპირდება, რომელშიც ეკონომიკის გლობალიზაციისა და ფინანსური ეკონომიკის პრობლემები პირველადი იქნება. ფინანსურ ეკონომიკაში ფინანსები მისი არა მხოლოდ მონაწილეა, არამედ მას ემსახურება და მასში დომინირებს. ფინანსების, როგორც ეკონომიკის შემადგენლის როლი, თანამედროვე ეპოქაში იმდენად აქტიურია, რომ ფაქტობრივად ადგილი აქვს ეკონომიკის ახალ, უმაღლეს ეტაპზე გადასვლას.

„გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფინანსურმა სფერომ უდიდესი ცვლილებები განიცადა. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს საფინანსო შუამავლობიდან მისი ეკონომიკური ცხოვრების წარმართველ ძალად გადაქცევა. საქმე მარტო ის როდია, რომ ფინანსური სფერო სხვა ეკონომიკურ სფეროსთან შედარებით წინმსწრები ტემპებით იზრდება. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტები დაჩქარებული ტემპებით იპყრობენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, იკავებენ იქ გადამწყვეტ პოზიციებს, ხოლო ფინანსური კრიტერიუმები და მაჩვენებლები ულმობლად ავიწროებენ სამეურნეო საქმიანობის სხვა დანარჩენ სფეროებს“[1].

ფინანსურ სფეროში მიმდინარე პროცესები უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ჩვენი მეცნიერი ეკონომისტები მას დღემდე უთმობენ. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რა მოვლენებთან გვაქვს საქმე ფინანსურ სფეროებში, არ კმარა მხოლოდ თანამედროვე ეკონომიკური თეორიის პრინციპებით ხელმძღვანელობა. ამისათვის აუცილებელია ფინანსური ურთიერთობისადმი ისტორიული მიდგომა და მზარდი გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი მოვლენების გათვალისწინება. რაც მთავარია, საჭიროა ეკონომიკური პროცესების პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და საერთაშორისო მოვლენებთან ურთიერთობის ობიექტური ანალიზი[2].

ისმის კითხვა: მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში რამ გამოიწვია ფინანსურ მოვლენათა აღზევება? რას წარმოადგენს თანამედროვე საფინანსო კონგლომერატები და საერთაშორისო ფინანსური ცენტრები?

როცა ლაპარაკია იმაზე, რომ ფინანსებმა შეიძინა ფართო დამოუკიდებლობა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეს სფერო წარმოიშვა კაცობრიობის ფორმირება-განვითარების გარიჟრაჟზე. ფინანსური სფეროს დამოუკიდებლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და თანამედროვე ეპოქაში ჩამოყალიბებულ სიახლეს წარმოადგენს მხოლოდ მისი მასშტაბები, ფორმები და თავისებურებები.

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ფინანსური კაპიტალი მნიშვნელოვანწილად გადაიქცა კაპიტალისტური კვლავწარმოების ორგანულ ნაწილად, თანაც კვლავწარმოება, როგორც ობიექტური რეალობა, მოქცეული იყო ეროვნული სამეურნეო კომპლექსების ჩარჩოებში და მას არ აწუხებდა კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. აღნიშნულის შესაბამისად, ფინანსური კაპიტალი კმაყოფილდებოდა გასაშუალოებული მოგების მიღებით და ფუნქციონირებდა საერთო-სამეურნეო კანონზომიერებათა მკაცრ ჩარჩოებში.

იმის გამო, რომ ფინანსური პროდუქცია ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა ერთგვაროვნებითა და მობილურობით, ფინანსები ყოველთვის აღწევდა განსაზღვრულ განსაზოგადოებას.

მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ადგილი ჰქონდა ფინანსების როლის გაძლიერებას. სწრაფი ტემპით ვითარდება საქონლურ-ფულადი ურთიერთობები; მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად განხორციელდა სამეურნეო ერთეულების ადრე გაუგონარი სპეციალიზაცია და ახალი პროგრესული დარგების ფორმირება და განვითარება; საქონლურ-ფულად ბრუნვაში მოექცა ადამიანთა ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრი ისეთი ასპექტი, რომელიც ადრე არ იყო კომერციალიზებული, მაგალითად, შემოქმედება, კულტურა, რისკი და ა. შ.

ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე ძირეულად შეიცვალა კაპიტალის წარმოების სტრუქტურა და სამეურნეო ცხოვრების ფინანსური უზრუნველყოფა მთლიანად დაეკისრა ფინანსურ ბაზრებს. უფრო მეტიც, საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე არსებითად შეიცვალა ქცევის წესები თავისუფალი ეკონომიკის სასარგებლოდ. კაპიტალთან დაკავშირებულმა ოპერაციებმა აბსტრაქტული ხასიათი მიიღო. მიმდინარეობს არა ინვესტიციების წახალისება, არამედ აქტივებთან დაკავშირებული მომგებიანი გარიგებები. შეწყდა რეალური მოგების მიღების ორგანული კავშირები მატერიალურ წარმოებასა და მომსახურებასთან. ამიერიდან ფინანსები დამოკი-

---

1 რ. კაკულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბ., სერპსკი, 2003, გვ. 103.

2 რ. კაკულია. ფინანსური ეკონომიკა – თანამედროვე ეკონომიკის განვითარების უმაღლესი ფორმა (თეორიული ასპექტები). „საქართველოს ეკონომიკა“, №12 (109), 2006. თბ., გვ. 59.

დებული არ არის ეკონომიკურ ვალდებულებებთან. ფინანსურ ურთიერთობათა თავისუფლება ჩანაცვლებულია ვირტუალური ფულით მაქსიმალური შემოსავლების მიღებასთან.

ძირითადი ფონი, რომელზედაც იშლება ფინანსური ეკონომიკა, წარმოდგენილია სამი ტიპის მაჩვენებლების სახით: სახელმწიფო დავალიანება, კაპიტალის ბაზრების გლობალიზაცია და ფულადი ნიშნების ნაციონალიზაცია.

სახელმწიფოთა დავალიანება ეკონომიკური ზრდის შენელების შედეგია, რომლის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ მეურნეობრიობის თანამედროვე გაძღოლით მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდებისა და მათი გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობაში. დაკარგული წონასწორობის აღსადგენად ხელისუფლები მიმართავენ მრავალნაირი კრედიტის შესაძლებლობებს. განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტის დეფიციტი ნთქავს კერძო დანაზოგების ორ მესამედს, და ამით წარმოების ფულადი რესურსების ეროვნული მეურნეობიდან სახელმწიფო სტრუქტურებში გადაედინება. უფრო მეტიც, ეკონომიკის ზრდის ტემპების დაცემა ბანკების მიერ ფულის შექმნის შემცირებას იწვევს, რომლის კომპენსირება ფულის ეროზიით წარმოებს. გამალებით მიმდინარეობს ბანკის კრედიტის შეცვლა ფასიანი ქაღალდებით. გრძელდება საკრედიტო ეკონომიკიდან ფინანსურ ეკონომიკაზე გადასვლა. ფულადი რესურსების ნებისმიერი მანევრირება ცენტრალური ბანკების მხრივ გარიგებათა გლობალიზაციით მიმდინარეობს. გარიგებებში ერთმანეთს ეჯახებიან სხვადასხვა სავალუტო სფეროს მონაწილეები, ძნელდება კონტროლი, დომინირებს ფარული თუ ღია სპეკულაცია. ელექტრონული ფულის სისტემის გამოყენებით წარმოებს ეროვნული მეურნეობებიდან თანხების ოფშორულ ზონებში გადაქაჩვა.

ფინანსური ეკონომიკა არის ვირტუალური ეკონომიკა კვადრატში აყვანილი. ვირტუალობა აქ ემსახურება ვირტუალობას მთელს წრეზე, იგი მრავალსართულიანია. აქვე ძალაუნებურად გვებადება კითხვა: რას წარმოადგენს რეალობა დღეს? ეს რეალობა ვირტუალიზებული რეალობაა, როდესაც თვით ვირტუალობა არის რეალობა, თუმცა როგორღაც მოციმციმე, მცურავი, ჩქარი. იგი არის ზოგჯერ გამჭვირვალე, ზოგჯერ მოჩვენებითი რეალობა.

ასეთი რეალობა ჯერ უნდა შევიცნოთ. ეს რეალობა ვირტუალური რეალობაა, რაც ფინანსური ეკონომიკის იდენტურია. ფინანსური ეკონომიკის პირობებში ღირებულება თავისუფალი ფრენის რეჟიმშია წარმოდგენილი, როდესაც იგი მიბმული არ არის არც ბუნებასთან, არც კეთილდღეობასთან, არც შრომასთან და არც სამეურნეო მუშაკთან. ღირებულება გამოვიდა მატერიალური კვლავწარმოებითი რეალობის გავლენიდან, პირიქით, ის გვევლინება მათი მაკონტროლებლის როლში. იჭრება რა რეალურ ცხოვრებაში, ღირებულება რეალობას ეგუება, უფრო მეტიც, კარნახობს მას ღირებულებით რეალობას.

ისმის კითხვა: იქმნება თუ არა დღეს ღირებულება მიკროსამეურნეო პროცესების დონეზე? დიახ, იქმნება.

ფინანსური ეკონომიკის საფუძვლის ფორმირების წარმოების ღრმა ტრანსფორმაციული პროცესების შედეგად, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის წიაღში მიედინება. ამის დამახასიათებელი თავისებურებებია:

1. წარმოებით ურთიერთობათა ტრანსფორმაცია, როგორც ეროვნულ მეურნეობებში, ისე მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკურ ურთიერთობებში, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა ფინანსური დომინანტი;

2. თანამედროვე საქონლის ღირებულების განსაზღვრა ფასის მხოლოდ ერთი პარამერტით – შემოსავლიანობით;

3. შემოსავლიანობის, ლიკვიდობისა და რისკის მართვის ჩამოყალიბება ეროვნულ ფინანსურ ბაზრებზე, როგორც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფუნდამენტური საფუძველი, რომელიც დღეს ფინანსური ძალაუფლების არსსა და სტრუქტურას გამოხატავს;

4. ეროვნული ფინანსური ბაზრების გარდაქმნა ღია სისტემებად, რომლებიც ერთიან პლანეტარულ ფინანსურ ბაზარში იყრის თავს;

5. ბიზნესის მთავარი მიზნის ტრანსფორმაცია – კომპანიის ეკონომიკური პოტენციალის მისი ფინანსურ-ეკონომიკურ პოტენციალად გარდაქმნა;

6. სამეურნეო გარემოს ვირტუალიზაცია, რომელიც ეფუძნება ვალის ვალდებულებებს, რომელთა ძირითადი ფორმაა ვადიანი კონტრაქტები;

7. ახალი ეკონომიკური წესრიგის აგრესიული ხასიათი, როგორც პლანეტარულ მასშტაბში ღირებულების გლობალური მართვის ატრიბუტი, მკაცრი მონეტარიზმის განსახიერება.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც, ფინანსური ეკონომიკის ფორმირებას თან ახლავს ფულის ფენომენის ახლებური გააზრების პროცესი. თუ კლასიკოსი ეკონომისტები ფულს გაცვლის ნეიტრალურ და უტილიტარულ საშუალებად მიიჩნევდნენ, ავსტრიელი ეკონომისტი ი. შუმპერტი ფულში ხედავდა საკრედიტო ინსტრუმენტს, ისეთ ფასიან ქარალდს, რომელიც მოხმარების საგნების შეძენის საბოლოო გადახდის საშუალებას წარმოადგენდა. თანამედროვე მკვლევარ-ეკონომისტთა დიდი ნაწილი გამწვავებული საბაზრო ქცევის პირობებში ფულს წარმოგვიდგენს, როგორც დაგროვების საშუალებას და როგორც საქონელს, რომელიც თავის ღირებულებას იცვლის, თუმცა რჩება საბაზრო ღირებულების საზომად. ნებისმიერი ნივთის ღირებულება ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირშია ფულის ღირებულებასთან. ამასთან, უშუალო ღირებულება ჯერაც არ არის საქო-

ნელგაცვლით, ვაჭრობით გადაფარული. ამჟამად ფულს გააჩნია ღირებულების ფორმირების მისთვის დამახასიათებელი დინამიკა.

ფული გამოდის, როგორც გაცვლის ჯერ კიდევ გამოუყენებელი ექვივალენტი, მაგრამ თვითონ განიცდის შეძენის წყურვილს, რომელსაც **ვირტუალურ ღირებულებაში ავლენს**. თანაც, რეალურ სამყაროში ფულს ღირებულება არ გააჩნია. ფულში განივთებული ღირებულებითი შესაძლებლობები იმ გარიგებებში ვლინდება, რომლებშიც იგი ღებულობს მონაწილეობას და რომლებშიც ღირებულება იცვლება ხან ობიექტურად და ხან სუბიექტურად.

მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფასადს მიღმა მიჩქმალულია ფსევდოფულადი კერძო აქტივების ზვავი, რომელიც საგონებელში აგდებს ფულის მიწოდების რეგულირებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. სწორედ ფულადი მასის ასეთი ჭარბით შექმნა სხვა არაფერია, თუ არა კერძო ფულის მასის ზრდა. თითოეულ ეკონომიკურ აგენტს ასეთი ფულის გამოშვებისა და გაყიდვის უფლება აქვს. თუმცა ეს აქტივები როდია მიმოქცევაში არსებული ფულის ერთადერთი სახეობა. თანაც, არავინ არ დავობს იმაზე, რომ ისინი ძალიან დინამიკური საქონელია, რომლის ღირებულება მაღალი ტემპებით იზრდება.

ფინანსური ეკონომიკის თეორეტიკოსებს და პრაქტიკოს აპოლოგეტებს ძალიან აწუხებთ ასეულობით სახის ასეთი აქტივების ცენტრალური ბანკების მხრიდან კოორდინირებისა და კონტროლის პრობლემები. არადა, თვით ფინანსურმა ეკონომიკამ წარმოშვა კოლოსალური ოდენობის ვალდებულებები, რომელთა გადასახდელად კაცობრიობის მიერ შექმნილი მთელი საქონლური მასაც კი არ იკმარებს. მსოფლიო ეკონომიკაში დომინირებს არა ფულადი, არამედ „ფინანსური ინფლაცია“, რომელიც კაპიტალის თანამედროვე ინდუსტრიის წიაღში ჩაისახა.

მსოფლიო ფინანსურმა სამყარომ მოითხოვა ფულადი სისტემების გლობალური რეგულირება. საბაზრო ქცევა ღრმა ანარქიამ, ხოლო მსოფლიო ფინანსური ბაზრები სისტემურმა კრიზისებმა მოიცვა, რომელთა ხანგრძლივობის პროგნოზირება და წინასწარ განჭვრეტა ვერ ხერხდება.

საფონდო ბირჟებზე ფინანსური პროდუქცია დაკავშირებული არ არის საქონელთან. მისი ღირებულება განისაზღვრება მოთამაშეთა სუბიექტური რეაქციით. ფინანსური ეკონომიკის ყველა სფეროში დომინირებს: გრძნობა, ემოცია, შიში, ინტუიცია. ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიკურ აზროვნებას და მასთან დაკავშირებულ პრიორიტეტებს.

თუ წინა ეპოქებში ფულში გამოხატული მწარმოებელთა კოლექტიური სახე ყოველთვის ხელშეუხებელი და მტკიცე იყო, დღეს მდგომარეობა რადიკალურად არის შეცვლილი. ეროვნული ეკონომიკების უმყარობამ, გაუფასურებამ, უთანასწორო გაცვლამ, ექსპლოატაციამ და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა ფულის სიმტკიცე და სტაბილურობა შეარყია.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ფულის ცნება მტკიცედ დაუკავშირდა „კაპიტალის“ ცნებას. ამასთან, დიდი ხანია კაცობრიბას აწუხებს კაპიტალის შესახებ არსებული დილემა: ყოველთვის აღინიშნებოდა შრომის ექსპლოატაციის, საკუთრებასთან დაკავშირებული სპეკულაციის, ინდივიდუალური რისკის აღზევების საქმეში კაპიტალის „დამსახურება“.

თანამედროვე პირობებში ფულის ფუნქციონირება თვისობრივად და რაოდენობრივად განისაზღვრება გლობალური ვირტუალური კაპიტალით. ფინანსური კაპიტალის ეს ახალი თვისება ძველ თვისებებთან დიალექტიკური შერწყმის შედეგია, რასაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კორპორაციულ-ქსელური ბაზრის განვითარებამ და ტრანსნაციონალური ფინანსური კორპორაციების შერწყმის პროცესმა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ფასეულობათა საზომად და კორპორაციულ-ქსელური ბაზრის ამძრავად გამოდის ვირტუალური კაპიტალი (განსაკუთრებული სახის ფინანსური კაპიტალი), რომელიც მიმალულია ვირტუალური ფულის მიღმა.

სწორედ ამით არის განპირობებული ფულის გადაქცევა ვირტუალურ ფულად, როგორც მისი ტექნოლოგიური ბუნებით, ისე სოციალური ფორმითაც.

ამასთან, ვირტუალური ფული გარდაიქმნება განსაკუთრებულ ფინანსურ-სუპერ-საყოველთაო ექვივალენტად. საბოლოოდ ვირტუალური კაპიტალი, როგორც „ქსელური ბაზრის“ სუპერ-საყოველთაო ექვივალენტი, იძენს საყოველთაო ნახევარ-სტიქიური რეგულატორის განსაკუთრებულ როლს, რადგანაც იგი კომპანია-ქსელის ღირებულების უნივერსალური “შემფასებლის“ როლში წარმოგვიდგება.

ფინანსური ეკონომიკის სრულყოფილი განვითარების პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდის, განვითარებული ეკონომიკის სახელმწიფოთა ბანკებისა და უმსხვილესი ფინანსური კორპორაციების გაძლიერების შედეგად სულ უფრო სუსტდება ეროვნულ სახელმწიფოთა მარეგულირებელი ფუნქცია და პარალელურად იზრდება საერთაშორისო ფინანსურ სტრუქტურებში ვირტუალური კაპიტალის მოცულობა, რომელიც ემსახურება უშუალოდ ფინანსური ეკონომიკის ავტორიტეტის ამაღლებას.

ამრიგად, ფინანსურმა ეკონომიკამ წარმოშვა ვირტუალური ფული – კაპიტალი, როგორც კონტროლს დაუქვემდებარებელი კორპორაციათა სუპერ-ქსელი სუპერ-საყოველთაო ექვივალენტისა, რომელიც ოქროს, როგორც ბაზრის უნივერსალური რეგულატორისა და სტაბილიზატორის ნაცვლად გამოდის.

იაკობ მესხია

ფინანსები

არასახელმწიფო ფინანსური კონტროლის ფორმები და ამოცანები

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარდა შეიძლება განხორციელდეს ორგანიზაციების დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება, რომელსაც დასავლეთის ქვეყნებში საუკუნოვანი ისტორია აქვს, ხოლო საქართველოში მას საფუძველი ჩაეყარა 15-ოდე წლის წინ „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ სახელმწიფო კანონის მიღებით.

საქართველოში აუდიტორულ შემოწმებას ანუ აუდიტს ატარებენ აუდიტორული ფირმები და დამოუკიდებელი აუდიტორები სამეურნეო სუბიექტის, სამეწარმეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის, აგრეთვე საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აუდიტი ტარდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში (სავალდებულო აუდიტი) და სუბიექტის ინიციატივით (საინიციატივო აუდიტი). სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე აუდიტის ჩატარების უფლება აქვთ ლიცენზირებულ ფირმებს და ატესტირებულ აუდიტორებს. ლიცენზიას შესაბამისი დებულების თანახმად გასცემს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო. ლიცენზიები ცალ-ცალკე მიეცემათ: საბანკო აუდიტს, სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტს, საბაჟო, სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტს, ზოგად აუდიტს.

ნებისმიერი სახის აუდიტის ამოცანაა საჯარო ბუღალტრული აღრიცხვის შემოწმება და მისი სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება. საჯარო ბუღალტრული აღრიცხვა მოიცავს აუდიტორულ დასკვნას, ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშს, სხვა საფინანსო და ბუღალტრულ ანგარიშგებას, რომლებიც არ შეიცავენ კომერციულ საიდუმლოებას და გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებლისათვის წარსადგენად და პერიოდულ პრესაში გამოსაქვეყნებლად. საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებლები არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის შედეგებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები.

არასახელმწიფო ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ აგრეთვე კომერციული ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები. ისინი ახდენენ წინასწარ და მიმდინარე კონტროლს ფულადი ოპერაციების ჩატარებისას დოკუმენტების შემოწმების მეშვეობით, აგრეთვე კრედიტის მიღებაზე უფლებების დადგენის და სხვა მექანიზმების გამოყენების გზით. კრედიტის გაფორმებისას ბანკი ამოწმებს სესხების საბრუნავი საშუალებების მოცულობას, მისი სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლებს. კრედიტის მიწოდებისას ბანკი ამოწმებს აგრეთვე კრედიტის მიმღების მატერიალურ-სასაქონლო მდგომარეობას. ბანკი კრედიტის მიმღების ეკონომიკურ მდგომარეობაზე მონიტორინგს ატარებს მანამ, სანამ არ დაიფარება გაცემული სესხი. ბანკს შეუძლია უარი უთხრას კრედიტის გაცემაზე იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, თუ მისი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია, არასტანდარტულია და არაა მასზე საბაზრო მოთხოვნა. ბანკს უფლება აქვს აგრეთვე გააკონტროლოს მის მიერ გაცემული კრედიტის მიზნობრივი ხარჯვის მდგომარეობა.

„კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად კომერციული ბანკი და სხვა საკრედიტო დაწესებულებები ვალდებულნი არიან ჩაატარონ შიდა ფინანსური კონტროლი. ამ მიზნით ისინი იწვევენ დამოუკიდებელ აუდიტორს ანგარიშებისა და აღრიცხვის სწორად წარმოების, წლიური ანგარიშის შედგენის საქმეში დახმარების აღმოსაჩენად, აგრეთვე ბანკის საფინანსო-საანგარიშგებო ინფორმაციის შესახებ აუდიტორული დასკვნის მისაღებად. მათი ფუნქციაა აგრეთვე ინფორმაციის მიღება და გაანალიზება ბანკის ან მისი შვილობილი ორგანიზაციის მოსამსახურის ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედებების და ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო ან საოპერაციო საქმიანობაში ისეთი დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ, რომლებმაც შეიძლება მატერიალური ზარალი მიაყენოს ბანკს და მის შვილობილ ორგანიზაციას.

ამ ბოლო პერიოდში სულ

უფრო მნიშვნელოვანი ხდება საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლი. იგი ხორციელდება სახელმწიფოს ჩარევის გარეშე სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოიპოვებენ, აანალიზებენ და განაზოგადებენ ინფორმაციას სახელმწიფოს მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის შესახებ. საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებამ გზა გაუხსნა სიტყვის თავისუფლებას, რამაც შეუქმნა პირობები ბეჭდვით და ელექტრონულ მასმედიას მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ კონტროლში. ასევე, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მრავალფეროვნება ქმნის შესაბამის ნიადაგს ფინანსურ კონტროლში მათი მონაწილეობისათვის. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში საქართველოში შეიქმნა უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და ა. შ.) აქტიურად ადევნებენ თვალყურს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების კანონიერი და მიზნობრივი გამოყენების საკითხებს.

საზოგადოების ფართო ფენების ფინანსური კონტროლის სისტემაში ჩართვას კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასტიმულირებს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ პრაქტიკაში გატარებული გამჭვირვალობის პრინციპი. გარდა იმისა, რომ პალატის მიერ ჩატარებული რევიზია-შემოწმებების აქტები ხელმისაწვდომია ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირისათვის (პერიოდული პუბლიკაციები ჟურნალ „ფინანსურ კონტროლში“, პალატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე), პალატა აგრეთვე ინფორმაციას წარადგენს საქართველოს პარლამენტში, ინფორმაციები ეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, სამინისტროებს და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, რაც ზრდის საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხსა და მასშტაბს.

ამრიგად, ფინანსური კონტროლის განხორციელების უფლება საქართველოში მრავალ სახელისუფლებო და დამოუკიდებელ სტრუქტურას გააჩნია, თუმცა დღემდე ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი მაორგანიზებელი სტრუქტურა და არაა სათანადო დონეზე გამიჯნული მაკონტროლებელი სუბიექტების უფლებები და მოვალეობანი. ასევე, მკაფიოდ არაა დადგენილი თითოეული მათგანის როლი და ადგილი კონტროლის სისტემაში, რის გამოც ჯერ კიდევ დაბალია ფინანსური მონიტორინგის ეფექტიანობა. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დგას სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ერთიანი, კოორდინირებული სისტემის შექმნის, მასში შემავალი თითოეული მაკონტროლებელი სტრუქტურის უფლებებისა და მოვალეობების მკაფიოდ გამიჯვნის აუცილებლობა. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია „სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონის შემუშავება და მიღება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ზემოაღნიშნული არასახელმწიფო ფინანსური კონტროლის ფორმებს შორის სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აუდიტორული შემოწმება. საქართველოში აუდიტორულ საქმიანობას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იან წლებში, რომლის სამართლებრივ ბაზას, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ". 2005 წლამდე ამ კანონის თანახმად ნებისმიერი სახის სამეურნეო სუბიექტისათვის სავალდებულოს წარმოადგენდა აუდიტორული შემოწმების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის წარდგენა საგადასახადო სამსახურში. თუმცა 2005 წელს მთავრობის ინიციატივით გაუქმდა აუდიტის სავალდებულოდ ჩატარების მოთხოვნა მეტწილ სამეურნეო სუბიექტებისათვის იმ მოტივით, რომ აუდიტი კორუფციის პოტენციურ წყაროს წარმოადგენდა. ფაქტობრივად უწინ არსებული აუდიტის უნივერსალური მოთხოვნა განაპირობებდა დაბალი ხარისხისა და დიდი რაოდენობის აუდიტორული შემოწმებების განხორციელებას მნიშვნელოვნად დაბალ ფასად, რამაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა კორუფციულ გარიგებებს. ამჟამად მოქმედი კანონის თანახმად მხოლოდ ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს და სააქციო საზოგადოებებს მოეთხოვებათ აუდიტორული შემოწმების ჩატარება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2005 წლის კანონმა ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყანაში არსებული ბიუროკრატიული ბარიერების შეზღუდვა, გააუქმა სავალდებულო აუდიტის განსახორციელებლად საჭირო ლიცენზიის მოპოვების აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის რეგულირება რაიმე ნორმატიული აქტით არ ხორციელდება და ნებისმიერ კომერციულ სტრუქტურას შეუძლია განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა. ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, არაა გამართლებული, რადგან აუცილებელია რაღაც მინიმალური მოთხოვნების მაინც დაწესება სავალდებულო აუდიტორული მომსახურე-

ბის გაწევასთან დაკავშირებით.

ამჟამად საქართველოს პარლამენტში განხილვის სტადიაშია ახალი კანონპროექტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის შესახებ", რომლითაც გათვალისწინებულია აუდიტორებისადმი გარკვეული სავალდებულო მოთხოვნა. კერძოდ, კანონპროექტი მოითხოვს, რომ აუდიტორს უნდა გააჩნდეს პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნა, იგი უნდა იყოს პროფესიული ორგანიზაციის სერტიფიცირებული წევრი და ორგანიზაცია, რომელშიც იგი არის გაწევრიანებული, თავის მხრივ უნდა იყოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IEAC) წევრი. კანონპროექტის თანახმად ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს, შეაფასოს და მონიტორინგი გაუწიოს აუდიტორების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

კანონპროექტის თანახმად გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის კომისიისა და აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ფუნქციების გადაცემა პროფესიულ ორგანიზაციაზე, რომლებიც კანონპროექტში განსაზღვრულია როგორც რეგისტრირებული ბუღალტრების ან აუდიტორების კავშირები და წარმოადგენენ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სრულუფლებიან წევრებს. სწორედ ამ პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეგისტრაცია. ასეთი მიდგომა ფართოდაა გავრცელებული განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც აუდიტორულ საქმიანობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენს პირობებში კი, როდესაც მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესი და ჯერ კიდევ დიდია კორუფციისა და სხვა ფინანსურ-ეკონომიკურ სამართალდარღვევათა საფრთხე, აუდიტორული საქმიანობის მთლიანად დელეგირება ისეთ დამოუკიდებელ ორგანიზაციებზე როგორიცაა პროფესიული აუდიტორულ-ბუღალტრული კავშირები, ჩვენი აზრით, ნაადრევია. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული კავშირები არ ახდენენ და ვერც მოახდენენ მათი წევრების საქმიანობის ხარისხის კონტროლს და თვით ეს პროფესიული გაერთიანებანი ყოველგვარი მონიტორინგის მიღმა რჩებიან. გამომდინარე ზემოთქმულიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სანამ ქვეყანაში არ ჩამოყალიბდება ორგანიზაციულად და მეთოდურად სრულყოფილი აუდიტორულ გაერთიანებათა ინსტიტუციები, მათზე მონიტორინგი განახორციელოს რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურამ. საუბარია კერძო სექტორზე. რაც შეეხება სახელმწიფო სექტორში აუდიტორულ შემოწმებებს, მისი ორგანიზაციული მეთოდური უზრუნველყოფა საკუთარ თავზე უნდა აიღოს ქვეყნის უმაღლესმა მაკონტროლებელმა ორგანომ – კონტროლის პალატამ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც საჭიროებს დროულად დარეგულირებას მდგომარეობს აუდიტორთა კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორთა საბჭო, რომლის მიერ უკანასკნელ წლებში დაახლოებით 600-მდე კვალიფიციური აუდიტორი იქნა მომზადებული. ამასთანავე, აღნიშნული საბჭო ცალკეულ აუდიტორებზე და აუდიტორულ ფირმებზე გასცემდა ლიცენზიას, თუმცა ეს მოთხოვნა 2005 წელს გაუქმებულ იქნა. მართალია, კანონპროექტი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის შესახებ ითვალისწინებს ახალ მოთხოვნებს, რომლის არსი მდგომარეობს პროფესიული ორგანოს მიერ სპეციალური ბუღალტრული კვალიფიკაციის პროგრამის შემუშავებაში, მაგრამ გაურკვეველი რჩება ის თუ ვინ განახორციელებს მონიტორინგს აუდიტორთა კვალიფიკაციის ხარისხზე.

დღეისათვის საქართველოში დამოუკიდებელი აუდიტორები და აუდიტორული ფირმები ვალდებულნი არიან გამოიყენონ აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ გამოქვეყნებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტებში პერიოდულად შეიტანება ცვლილებები, რომელთა თარგმნა და გავრცელება ქართულ ენაზე ჭიანურდება, რის გამოც დამოუკიდებელი აუდიტორები და აუდიტორული ფირმები დროულად ვერ ერკვევიან აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილ ცვლილებებში, რაც მათი საქმიანობის ხარისხს ამცირებს. ეს ძირითადად შეეხება ადგილობრივ აუდიტორულ ორგანიზაციებს, რადგან მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინგლისურენოვან სტანდარტებზე, ხოლო საერთაშორისო აუდიტორული ფირმების ადგილობრივ ფილიალებს (წარმომადგენლებს) შეუძლიათ ისარგებლონ განახლებული სტანდარტებით და მეთოდოლოგიით. ის გარემოება, რომ ეროვნულ აუდიტორულ ფირმებს უხდებათ საკუთარი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ ხელს უშლის აუდიტის ბაზარის დაპყრობაში და ამცირებს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

შეიძლება ითქვას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების თარგმნის სისწრაფეზე და ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული აუდიტორული საქმიანობის განვითარება საქართველოში. ეს პროცესი უნდა იყოს მდგრადი, მკაფიოდ და ნორმატიულად დარეგულირებული, რათა სტანდარტები დროულად და მისაღებ ფასში მიეწოდებოდეს მომხმარებელს.

აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო, ორგანიზაციული და მეთოდური ბაზა უპირველეს ყოვლისა უნდა იქნას მიმართული აუდიტის ხარისხის ამაღლება-სრულყოფისაკენ. ამავე დროს საჭიროა დაჩქარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც გააგები და აღქმადი იქნება როგორც აუდიტორული საქმიანობით დაკავებული მუშაკებისათვის, ასევე ამ პროფესიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის, მეწარმეებისა და ბიზნესმენებისათვის.

და ბოლოს. როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტი უახლოეს პერიოდში მიიღებს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ", რომლის შედეგად ძალას დაკარგავს საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ". ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ გაუქმდება საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და შესაბამისად შეწყდება აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და მონიტორინგი. დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისა და გლობალიზაციის მასშტაბების ზრდის პირობებში, როდესაც მნიშვნელოვნად მატულობს კორუფციისა და ფინანსურ სამართალდარღვევათა რისკი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიც კი ამკაცრებენ მოთხოვნებს აუდიტორულ საქმიანობაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენს პირობებში რაღაც დონით მაინც შეუნარჩუნდეს სახელმწიფოს აღრიცხვისა და აუდიტის მონიტორინგის ფუნქცია და მისი დელეგირება მოხდეს შესაბამისად ფინანსთა სამინისტროსა და კონტროლის პალატაზე.

ლიტერატურა და წყაროები:

1. მესხია ი. სახელმწიფო ფინანსური კონტროლი: განვითარების კონცეფცია, თბილისი, 2006.
2. Международные стандарты аудита и Кодекс Этики профессиональных бухгалтеров, М.: МЦРСБУ, 2000
3. Аудит Монтгомери, Пер-с англ., Под ред. Я.В.Соколова, М.: Аудит, ЮНИТИ,1997
4. Роденова В.М., Шлейников В.И. Финансовый контроль 6, М.: Пресс, 2002
5. Бычкова С.М. Аудиторская деятельность: теория и практика, Санкт-Петербург, Лань, 2000
6. Стандарты аудиторской деятельности, М.: Книга сервис, 2004

გიორგი ღავთაძე
ანა იფშირაძე

ფინანსები

ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ინვესტიციები

ფინანსური ბაზრის მრავალი განმარტება არსებობს, რომლებშიც აქცენტი ამ ფენომენის ფუნქციონირების ამა თუ იმ ასპექტზე არის გადატანილი. მიუხედავად მიდგომების სიმრავლისა, ყველა ავტორი იზიარებს იმ აზრს, რომ ფინანსური ბაზარი არის განსაკუთრებული საბაზრო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ნაკადების მოძრაობის მართვასა და რეგულირებას. ამ შემთხვევაში იგი გვევლინება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ალტერნატივა, რომელსაც თავისი განსაკუთრებული პრინციპები, მეთოდები და ფუნქციები გააჩნია.

ფინანსური ბაზარი, უპირველეს ყოვლისა, არის კომპლექსური ფენომენი, რომელიც უამრავ მონაწილეს - ფიზიკურ პირს, სახელმწიფოს თუ საბაზრო ინსტიტუტს აერთიანებს. მასში თავს იყრიან ბანკები, საინვესტიციო კომპანიები, საფონდო ბირჟები, სადაზღვევო კომპანიები, სხვადასხვა ფირმები, ინდივიდუალური თუ ინსტიტუციონალური ინვესტორები, რომელთა ინტერესები წარმოდგენილია ფინანსური ინსტრუმენტების როგორც ყიდვის, ისე გაყიდვის მხრივ. ზოგადად, ფინანსური ნაკადების მოძრაობაში სამი მთავარი მონაწილე შეიძლება გამოიყოს: სახელმწიფო, კომპანიები და კერძო პირები. ამასთან, თითოეული მათგანი ინვესტიციურ პროცესში შეიძლება მონაწილეობდეს როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრიდან.

აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეს, იქნება ეს ცენტრალური, ადგილობრივი თუ რეგიონული, თავის საქმიანობის დაფინანსებისათვის უზარმაზარი თანხები სჭირდება. ეს საქმიანობა დაკავშირებულია კაპიტალდაბანდებებთან ისეთი საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობისათვის, როგორებიცაა სკოლები, საავადმყოფოები, საცხოვრებელი სახლები, გზები და ა.შ. ჩვეულებრივ, ასეთი პროექტები ფინანსდება სხვადასხვა სახის გრძელვადიანი სავალო ვალდებულებების - ობლიგაციების გამოშვებით. ფულზე მოთხოვნის სხვა წყაროს წარმოადგენს სახელმწიფოს მიმდინარე საჭიროებები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება მოკლევადიანი ვალდებულებების გამოშვებით. საქართველოში ასეთს წარმოადგენს მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებები. ზოგჯერ, აღმასრულებელი ორგანოები ფულის მიმწოდებლის როლშიც გვევლინებიან.

ხელისუფლების ორგანოების ფინანსური საქმიანობა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხარეზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინანსური ბაზრების ქცევაზე, მაგრამ სახელმწიფო მაინც არის ფულადი სახსრების „წმინდა“ მომხმარებელი - იგი უფრო მეტს ითხოვს (და იღებს კიდევაც), ვიდრე იძლევა.

კომპანიათა უმრავლესობა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ტიპის მიუხედავად, თავისი საქმიანობის ხელშეწყობისათვის დიდი ოდენობით სახსრებს საჭიროებს. მათი ფინანსური მოთხოვნილებები იყოფა გრძელ და მოკლევადიანად. გრძელვადიანი მიზნების რეალიზებისათვის კომპანიებს ფული სჭირდებათ მშენებლობისათვის, მოწყობილობა-დანადგარის შეძენისათვის, ახალი პროდუქციის ათვისებისათვის და ა.შ. მოკლევადიანი მოთხოვნილებები წარმოიქმნებიან სასაქონლო მარაგების უზრუნველყოფის, დებიტორული დავალიანების და სხვა მიმდინარე დანახარჯების გაწევის აუცილებლობასთან დაკავშირებით. სხვადასხვა დანახარჯების დაფინანსების მიზნით, კომპანიები მიმოქცევაში უშვებენ მრავალფეროვან სავალო ფასიან ქაღალდებსა და აქციებს. როდესაც მათ წარმოექმნებათ ფულადი რესურსების დროებითი სიჭარბე, ისინი ამ სახსრებს სხვებს სთავაზობენ. რეალურად, მთელი რიგი მსხვილი კომპანიები ახორციელებენ ნაღდი ფულის ოდენობის მართვის რთულ და აქტიურ სტრატეგიასა და მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების მთავარ მყიდველებად წარმოგვიდგებიან. მაგრამ, სახელმწიფოს მსგავსად, კომპანიებიც საბოლოო ჯამში, მაინც ფულადი სახსრების „წმინდა“ მყიდველები არიან.

კერძო პირები ფულად სახსრებს ინვესტიციურ პროცესს სხვადასხვა საშუალებით აწოდებენ. მაგალითად: შემნახველ ანგარიშებზე ფულის განთავსებით, ობლიგაციების, აქციების, სადაზღვევო პოლისების შესყიდვით, ქონების შეძენით და ა.შ. ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევა საკმაოდ რთული საქმეა და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიზნებს ისახავს ინდივიდუალური ინვესტორი. კერძო პირების ფულზე მოთხოვნა ძირითადად ღებულობს ქონების შესყიდვისათვის სესხების ფინანსირების ფორმას. ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული პროცესის მოცულობა ერთობ დიდია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კერძო პირები მაინც ფულის 'წმინდა“ მიმწოდებლებად გვევლინებიან. ვინაიდან სახელმწი-

ფო და კომპანიები ფულადი სახსრების მყიდველები არიან, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაფინანსებისათვის ფულის მიწოდების საქმეში ინდივიდუალური ინვესტორების როლი ძალიან დიდია.

ცხადია, ზემოთ განხილული სუბიექტების უშუალო კონტაქტი ყოველთვის არ ხერხდება. სწორედ აქ იჩენს თავს სათანადო საბაზრო ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობა, რომლებიც შესძლებენ ოპტიმალურად გაანაწილონ ფულადი სახსრები მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის და აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ემსახურება ფინანსური ბაზარი.

ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების ობიექტურ წინაპირობას ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა წარმოადგენს, რაც სრულებითაც არ ემთხვევა რესურსების მქონე სუბიექტთა ინტერესებს. ამიტომ, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზება და მიზნობრივი გამოყენება ის ძირითადი მისიაა, რომელსაც ფინანსური ბაზარი ასრულებს ეკონომიკისათვის. გარდა ამისა, მის ფუნქციურ დანიშნულებას წარმოადგენს შუამავლის როლის შესრულება ფულის მფლობელსა და მის გამომყენებელს შორის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, 'ფინანსური ბაზარი არის საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობა, როდესაც ფულადი სახსრების ნაკადები მიედინება მესაკუთრეებიდან მსესხებლებისაკენ."[1]

ფინანსური ნაკადების მოძრაობა ხორციელდება მრავალი არხის მეშვეობით, რომლებიც ორი ძირითად ჯგუფად იყოფა. პირველია პირდაპირი დაფინანსების არხები. მათი მეშვეობით ფულადი საშუალებები დანაზოგთა მესაკუთრეებიდან მსესხებლებისაკენ გადადის უშუალოდ, პირდაპირი გზით: კაპიტალდაბანდებები, აქციების შეძენა, სესხები. მეორეა არაპირდაპირი დაფინანსების არხები. ამ დროს ფულადი საშუალებები საოჯახო მეურნეობებიდან კომპანიებისაკენ მოძრაობის დროს გაივლის სპეციალურ ინსტიტუტებს, რომლებსაც ფინანსურ შუამავლებს უწოდებენ. მათ როლში ჩვეულებრივ გვევლინება ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები და ა. შ.[2]

ფინანსური ბაზრის შინაარსში უკეთ გარკვევის საშუალებას მოგვცემს მის მიერ შესრულებული ფუნქციების განხილვა. ისინი ასრულებენ სამ უმთავრეს ეკონომიკურ ფუნქციას:

1. უპირველეს ყოვლისა, მყიდველებისა და გამყიდველების ურთიერთზემოქმედების პროცესში, მიმდინარეობს აქტივების ფასის ფორმირება, ანუ ფასის განსაზღვრა;

2. ფინანსური ბაზარი ინვესტორებს სთავაზობს მექანიზმს ფინანსური აქტივებით გარიგებების განხორციელებისათვის. ამ თვისების გამო, ამბობენ, რომ ბაზარი უზრუნველყოფს ლიკვიდურობას, ანუ აქტივის ფულად იოლად გადაქცევის შესაძლებლობას;[3]

3. მესამე - იგი ამცირებს გასავლებს და ხარჯებს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება დანახარჯების ორი ძირითადი ტიპი გამოვყოთ: საძიებო და ინფორმაციული;

ამრიგად, ფინანსურ ბაზარს საბაზრო ეკონომიკის პირობებში უდიდესი მეურნეობრივი მნიშვნელობა ენიჭება. იგი უზრუნველყოფს წარმოებას სათანადო ინვესტიციური რესურსებით, ქმნის უკეთეს პირობებს მეურნე სუბიექტთა განვითარებისათვის, საშუალებას აძლევს ინვესტორებს მოახდინონ თავიანთი შემოსავლების დივერსიფიცირება და ინვესტიციური პორტფელების მართვა, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასა და მისი მიღწევების დანერგვას, ქმნის პირობებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, თავს უყრის ფინანსურ რესურსებს და განაპირობებს მათ ოპტიმალურ გამოყენებას და ა. შ.

თანამედროვე ეტაპზე, ფინანსური ბაზრებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტენდენციას წარმოადგენს გლობალიზაცია, ანუ მსოფლიოს ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია ერთიან საერთაშორისო ფინანსურ ბაზარში. გლობალიზაციის შედეგად, ნებისმიერი ქვეყნის პოტენციურ ინვესტორებს და ემიტენტებს შეუძლიათ გავიდნენ საკუთარი შიდა ბაზრების ფარგლებს გარეთ. ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის ხელშემწყობ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს:

- ბაზრების ლიბერალიზაცია და მსოფლიოს საკვანძო ფინანსურ ცენტრებში ბაზრის მონაწილეთა აქტიურობის ზრდა;

- ტექნოლოგიური პროგრესი ფინანსური ინფორმაციის შექმნის და გავრცელების, შეკვეთების შესრულების და ფინანსური შესაძლებლობების ანალიზის სფეროში;

- ფინანსური ბაზრების ინსტიტუციონალიზაცია;

აღნიშნული ფაქტორები ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და პროცესებზე ზემოქმედე-

---

1 კაკულია რ., ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 2001, გვ. 61

2 უფრო ვრცლად იხილეთ: რ. კაკულია, ლ. ხაბურზანია, ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში (თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები), ნაწ. I, თბ., 1993, გვ. 35-36

3 მეორადი ბაზრის გარეშე, ინვესტორი - სავალო ვალდებულების მფლობელი, იძულებული იქნებოდა მის დაფარვას დალოდებოდა, ხოლო აქციის მფლობელი - კომპანიის იძულებით ან ნებაყოფლობით ლიკვიდაციას.

ბენ, როგორც ცალცალკე, ისე ერთობლივად.

ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობები რეგულარულად ატარებენ ფინანსური ბაზრების სხვადასხვა ასპექტების ლიბერალიზაციასა და დერეგულირებაზე მიმართულ ღონისძიებებს. გლობალური ფინანსური ბაზრის ინტეგრაციას და ეფექტურობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტექნიკური პროგრესი, ტელესაკომუნიკაციო სისტემების სფეროში არსებული მიღწევები, პროგრესი კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში და სხვა. ამგვარად, ინვესტორთა უმრავლესობას საშუალება აქვს გავიდეს გლობალურ ბაზარზე და სისტემატიურად თვალყური ადევნოს თუ რა ზემოქმედებას ახდენს უკანასკნელი ინფორმაცია მისი პორთფელის რისკის მახასიათებლებსა და შემოსავლიანობაზე. ზემოთქმულის გარდა, კომპიუტერული დამუშავების გაუმჯობესებით მზარდი შესაძლებლობები უზრუნველყოფენ შემოსული ინფორმაციის გაანალიზებას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას და განაცხადების სწრაფ გადაცემას წამების განმავლობაში.

ფინანსური ბაზრების გლობალიზაციას ხელს უწყობს ინვესტორთა ორი ძირითადი ტიპის - ინდივიდუალურის და ინსტიტუციონალურის, როლების შეცვლაც. ინდივიდუალური ინვესტორების ბატონობის ეპოქა დამთავრდა და ფინანსურ ბაზრებზე ინსტიტუციონალურ ინვესტორთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს. მსხვილი ინვესტორების გავლენის ზრდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიმჩნევა. ინდივიდუალურისაგან განსხვავებით, ინსტიტუციონალური ინვესტორები უფრო მეტად ათავსებენ თავიანთ აქტივებს საზღვარგარეთ. ეს მათ საშუალებას აძლევს გაიუმჯობესონ რისკის და შემოსავლიანობის მახასიათებლები თავიანთი პორთფელებისა, რომლებიც უცხოელი ემიტენტების ფასიან ქაღალდებს შეიცავენ.

გლობალიზაციასთან დაკავშირებით, საინტერესო სიახლეს აქვს ადგილი თანამედროვე პირობებში. კერძოდ, იზრდება ინტერესი ახლად შექმნილი, მზარდი ბაზრებისადმი. ბევრი სპეციალისტი განიხილავს ასეთ ბაზრებს, როგორც აქტივების გარკვეულ კლასს. ჩვეულებრივ, რისკისა და შემოსავლიანობის თანაფარდობა ამ ბაზრებზე არსებითად განსხვავდება წამყვან ფინანსურ ბაზრებზე ანალოგიური თანაფარდობისაგან, ხოლო მათ ქცევაში (მზარდი ბაზრების ინდექსების თანახმად) არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი კორელაცია ევროპის, ავსტრალიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვადასხვა ინდექსებთან მიმართებაში.

დამოუკიდელად იმისა, წარმოადგენენ ისინი აქტივების ცალკე კლასს, თუ მხოლოდ გლობალური ფინანსური ბაზრის ქვესიმრავლეს, განვითარებადი ქვეყნების ფასიანი ქაღალდების მიმართ ინტერესი იზრდება. სხვადასხვა საკონსულტაციო ფირმების მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან ირკვევა, რომ მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობებისა (უცხოელი აქციონერების მონაწილეობაზე შეზღუდვები, არალიკვიდურობა, პოლიტიკური რისკი, კომპანიების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა), გამოკითხულთა დაახლოებით ორმა მესამედმა, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში, გამოთქვა ასეთ ბაზრებზე თავიანთი პორთფელების 5%-ზე მეტის ინვესტირების სურვილი. აღნიშნულ პერიოდში, მსოფლიოს ინსტიტუციონალური ინვესტორების აქტივების დაახლოებით 0,2% მოდიოდა მზარდ ბაზრებზე, რაც მსოფლიო კაპიტალიზაციის 6%-ს შეადგენდა, ხოლო ქვეყნები, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან, მსოფლიო ერთობლივი პროდუქტის 13%-ს აწარმოებდნენ.[4] ამასთან ეს მდგომარეობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

თანამედროვე ეტაპზე, ფინანსური ბაზრების მნიშვნელობისა და როლის ზრდის გათვალისწინებით, ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ განვიხილავთ საკითხს მათი ეფექტურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ. მსოფლიო ბაზრების კლასიფიცირება და მათი მიმოხილვა ვერ იძლევა საკმარის ცოდნას იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირებმა სათანადო დონეზე შეაფასონ მათი ფუნქციონირება და მუშაობის თავისებურებები. ჩვენი აზრით, ბაზრების ეფექტურობის საკითხის განხილვა აღნიშნულ სიცარიელეს მეტ-ნაკლებად შეავსებს. წარმოვიდგინოთ მდგომარეობა, როდესაც ყველა ინვესტორს აქვს უფასო დაშვება იმ მიმდინარე ინფორმაციამდე, რომელიც პროგნოზირების საშუალებას იძლევა; ყველა ინვესტორი კარგი ანალიტიკოსია; თითოეული მათგანი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საბაზრო კურსებს და სათანადოდ რეაგირებს მათ ცვლილებებზე.[5]

ასეთ ბაზრებზე ფასიანი ქაღალდების კურსი საინვესტიციო ღირებულების შეფასების კარგი საშუალება იქნებოდა. საინვესტიციო ღირებულება წარმოადგენს ქაღალდის მიმდინარე ღირებულებას, მომავალში მასზე მისაღებ შემო-

4 Фабоцци Ф. Дж., Управление инвестициями, М., 2000, стр. 19

5 ფასიანი ქაღალდების კურსი მათი საინვესტიციო ღირებულების ტოლი რომ იყოს, აუცილებელი არაა ბიზრის ყველა ინვესტორი პასუხობდეს ამ სამ პირობას. ერთადერთი, რაც აუცილებელია - ესაა საკმარისი ოდენობის ინვესტორის არსებობა, რომლებიც ამ მოთხოვნებს პასუხობენ. საქმე იმაშია, რომ სწორედ მათ მიერ განხორციელებული ოპერაციებით შეიძლება ფასიანი ქაღალდების არამართებული შეფასებით გამოწვეული მდგომარეობის გამოსწორება, რაც შეუძლებელი იქნებოდა ასეთი ინვესტორების არარსებობისას.

საკლებზე მოთხოვნის ფასის დონის პერსპექტიული შეფასების გათვალისწინებით. შეფასება განხორციელებული უნდა იყოს კარგად ინფორმირებული და უნარიანი ანალიტიკოსების მიერ. საინვესტიციო ღირებულება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ქაღალდის სამართლიანი ღირებულება.

ეფექტური ბაზარი შეიძლება განმარტებულ იქნეს შემდეგნაირად: აბსოლუტურად ეფექტური ბაზარი - ეს ისეთი ბაზარია, რომელზედაც თითოეული ფასიანი ქაღალდის ფასი ყოველთვის მისი საინვეტსიციო ღირებულების ტოლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ ბაზარზე თითოეული ფასიანი ქაღალდი ნებისმიერ დროს იყიდება თავისი „სამართლიანი ღირებულებით“. ეფექტურ ბაზარზე ინფორმაცია არის სრული და ახალი ინფორმაცია დაუყოვნებლივ აისახება ფასებზე. ინფორმაციული უზრუნველყოფის მიხედვით ბაზრები შეიძლება დავყოთ: სუსტი (ფასიან ქაღალდებზე აღრინდელი ფასების შესახებ ინფორმაცია), საშუალო (მთელი ხელმისაწვდომი ინფორმაცია), ძლიერი (საერთო მოხმარების მთელი ინფორმაცია და კერძო ინფორმაცია).

შეიძლება მოვიყვანოთ ეფექტური ბაზრის სხვა განმარტებაც: ბაზარი ეფექტურია გარკვეულ ინფორმაციასთან მიმართებაში, თუ ინფორმაციის გამოყენებით შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ისეთი ფასიანი ქაღალდის ყიდვაზე ან გაყიდვაზე, რომელიც ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მოგების ან ზემოგების მიღების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, ეფექტურ ბაზარზე ინვესტორები ინვესტირებისაგან მხოლოდ ნორმალური მოგების და ნორმალური შემოსავლიანობის განაკვეთის მიღებას უნდა ელოდნენ.

ეფექტურ ბაზარზე ნებისმიერი ახალი ინფორმაცია კურსებზე იმავდროულად და სრულად აისახება. ამასთან, ახლად ითვლება მხოლოდ ინვესტორებისათვის მოულოდნელი ინფორმაცია.[6] ვინაიდან, მოულოდნელი შეიძლება იყოს როგორც სასიამოვნო, ისე უსიამო ინფორმაცია, ამიტომ შესაძლებელია, რომ ეფექტურ ბაზრებზე კურსების დინამიკა იყოს პოზიტიურიც და ნეგატიურიც. თუ ინვესტორი ელოდება, რომ ფასიანი ქაღალდის კურსი აიწევს იმ დონეზე, რომ მას საკმარისი შემოსავალი მისცეს (დივიდენდების ჩათვლით), მაშინ ამ მაჩვენებელს ზევით კურსის ცვლილება არ შეიძლება მოულოდნელი იყოს.

რაც შეეხება ირაციონალურ ბაზარს, რომელზეც კურსები არანაირად არ არის დაკავშირებული მათ საინვესტიციო ღირებულებასთან, აქ კურსების რყევა შეიძლება მოულოდნელი იყოს.[7] იმისათვის, რომ სრულყოფილად გავიგოთ ფინანსური ბაზრები, აუცილებელია ბოლომდე ჩავწვდეთ თუ რას წარმოადგენს აბსოლუტურად ეფექტური ბაზრები.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეფექტურ ბაზრებზე ფასიანი ქაღალდის კურსი საკმაოდ ასახავს მის საინვესტიციო ღირებულებას. ამასთან, ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო ღირებულებაში უნდა ვიგულისხმოთ მომავალში მოსალოდნელი შემოსავლის მიმდინარე ღირებულება, რომლის შეფასებაც გაკეთებულია კარგად ინფორმირებული და მაღალკვალიფიციური ანალიტიკოსების მიერ. ქაღალდის კურსისა და მისი ღირებულების არსებითი შეუსაბამობა მიგვითითებს ბაზრის არაეფექტურობაზე. კარგად განვითარებულ თავისუფალ ბაზარზე მნიშვნელოვანი არაეფექტურობა იშვიათი მოვლენაა, ვინაიდან კურსებსა და საინვესტიციო ღირებულებას შორის ძირითადი შეუსაბამობები შემჩნეული იქნება ყურადღებიანი ანალიტიკოსების მიერ, რომლებიც ასეთი აღმოჩენებიდან სარგებლის მიღებისაკენ ისწრაფვიან. ფასიანი ქაღალდები, რომელთა კურსი ღირებულებაზე დაბალია (არასათანადოდ შეფასებული ქაღალდები) შესყიდულ იქნებიან. ეს გამოიწვევს კურსის ზრდას გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადიდების გამო. ფასიანი ქაღალდები, რომელთა კურსიც მეტია ღირებულებაზე (ზედმეტად შეფასებული ქაღალდები), გაიყიდებიან და გამოიწვევენ კურსების დაცემას მიწოდების ზრდის გამო. ინვესტორები, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად ისარგებლონ ბაზრის დროებითი არაეფექტურობით, თავიანთი ქმედებებით გამოიწვევენ ამ არაეფექტურობის შემცირებას. ამიტომ, ნაკლებ ყურადღებიანი და ნაკლებ ინფორმირებული ინვესტორები უკვე ვეღარ შესძლებენ მიიღონ ჩვეულებრივისაგან განსხვავებული, მნიშვნელოვანი მოგება (ზემოგება).

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ში, რამდენიმე ათასი პროფესიონალი და უფრო მეტი მოყვარული ანალიტიკოსი დაითვლება. ამიტომ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ მათი მოქმედების გამო ძირითადი საფონდო ბირჟები უფრო ახლოს დგანან ეფექტურ ბაზრებთან, ვიდრე ირაციონალურთან.

---

6 ყველაფერი, რაც არ არის მოულოდნელი, უკვე წარმოადგენს ინვესტორის მოლოდინის ობიექტს ჯერ კიდევ მოვლენის დადგომამდე.

7 უნდა აღნიშნოს, რომ მსოფლიოს ძირითადი საფონდო ბირჟები არ არის ირაციონალური.

ბორის ჭიჭინაძე

საქველმოქმედო საქმიანობა და მისი დაბეგვრის თავისებურებანი

საქველმოქმედო საქმიანობის რეგულირება ფულად-საკრედიტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ირიბად იგი სოციალურ სფეროსაც ეხება. ჩვენი ქვეყნის ფისკალური კანონმდებლობა ბევრ ხარვეზს შეიცავს, რომლის მოწესრიგება მნიშვნელოვნად აამაღლებს საქველმოქმედო საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება დახმარების გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას ან ადაპტაციას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დახმარებას ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: ინვალიდებისათვის, მოხუცებულებისათვის, ობოლი ბავშვებისათვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის და მათი წევრებისათვის, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულებისათვის, ასევე დახმარება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის. თუ საგადასახადო კოდექსში მოცემული ამ ჩამონათვალით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ მხოლოდ ეს დახმარებები მიიჩნევა საქველმოქმედო საქმიანობად. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ასევე ის, რომ ჩამოთვლილი დახმარებების ბოლოს არ არის გამოყენებული სიტყვები „და ა.შ.“ ან „და სხვა“. ასევე გაურკვეველია საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისათვის ვინ უნდა იქნეს მიჩნეული „ხელმოკლე ფიზიკურ პირებად“, მხოლოდ ის პირები, რომელთა შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე, თუ არსებობს კიდევ სხვა კრიტერიუმები. გამომდინარე აქედან, გაურკვეველია ხელმოკლე ფიზიკურ პირებზე გაწეული დახმარება რა დროს მიიჩნევა საქველმოქმედო საქმიანობად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით ხშირ შემთხვევაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობა, მაგალითად: საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის „ა. ე.“ ნაწილით განსაზღვრული „განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირების“ შემთხვევაში დახმარება მათი ტალანტის განვითარებისათვის ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, მაგრამ საგადასახადო კოდექსში ვერსად ნახავთ განმარტებას თუ ვინ ითვლება საგადასახადო მიზნებისათვის: „განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ფიზიკურ პირებად“. საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის „ა. დ.“ პუნქტით საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება ისეთი საქმიანობა, როცა პირი ახორციელებს საპატრიარქოს თხოვნით, ან მასთან შეთანხმებით ეკლესიის მშენებლობას, ხოლო თუ პირი ეკლესიას აშენებს საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე, მაშინ მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს საქველმოქმედო საქმაინობაზე გაწეულ ხარჯებად ვერ მივიჩნევთ, ანუ ასეთი საქმიანობა საგადასახადო კოდექსით დაიბეგრება, როგორც ღვინით ასევე სხვა გადასახადებითაც.

განსხვავებით უცხოეთის მრავალი ქვეყნის საგადასახადო კოდექსისა, ჩვენთან თუ საწარმოს ხელმძღვანელს უნდა სწავლის გასაგრძელებლად ფულადი დახმარება გაუწიოს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის შვილს, ასეთი საქმიანობა საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად საქველმოქმედო საქმიანობად ვერ ჩაითვლება, გამომდინარე აქედან საწარმოს მიერ გადახდილი სწავლის ანაზღაურება ჩაითვლება პირის მიერ მიღებულ შემოსავლად, რომელიც მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად დაიბეგრება 12%-იანი საშემოსავლო გადასახადით, ხოლო საწარმოს წარმოებაში 20%-იანი სოციალური გადასახადის გადახდის ვალდებულება, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში საწარმოს მიმართ გავრცელდება საგადასახადო კოდესით გათვალისწინებული ჯარიმები და საურავები. სა-

ქართველოს საგადასახადო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად ერთობლივი საქმიანობიდან გამოიქვითება საწარმოს მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაწეული შემოწირულობის თანხა, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვების გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 8%-ისა. გამომდინარე აქედან, თუ ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში საწარმო დაეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შვილს, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ პირს, მაშინ ამ დახმარების თანხას საწარმოს ხელმძღვანელობა ვერ გამოქვითავს ერთობლივი შემოსავლიდან; ასევე ვერ გამოქვითავს საწარმო ერთობლივი შემოსავლიდან იმ თანხას, რომელიც მან გადაუხადა ამ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ერთერთი წევრის ნათესავს შეიარაღებული კონფლიქტის, ავარიის ან სტიქიური უბედურებების დროს.

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისათვის, საჭიროა საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია იქნებოდა საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეული ხარჯების დაბეგვრის დროს, ასევე კარგი იქნებოდა, თუ საგადასახადო კოდექსში „საქველმოქმედო სამიანობა“ და მასთან დაკავშირებული საკითხები უფრო თვალნათლივ, ცალსახად და გასაგებად იქნებოდა წარმოდგენილი.

ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

2. ჩიხლაძე ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2004.

ემზარ ჯულაყიძე

ფინანსები

დამატებული ღირებულების გადასახადი - აგრობიზნესის მამუხრუჭებელი

„საქართველო გახდება ძლიერი აგრარული ქვეყანა“- ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. რაც იმას ნიშნავს, რომ აგრობიზნესი უახლოეს მომავალში ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გადაიქცევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. მათ შორის საყურადღებოა: მოსახლეობისათვის დიზელის საწვავისა და სასუქების ეროჯერადი უფასო გადაცემა; ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ტექნიკის შემოყვანა; ბოსტნეულისა და ბაღჩეული პროდუქტების მწარმოებელ-რეალიზატორების სალარო აპარატის შეძენისაგან გათავისუფლება და მრავალი სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი ღონისძიება, როგორიცაა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი მიწოდება მისი სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლდება. თუმცა აგრობიზნესის განვითარებისათვის მეტი სახელისუფლებო მხარდაჭერაა საჭირო. განსაკუთრებით გაუმართლებელია დღგ-ს ერთიანი საგადასახადო განაკვეთის დაწესება ეკონომიკის ყველა დარგისათვის და მათ რიცხვში აგრო-სამრეწველო კომპლექსისათვის. სასურველი კი არის დღგ-ს დიფერენციაცია და მისადაგება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისათვის, რაც ხელს შეუწყობდა საბიუჯეტო შემოსავლების არა თუ შემცირებას, არამედ საგადასახადო ბაზის გაფართოებას და ამის ბაზაზე სახელმწიფოთა შემოსავლების მოცულობის ზრდასაც კი.

ზოგადად გადასახადები ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. იგი ასახავს სამეურნეო სუბიექტების აქტივობის დონეს. ასე მაგალითად, საქართველოსათვის აგრარული სექტორი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაგრამ სამწუხაროდ დაბალია სამეწარმეო აქტივობა. აგრობიზნესში დასაქმებულებს არა აქვს სათანადო ხელშეწყობა, განსაკუთრებით საგადასახადო დაბეგვრის მიმართულებით.

გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან არის დღგ-ს შეღავათიანი განაკვეთის შემოღება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, განსაკუთრებით პროდუქციის გადამუშავების ეტაპზე, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია: მაგ. ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია და სხვა; აშშ-ს და იაპონიაში დღგ-ს გაყიდვიდან გადასახადის განაკვეთი იმდენად დაბალია (3,5%), რომ მას დარგის მამუხრუჭებელი ფუნქციის შესრულება არ შეუძლია. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყნებში (მაგ: ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) კვების პროდუქტები საერთოდ განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადახდისაგან.

დღგ-ს შეღავათიანი განაკვეთის დაწესება კვების მრეწველობის იმ დარგებში, რომლის საწარმოებლად ადგილობრივი ნედლეულის ბაზა ძირითადად (50%-ზე მეტი მაინც) დღგ-საგან განთავისუფლებული სოფლის მეურნეობის პროდუქციაა, მყარ საფუძველს შეუქმნის ამ დარგის განვითარებას. სხვა შემთხვევაში, აგრობიზნესის სტაბილური განვითარების პერსპექტივა უმნიშვნელო იქნება. საქმე იმაშია, რომ აგროსამრეწველო საწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდეგ დღგ-ს მთელი სიმძიმე (თითქმის 100%) მათ აწვებათ. სხვა სიტყვებით 18%- იანი დღგ-ით დაბეგვრა თუნდაც 20%-იანი რენტაბელობის მქონე საწარმოებისათვის უკვე ზარალის მომტანია (იხ. ცხრილი 1.).

ცხრილი 1.

დღგ-ის გავლენა პროდუქციის მომგებიანობაზე
(18% - იანი განაკვეთის დროს)

სრული თვითღირებულება	გეგმური მოგება	სარეალიზაციო ფასი	დღგ	მოგება + ზარალი -
100	20	120	21,6	-1,6

იგივე შემთხვევაში, თუ დღგ-ს ნორმატივს კვების პროდუქტებზე დავაწესებთ 9% -ის (18 %-ის ნახევარი) დონეზე, მაშინ ვითრება ასე შეიცვლება (იხ. ცხრილი 2.).

ცხრილი 2.

დღგ-ის გავლენა პროდუქციის მომგებიანობაზე (9% - იანი განაკვეთის დროს)

სრული თვითღირებულება	გეგმური მოგება	სარეალიზაციო ფასი	დღგ	მოგება + ზარალი -
100	20	120	10,8	+9,2

რა თქმა უნდა, საგადასახადო კანონმდებლობაში გარკვეული მკითხველი ზემოაღნიშნულის წაკითხვის შემდეგ, მოგვცემს შენიშვნას იმის შესახებ, რომ დღგ არ შედის საწარმოს საბითუმო ფასში (სრული თვითღირებულებისა და გეგმური მოგების ჯამი), მისი დარიცხვა ხდება საბითუმო ფასის ზემოთ და ამ კონკრეტულ მაგალითში სარეალიზაციო ფასი უნდა ყოფილიყო არა 120 ერთეული, არამედ (120+120-ის 18%), ანუ 141,6 ერთეული, რითაც ზემოთაღნიშნული პრობლემა თითქმის მოიხსნებოდა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში კვების პროდუქტების ბაზარზე აგროსამრეწველო კომპლექსს სარეალიზაციო ფასების დაწესებაში სოლიდურ კონკურენციას უწევს კერძო სექტორი და შეიძლება ითქვას ზოგიერთ პროდუქციაზე ეს უკანასკნელი მონოპოლისტის როლშიც კი გამოდის. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების უდიდესი ნაწილი კერძო სექტორში წარმოებული ხორცითა და ფრინველით, ღვინით და არყით, რძის პროდუქტებით, ტომატით, კონსერვებით და მრავალი სხვა პროდუქტებით კმაყოფილდება, საიდანაც ბიუჯეტი ფაქტობრივად ვერაფერს იღებს (რა თქმა უნდა მხოლოდ პირდაპირი გაგებით). თუ კვების მრეწველობის პროდუქტებზე გამოვიყენებთ შეღავათიან დღგ-ს ნორმატივს, შედარებით შემცირდება საოჯახო მეურნეობის ასეთი აშკარა უპირატესობა, სტიმული მიეცემა აგროსამრეწველო საწარმოთა ნამოყალიბებას და ბიუჯეტიც სათანადო შემოსავალს მიიღებს.

აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილოთ ასეთი მაგალითი (იხ. ცხრილი 3.).

ცხრილი 3. **დღგ-ს გავლენა სამეწარმეო შედეგებზე**

მაჩვენებლები	ფერმერი (გლეხი)	მეწარმე	
		არსებულ პირობებში	შემოთავაზებული პირობებით
მატერ. დანახარჯები	50,00	50,00	50,00
შრ. დანახარჯები		30.00	30,00
გეგმური მოგება	50,00	20,00	20,00
სარეალიზაციო ფასი	100,00	100.00	100,00
გადასახადები	-	დღგ- 18,00 სოც.-6,00 მოგების - 0,00	დღგ-9,00 სოც.-6,00 მოგების 1,00
წმინდა მოგება + ზარალი -	+ 50,00	-4,00	+ 4,00

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფერმერისა და მეწარმის წარმოებული პროდუქციისათვის ერთნაირია სარეალიზაციო ფასი და თანატოლია გაწეული მატერიალური დანახარჯებიც (თუმცა შესაძლებელია, რომ მეწარმემ, რომელმაც ეს ნედლეული ფერმერისგან შეიძინა, მეტიც კი დაეხარჯოს, რითაც კიდევ უფრო უარესდება მისი ეკონომიკური

მდგომარეობა. მაგრამ ამას ამ სიტუაციაში არ ვითვალისწინებთ). განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ მეწარმემ ფასის სხვა კომპონენტები უნდა დაყოს შრომით დანახარჯებად და მოგებად, ფერმერისათვის იგი ერთ მაჩვენებლად არის წარმოდგენილი. განსხვავებით ფერმერისაგან მეწარმეს გაცემულ ხელფასზე, მიუხედავად ფირმის მომგებიანობის დონისა მაინც უწევს 20%-იანი სოციალური გადასახადის გადახდა. შედეგად ფერმერმა მიიღო 50 ლარი მოგება. მეწარმემ კი მიიღო ზარალი. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნებოდა თუ ანალოგიურ შედარებას მოვახდენთ აქციზური საქონლის მიხედვით.

შემოთავაზებული ვარიანტით კი (თუ დღგ კვების პროდუქტებზე იქნება 9%), თუმცა მეწარმეს მოგების გადასახადიც დაერიცხება, მას წმინდა მოგება მაინც დარჩება.

ანალოგიური სიტუაციაა საზოგადოებრივი კვების ობიექტებშიც (მათთვისაც ხომ ნედლეული ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციაა). საკმარისია წლიურმა ბრუნვამ გადააჭარბოს 100 ათას ლარს. რაც საშუალოდ დღეში ნიშნავს 300 ლარამდე საქონელბრუნვას, რომ იგი მეორე დღიდანვე ხდება დღგ-ს გადამხდელიც. დასამალი არ არის, რომ ასეთი ფირმები დღგ-საგან თავის არიდების მიზნით. მიმართავენ მის ხელოვნურ დანაწევრებას თითქოს აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, სინამდვილეში კი იმისათვის, რომ თითოეულის ბრუნვა არ გაუტოლდეს წელიწადში 100 ათას ლარს. შედეგად სახელმწიფო კარგავს საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს.

გამოსავალი აღნიშნული სიტუაციიდან, კიდევ ერთხელ არის კვების პროდუქტზე დღგ-ს შემცირებული ნორმატივის დაწესება, რაც თავის მხრივ შეამცირებს გადასახადის გადამხდელსა და ამკრებს შორის კრიმინალურ გარიგებებს, შეამცირებს რეალური ეკონომიკური მონაცემების დამახინჯებას, კონტრაბანდის მასშტაბებს, გაზრდის დასაქმების დონეს და საერთოდ გააფართოებს საგადასახადო ბაზას, რითაც ბიუჯეტი მიიღებს ბევრად მეტს ვიდრე დღეისათვის არსებულ სიტუაციაში.

იაკობ მესხია, კახა გაბელაშვილი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზირების მეთოდოლოგიური საფუძვლები

დღევანდელი მსოფლიო არნახული მეცნიერული, ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციით ხასიათდება. საზოგადოების განვითარების ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის სრულყოფისა და განვითარების ისტორია. ბუნების, მისი ძალისა და რესურსების დაუფლება ადამიანის მიერ მიმდინარეობს მუდმივად, უწყვეტად და იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი პროგრესის კატალიზატორს, აჩქარებს მას და აძლევს თვისებრივად ახალ შინაარს.

კაციობრიობის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ ყველა დიდ მეცნიერულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ აღმოჩენას წინ უძღოდა ამ მოვლენის წინასწარი განჭვრეტა და პროგნოზირება. მეცნიერების განვითარება, ცოდნის დაგროვება თანდათანობით ან აერთბაშად, ნახტომისებურად იწვევდა რევოლუციურ ძვრებს ტექნიკასა და ტექნოლოგიაში.

დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზების შედგენის აუცილებლობა. იგი თავისი როლითა და დანიშნულებით გახდა გლობალური, სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსური პროგნოზის ერთ-ერთი ამოსავალი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირება ნიშნავს მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარების რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების განსაზღვრას უახლოესი და შორეული პერსპექტივისათვის.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზი თავისი ბუნებით კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს შემდეგ სამ ბლოკს:

1. ფუნდამენტალური მეცნიერების პროგნოზი. იგი მოიცავს ბუნების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონებისა და ძირითადი გამოყენებითი ხასიათის კვლევის შედეგების პროგნოზებს;

2. დარგობრივი მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების პროგნოზი. ამ ბლოკში შედის ცალკეული დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა პროგნოზი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროგნოზი;

3. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგების საწარმოო და არასაწარმოო სფეროებში დანერგვის პროგნოზი, აგრეთვე წარმოების და შრომითი ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის პროგნოზი;

მიზნობრივი დანიშნულების კრიტერიუმის მიხედვით განასხვავებენ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზების ორ სახეს: საძიებოს და ნორმატიულს. საძიებო პროგნოზის (მას ხშირად უწოდებენ ტრენდულ, გენეტიკურ, ინერციულ პროგნოზს) ამოცანა მდგომარეობს იმ პრობლემების დროულად გამოვლენაში, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალში მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროცესების განვითარების დროს. ნორმატიული პროგნოზის ამოცანაა გამოავლინოს გზები და მიმართულებები, რომლებითაც შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პრობლემების გადაჭრა პერსპექტივაში. ორივე სახის პროგნოზების ერთიანად შემუშავებით მიიღწევა კომპლექსური მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზის შედგენა.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკა არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი და იგი გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მეცნიერებისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური საქმიანობისადმი, განსაზღვრავს მათ მიზნებს, მიმართულებებსა და განვითარების ფორმებს.

გარდამავალ ეტაპზე, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო, შესუსტდა სახელმწიფოს როლი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისადმი, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია აღნიშნული სფეროს განვითარებაზე. მაგალითად, საქართველოში შემცირდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა რაოდენობა. კერძოდ, 2004 წელს მან შეადგინა 97 დაწესებულება, ნაცვლად 115-ისა 1990 წელს. კლების ტენდენცია დაფიქსირდა მეცნიერ მუშაკთა რაოდენობაში. ეს უკანასკნელი 2004 წელს შეადგენდა 13,3 ათას კაცს, ნაცვლად 25,0 ათასისა 1990 წელს. ამასთანავე, თანდათანობით იზრდება ასპირანტების მიღებისა და გამოშვების რაოდენობა. მაგალითად, 2004 წელს მიღებულ და გამოშვებულ იქნა შესაბამისად 566 და 517 ასპირანტი, ხოლო 1999 წელს აღნიშნული მაჩვენ-

ნებელი შეადგენდა 554 და 596 კაცს. მნიშვნელოვნად იკლო შესრულებულ სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა მოცულობამ, 2000 წლისათვის იგი არ აღემატებოდა 13,6 მილიონ ლარს.[1]

გარდამავალ ეტაპზე მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია საჭიროებს აღნიშნული ეტაპისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებას. მასში უნდა აისახოს ეკონომიკური ზრდის, საბიუჯეტო პოლიტიკის, ინოვაციური და ინვესტიციური სფეროებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მახასაიათებლები. აუცილებელია აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, რომლითაც უნდა იქნეს მიღწეული ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, ინვესტიციური და სხვა სამეურნეო პროცესების ეფექტიანი რეგულირების უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონით „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" განსაზღვრულია ქვეყნის მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკა. სახელმწიფო აღიარებს, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, მათი სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას.

საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ სუბიექტებს წარმოადგენენ ხელისუფლების ორგანოები. საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს (ამტკიცებს) დაფინანსებას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის, განსაზღვრავს პოლიტიკას ამ სფეროში და აკონტროლებს მის განხორციელებას. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წინადადებებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტებისა და მათი განხორციელების პროგრამების (პროექტების) ნუსხას, ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას აღნიშნულ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მეშვეობით. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ხელს უწყობენ და მონაწილეობენ რეგიონული და რეგიონთაშორისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, აფინანსებენ მათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სხვა ფინანსური წყაროებიდან. სამინისტროები და უწყებები სათანადო რესურსებით უზრუნველყოფენ შესაბამის დარგებს და საქმიანობის სფეროებს და პასუხისმგებელნი არიან მათი საქმიანობის ფარგლებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მისი პრიორიტეტების განსაზღვრაში, სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრამების (პროექტების) შემუშავებაში, მათ ექსპერტიზასა და შესრულებაში წამყვანი როლი განეკუთვნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის წამყვან მეცნიერთა გაერთიანებას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებამ ფართო გასაქანი მისცა ქართული მეცნიერებისა და სპეციალისტების საერთაშორისო პროგრამებსა და ფონდებში მონაწილეობას, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყანაში მეცნიერების განვითარებას და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას. დღეისათვის გაფორმებულია მეცნიერულ-ტექნიკური შეთანხმებები დსთ-ს ცალკეულ ქვეყნებთან, აგრეთვე თურქეთთან, ირანთან, გერმანიასთან, საბერძნეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან და ა.შ. მუშაობას შეუდგა ევროკომისიასთან არსებული დამოუკიდებელი ორგანიზაცია INTAS-ი, რომლის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებული ქართველი მეცნიერები მონაწილეობენ ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში ევროპელ პარტნიორებთან. ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მუშაობაში, რომელსაც აფინანსებენ აშშ, ევროკავშირი, იაპონია და რუსეთი. საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO)-ს ეროვნულმა ბიურომ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის საკითხებში. აგრეთვე მის ფარგლებში ქართველ მეცნიერთა ჯგუფების მოანაწილეობით ხორციელდება სამეცნიერო პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისათვის" (TACIS), ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების დენადობის შემცირების მიზნით დაწესდა საპრეზიდენტო სტიპენდიები, დაინერგა მეცნიერული გამოკვლევების სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტული წესით დაფინანსების მექანიზმი და ა.შ..

მე-IXX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გრძელვადიანმა პროგნოზირებამ. პროგნოსტიკის მეცნიერებაში დღეისათვის ცნობილია მეცნიერულ-

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2005. თბილისი, 2005, გვ. 114-115.

ტექნოლოგიური პროგნოზირების 200-ზე მეტი მეთოდი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინფორმაციის მოცვის მასშტაბებით, მეცნიერული დასაბუთებულობის დონით და სხვა კრიტერიუმებით. აღნიშნული მრავალრიცხოვანი მეთოდებიდან ფაქტობრივად პრაქტიკაში გამოიყენება მხოლოდ რამდენიმე. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია სამ ძირითად ჯგუფად; ექსტრაპოლაციის მეთოდები, ექსპერტული შეფასებების (ევრისტიკული) მეთოდები, მოდელირების მეთოდები. თითოეულ მათგანში ერთიანდება პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდები (იხ. ნახ.).

ექსტარაპოლაციის მეთოდების არსი მდგომარეობს საპროგნოზო ობიექტის განვითარების წარსული (რეტროსპექტული) კანონზომიერების გავრცელება-გადატანაში მომავალი პერიოდისათვის. მას საფუძვლად უდევს ჩამოყალიბებული ტენდენციების სტაბილურობის პრინციპი. ექსტრაპოლაციის მეთოდების გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამოსავალი ინფორმაციის სიზუსტეს და შესაბამისობას. ამასთანავე, წმინდა მექანიკური ექსტრაპოლაცია სათანადო ლოგიკური შეფასებებისა და დასაბუთებების გარეშე ხშირ შემთხვევაში სასურველ შედეგებს არ იძლევა. (მაგალითად, ექსტრაპოლაციის მეთოდით მეცნიერთა რიცხოვნობის პროგნოზირება იძლევა ისეთ მაჩვენებელს, რომელიც აღემატება პლანეტაზე მოსახლეობის რაოდენობას).

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირებაში ექსტრაპოლაციის მეთოდების გამოყენებისას საჭიროა ექსტრაპოლაციის ბაზის (ტრენდის) და საპროგნოზო პერიოდის ურთიერთდამოკიდებულების სწორად შერჩევა. ამ მხრივ პროგნოსტიკის მეცნიერებაში განსხვავებული მიდგომები არსებობს. ექსტრაპოლაციის ბაზა (ტრენდი) არის ინფორმაციის ქრონოლოგიური მწკრივი (დრო), ხოლო საპროგნოზო პერიოდი არის დროის ის ინტერვალი, როცა მოსალოდნელია საპროგნოზო ხდომილება. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირებისას ყველაზე საიმედოდ მიიჩნევენ ამოსავალი საპროგნოზო ტრენდის ორი მესამედით მეტობას საპროგნოზო პერიოდთან შედარებით. მაგალითად, 30 წლის რეტროსპექტული ინფორმაციით პროგნოზირება იძლევა 10 წლიანი პროგნოზის შემუშავების საშუალებას.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროცესების ექსტრაპოლაციის მეთოდით პროგნოზირებისას წამოიჭრება აგრეთვე საპროგნოზო ობიექტის შეფასების აგრეგირებული მაჩვენებლის შერჩევის პრობლემა. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე რთული ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემები ხასიათდებიან უამრავი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრებით, რომელთა ერთდროულად პროგნოზირება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა საპროგნოზო ობიექტის აგრეგირებული ძირითადი მახასიათებლების შერჩევა, რომლებიც ზოგადად კომპლექსურად დაახასიათებენ ობიექტის ტექნიკურ თვისებებს.

პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდების თეორია და პრაქტიკა საკმაოდ დეტალურადაა შემუშავებული. მათ ხშირად ტრენდულ მოდელებსაც უწოდებენ. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ცალკეულ აგრეგირებულ მაჩვენებელთა პროგნოზირების პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენებენ შემდეგ ფუნქციებს:

წრფივი - $y=ax+b$; კვადრატული - $y=ax^2+bx+c$; ხარისხიანი $y=x^n$;

მაჩვენებლიანი - $y=a^x$; ექსპონენციალური – $y=ae^x$;

ლოგისტიკური – $y=a/(1+be^{-ex})$.

განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება წრფივი ფუნქცია.

აღნიშნულ ფუნქციათა პარამეტრების დამოკიდებულების შეფასებების ყველაზე გავრცელებული ხერხია უმცირეს კვადრატთა მეთოდი, რომლის არსი მდგომარეობს ტრენდის იმ პარამეტრების პოვნაში, რომლებიც მინიმალურად არიან დაშორებულნი ამოსავალი დროითი მწკრივის წერტილებიდან. ე. ი.

$$S=\sum_{i=1}^{n}(y_i-\bar{y}_i)^2 \rightarrow \min$$

სადაც $\bar{y}$ - ამოსავალი მწკრივის გაანგარიშებითი მაჩვენებელია; y – ამოსავალი მწკრივის ფაქტობრივი მნიშვნელობა; n - დაკვირვებათა რიცხვი.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზული ექსტრაპოლაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. საპროგნოზო ობიექტის ძირითადი სინთეზური მაჩვენებლების შერჩევა, მასზე მოქმედი მასტიმულირებელი და ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი და შეფასება;

2. საპროგნოზო ობიექტის შესახებ შესადარი ინფორმაციის შეგროვება და სისტემატიზაცია, შესაბამისი გრაფიკების აგება და განვითარების რეტროსპექტრულ კანონზომიერებათა გამოვლენა;

3. შედგენილი გრაფიკული და რაოდენობრივი მახასიათებლების საფუძველზე საპროგნოზო ობიექტისადმი მისადაგებული ექსტრაპოლაციის ფუნქციების შერჩევა და რეტროსპექტრული ინფორმაციის გამოყენებით პროგნოზული პარამეტრების გაანგარიშება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგნოზირების ექსტრაპოლაციის არცერთი მეთოდი არ იძლევა გრძელვადიანი პერიოდისათვის მეცნიერულ-ტექნოლოგიური საიმედო პროგნოზების შედგენის საშვალებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ

მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პრიორიტეტების მეთოდები
ექსპერტული შეფასების მეთოდები
მოდელირების მეთოდები
ექსპერტული შეფასების მეთოდი
ანალოგიების მეთოდი
სცენარების მეთოდი
ტრენდების ანალიზის მეთოდი
„ინტერვიუს" ტიპის შეფასებები
„დელფოს" მეთოდი
„ხეების" მეთოდი
„ცნობების შტურმის" მეთოდი
ანალიზური მეთოდი
სტატისტიკური მეთოდი
ეკონომეტრიული მეთოდი
ბალანსური მეთოდი
ოპტიმიზაციური მეთოდი
იმიტაციური მოდელირების მეთოდი
ფაქტორული ანალიზის მეთოდი
კლასტერული ანალიზის მეთოდი
დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდი
კორელაციური ანალიზის მეთოდი
რეგრესიული ანალიზის მეთოდი
ქსელური მოდელირების მეთოდი
ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი
ინფორმაციული მოდელირების მეთოდი
სისტემური ანალიზის მეთოდი
„სცენარის მეთოდი"
სწავლების ტექნოლოგიური მოდელი
ფუნქციონალურ-იერარქიული მოდელი
ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი
მეცნიერულ-ტექნიკური პუბლიკაციების ნაკადების მოდელირების მეთოდი
საერთაშორისო ურთიერთობების ინფორმატიკული მოდელირების მეთოდი
ექსპერტული შეფასების მეთოდები
მოდელირების მეთოდები
ექსპერტული შეფასების მეთოდი
ანალოგიების მეთოდი
სცენარების მეთოდი
ტრენდების ანალიზის მეთოდი
„ინტერვიუს" ტიპის შეფასებები
„დელფოს" მეთოდი
„ხეების" მეთოდი
„ცნობების შტურმის" მეთოდი
ანალიზური მეთოდი
სტატისტიკური მეთოდი
ეკონომეტრიული მეთოდი
ბალანსური მეთოდი
ოპტიმიზაციური მეთოდი
იმიტაციური მოდელირების მეთოდი
ფაქტორული ანალიზის მეთოდი
კლასტერული ანალიზის მეთოდი
დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდი
კორელაციური ანალიზის მეთოდი
რეგრესიული ანალიზის მეთოდი
ქსელური მოდელირების მეთოდი
ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი
ინფორმაციული მოდელირების მეთოდი
სისტემური ანალიზის მეთოდი
• ბეჭდური საშუალებების რაოდენობრივი პარამეტრების ექსპერტული შეფასება
• საბეჭდური პუბლიკაციების რაოდენობრივი ექსპერტული შეფასების ექსპერტული შეფასება
• მეცნიერების შედეგიანობის ექსპერტული შეფასება
• ბეჭდური საშუალებების ფუნქციონირების ხარისხის ექსპერტული შეფასება

მეცნიერება და ტექნიკა ნაკლებად ექვემდებარება ინერციულ განვითარებას, არამედ მათთვის დამახასიათებელია დინამიზმი, ნახტომისებური ცვლილება. შედეგად ამისა, წარსულის და აწმყოს უცვლელად პერსპექტივაში გადატანისას შეცდომების კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია. გამომდინარე აქედან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზების შედგენა ექსტრაპოლაციის მეთოდებით შედარებით საიმედო პროგნოზებს იძლევა არაუმეტეს 5-7 წლის პერიოდისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზირებაში ფართოდ გამოიყენება ექსპერტული შეფასებების მეთოდები. სიტყვა „ექსპერტი" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „გამოცდილს". პროგნოზირებაში ექსპერტი ნიშნავს მოწვეულ პირს, რომელსაც საპროგნოზო ობიექტის შესახებ გააჩნია ცოდნა და გამოცდილება. ძველ დროში ასეთ პიროვნებებს წარმოადგენდნენ ქურუმები და სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა მოსაზრებები გამოიყენებოდა მომავალი პროცესების განჭვრეტაში.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტიული ტრაექტორიის წარმოდგენა-წარმოსახვა შეუძლიათ ღრმა ცოდნისა და დიდი გამოცდილების მქონე მეცნიერებს და სპეციალისტებს. სწორედ ეს იდეოლოგია უდევს საფუძვლად პროგნოზირების ექსპერტული შეფასებების მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული მეთოდის გამოყენებაში მთავარია ექსპერტის ინტუიცია, მისი უნარი მოპოვებული ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე დააპროგნოზოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების მოსალოდნელი ტენდენციები. პროგნოსტიკაში ცნობილია პოპულარული აფორიზმი „ექსპერტი ეს არის სპეციალისტი, რომელმაც ადრე უკვე დაუშვა მრავალი შეცდომა".

დღესათვის მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზირების ექსპერტული შეფასებების მეთოდებიდან შედარებით პოპულარულია:

- მრგვალი მაგიდის მეთოდი, ანუ კომისიური მეთოდი;
- იდეების კოლექტიური გენერაციის, ანუ „გონებით შტურმის" მეთოდი;
- „დელფის" მეთოდი;

მრგვალი მაგიდის მეთოდის გამოყენებისას სპეციალური კომისია, რომელიც შედის „მრგვალი მაგიდის" შემადგენლობაში, იხილავს საპროგნოზო პრობლემას, ათანხმებს სხვადასხვა მოსაზრებებს ერთმანეთთან და იმუშავებს ერთიან მოსაზრებას. ამ მეთოდის ნაკლოვანებაა, რომ იგი დაფუძნებულია კომპრომისის ლოგიკაზე, რაც ზრდის დამახინჯებული პროგნოზული შედეგების მიღების რისკს.

„გონებით შტურმის" (იდეების კოლექტიური გენერაციის) მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახალი იდეების წამოყენება ხდება ელვისებურად. ეს დამოკიდებულია იმაზედ, რომ საექსპერტო ჯგუფის ერთი წევრის მიერ გამოთქმული იდეა წარმოშობს ან შემოქმედებით ან კრიტიკულ რეაქციას. მაგრამ, ის გარემოება, რომ დაწესებული წესის თანახმად აკრძალულია ნეგატიური რეაქციის შეზღუდვა, ექსპერტებს საშუალებას აძლევს მიიღონ პროდუქტიული შედეგი.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირებაში კოლექტიური ექსპერტული შეფასებების ყველაზე გავრცელებული მეთოდია „დელფის" მეთოდი. მისი სახელწოდება პირობითია. აღნიშნული მეთოდის თავისებურებები მდგომარეობს შემდეგში:

- ექსპერტების დაუსწრებელი და სრული ანონიმური გამოკითხვა;
- ექსპერტების გამოკითხვა რამდენიმე ტურად;
- უკუკავშირების გამოყენება, რაც ნიშნავს წინა ტურის შედეგების ინფორმაციის გაცნობას მომდევნო ტურზე;
- ჯგუფური პასუხების შედეგების დამუშავებაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას.

პროგნოზირების ექსპერტული შეფასებების მეთოდების ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა, რომ ექსპერტების ერთმა ნაწილმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვა ექსპერტებზე, რამაც შეიძლება დაამახინჯოს პროგნოზული შედეგები. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, აღნიშნული მეთოდები რჩება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზირების ერთ-ერთ საიმედო ხერხად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირების მეთოდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელირების მეთოდები. მოდელირება არის მოვლენებისა და პროცესების გამოკვლევა მათი ადექვატური მოდელირების შექმნის გზით, აგრეთვე მოდელირების გამოყენება საკვლევი სისტემების ქცევისა და მახასაითებლების განსაზღვრისათვის. პროგნოზირების მოდელირების მეთოდები უამრავია, თუმცა მათ შორის ძირითადს წარმოადგენენ: ლოგიკური მოდელირება; მათემატიკური მოდელირება; ინფორმაციული მოდელირება.

ლოგიკური მოდელები მოიცავენ ისტორიული ანალოგიის მეთოდს და განვითარების სცენარების შემუშავების ხერხს.

ისტორიული ანალოგიის მეთოდი ფართოდაა გავრცელებული. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საპროგნოზო ობიექტის მომავალი მდგომარეობის შესახებ წარმოდგენა აიგება ნიმუშის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტის განვითარების ისტორიული კანონზომიერებების ღრმა ანალიზი და შეფასება. სცენარის შემუშავება წარმოადგენს პროგნოზირების ისეთ მეთოდს, რომლის დროსაც დგინდება მოვლენის განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობა იმ მიზნით, რომ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გამოჩნდეს მომავალი მდგომარეო-

ბა მისი ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარების დროს.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირებაში ფართოდ გამოიყენება მათემატიკური მოდელირების მეთოდი, თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზაცია დაკავშირებულია მთელ რიგ მეთოდოლოგიურ და გამოთვლითი ხასიათის სიძნელეებთან, რომლებიც გამოწვეულია საპროგნოზო ობიექტის სირთულით, მასზე მოქმედი ფაქტორების მრავალრიცხოვნობითა და ცვალებადი ხასიათით. შედეგად ამისა, საჭირო ხდება პროგნოზირების არა ერთი მოდელის, არამედ მოდელების სისტემის გამოყენება, რომელიც ხასიათდება გარკვეული თანმიმდევრობითა და იერარქიულობით. ამასთან, რაც უფრო შორეულ პერიოდს მოიცავს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზი, მით უფრო მეტი კავშირები და ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული საპროგნოზო მოდელში. ასეთ შემთხვევაში საჭიროა უფრო მკაცრი სისტემური მოდელების გამოყენება, რომლებშიც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი ყველა ამოსავალი ჰიპოთეზები შესაბამისი მეცნიერულ-ტექნოლოგიური ობიექტის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების დინამიკის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მათემატიკური მოდელირების მეთოდით აბსოლუტურად ზუსტი პროგნოზების შედგენა შეუძლებელია, რადგანაც არანაირ მოდელს არ შეუძლია გაითვალისწინოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების უსასრულო მრავალფეროვნება, მისი განვითარების შემთხვევითი ფაქტორები და ტენდენციები.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირების მოდელების სისტემის შემუშავება მოიცავს სამ ძირითად ეტაპს.

პირველ ეტაპზე ხდება პროგნოზირების ლოკალური მეთოდების შემუშავება ცალკეული მოდელების და ქვესისტემების გამოყენებით. მეორე ეტაპზე, შემუშავებული მოდელები უკავშირდება ერთმანეთს და დგება პროგნოზირების ერთიანი მოდელების სისტემა, ზუსტდება მოდელთა ქვესისტემების თავსებადობა, განისაზღვრება მათი პრაქტიკული რეალიზაციის თანმიმდევრობა. ამავე ეტაპზე ხდება ამოცანების ამოხსნის პროგრამების შედგენა გამოთვლითი ტექნიკისათვის. მესამე ეტაპი მოიცავს ლოკალური სისტემების და მეთოდიკების განვითარება-დახვეწის პროცესს, აგრეთვე ექსპერიმენტალური გაანგარიშებების ჩატარებას.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზირების მათემატიკური მოდელების სისტემის შემუშავებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოდელების მასშტაბები და შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლების რაოდენობა დამოკიდებულია საპროგნოზო პერიოდის სიშორეზე. რაც უფრო გრძელვადიანი პროგნოზია შესადგენი, მით საჭიროა მოდელების და შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლების გამსხვილება-აგრეგირება.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგნოზირების ტიპიური მათემატიკური მოდელი არ არსებობს. შედეგად ამისა, ყოველი კონკრეტული პროგნოზის შესადგენად საჭირო ხდება საპროგნოზო ობიექტის შესატყვისი მათემატიკური მოდელის შედგენა, ყოველ კონკრეტულ მოდელში თანაბრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოდელურ პროგნოზირებაში ფართოდ აპრობირებული რეგრესული და კორელაციური მეთოდები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგნოზირებაში გამოიყენება ინფორმაციული მოდელები. ეს უკანასკნელი დაფუძნებულია ე. წ. ინფორმაციულ სიგნალებზე, რომლებსაც შეიცავენ საპატენტო დოკუმენტების ნაკადები. პროგნოზირების ამოცანებიდან გამომდინარე, ხდება მსოფლიო საპატენტო ინფორმაციის იმ ტექნიკური მახასიათებლების კოდირება, რომლებიც გარკვეული პერიოდით წინ უსწრებენ სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების საშუალო მაჩვენებლებს. აღნიშნული სპეციფიკური, წინგამსწრები ხასიათის ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე დგება გრძელვადიანი პროგნოზები. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული მოდელირება საკმაოდ ზუსტ შედეგებს იძლევა მეცნიერების განვითარების პროგნოზირების შემთხვევაში. ასეთ პროგნოზებს საფუძვლად უდევს ინფორმაცია მეცნიერული ჟურნალების რაოდენობის, პუბლიკაციების ნაკადის სტრუქტურის, ნაბეჭდი პუბლიკაციების გამოყენების სიხშირის, მეცნიერთა რაოდენობის, მეცნიერების დაფინანსების ზრდის შესახებ და ა.შ.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგნოზირებაში საიმედო შედეგების მისაღებად მიზანშეწონილია პროგნოზირების არსებული სხვდასხვა მეთოდების კომპლექსურად გამოყენება.

ლიტერატურა და წყაროები:

1. მესხია ი. ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრობლემები, კრებულში: „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები", თბილისი, 2002.
2. Янч Э. Прогнозирование научно-техническесского прогресса, Пер.с англ., М.: Прогресс, 1970.
3. Добров Г.М. Прогнозирование науки и техники, М.: Наука, 1977.
4. Поляков В.В. Прогнозирование мирового таварного рынка: Теория и практика, М.: Экзамен, 2002.
5. Папава В.Г., Месхия Я.Е. Проблемы активизации инновационно-инвестиционной политики в Грузии, в книге: Инновации и экономический рост, М.: Наука, 2002.

ლელა ბახტაძე

გარდამავალი ეკონომიკა: ახალი ისტორიული ფენომენი

ისტორიაში პრეცედენტი არა აქვს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებში განხორციელებულ ცენტრალიზებულ-გეგმიანი მეურნეობრიობის გარდაქმნას საბაზრო ეკონომიკად, რომელიც უპირატესად კერძო საკუთრებას ემყარება.

ცნება „გარდამავალი ეკონომიკა“ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და ფორმირებად მაკროსისტემებში განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების მიმართულებებსა და ხარისხს. გარდამავალი ეკონომიკის ცნების გამოყენება განპირობებულია იმის აუცილებლობით, რომ ერთი კონკრეტული ტერმინით აღინიშნოს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობა, რომელიც მიმდინარეობს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში: ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოახდინოს სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლიის და მართვის ცენტრალიზაციის ლიკვიდაცია და კერძო საკუთრების განვითარებულ ინსტიტუტზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ დააჩქარონ თავიანთი ეკონომიკური განვითარება მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების, წარმოების მართვის ორგანიზაციის, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა სისტემების გამოცდილების გამოყენება.

წინასწარ ვერავინ ვერ გაითვალისწინებდა და იწინასწარმეტყველებდა იმ განსაცვიფრებელ ცვლილებებს, რომლებმაც გამოიწვია მრავალი მეტად რთული და ახალი სახელმწიფოებრივი, ინსტიტუციონალური და ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელს მსოფლიოში წარმოებისა და პროდუქციის განაწილების სფეროში შეინიშნებოდა ფასებისა და საბაზრო მექანიზმის გამოყენება მზარდი მასშტაბით. ამ ათწლეულში განხორციელდა ძვრები მესამე სამყაროს რიგ ქვეყნებში ავტოკრატული და მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისაკენ, რომლის დაჩქარებაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ამ ქვეყნების ეკონომიკური მოდუნებით, ხოლო ნაწილობრივ სესხების პირობებით (სტრუქტურული ადაპტაციის სესხებით), რომელსაც გასცემდნენ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ).

1985-1990 წლებში თანდათან გამოიკვეთა ეროვნულ მეურნეობათა განვითარების შენელების ტენდენციები, შემცირდა წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები, გამწვავდა სოციალური სფეროს პრობლემები, გაუარესდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. ამასთან, არსებითად დაირღვა სამეურნეო ცხოვრების რიტმი, დაიწყო ტრადიციული ეკონომიკური კავშირების რღვევის პროცესი, გაძლიერდა ნაკლებწარმოების ეკონომიკური კრიზისი, გაღრმავდა შიდადარგობრივი და დარგთაშორისი დისპროპორციები, ჩამოყალიბდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპების დაცემის ტენდენცია.

1990 წლისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ არსებული სისტემის ჩარჩოებში ეკონომიკის გაჯანსაღება შეუძლებელი იყო. სოციალისტურმა დირექტიულმა დაგეგმვამ ეკონომიკური სისტემა ამოაგდო თავისი ბუნებრივი განვითარების ჩარჩოებიდან.

იმისათვის, რომ გაიუმჯობესონ პოტენციალური ზრდის შანსი მომავალში, გეგმიანი ეკონომიკის ქვეყნები თამამად წავიდნენ საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, რაც მოითხოვს მათი ეკონომიკის ფუნდამენტურ გარდაქმნას და წარმოებით ურთიერთობათა ახალი ტიპის განვითარებას.

როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 80-იან წლებში გარდამავალი ხანის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზეზად იქცა არაეფექტიანი ეკონომიკის არსებობა, უხარისხო პროდუქციის წარმოება და დაბალი შრომის ნაყოფიერება. ცენტრალური ხელისუფლებისთვის რთული იყო გადაწყვეტილების მიღება რესურსების და საქონლის, განსაკუთრებით კი სამომხმარებლო საქონლის ეფექტიან გადანაწილებაზე. ერთი მხრივ, იზრდებოდა დეფიციტი იმ პროდუქციაზე, რომელზედაც არსებობდა მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ – იმატა ჩაწოლილი საქონლის მარაგებმა, რაც საბოლოო ანგარიშით დანაკარგი იყო საზოგადოებისათვის. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ახალშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ნათელი გახდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იქნებოდა მეტად ძნელი. ის პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან უფრო რთულია, ლათინური ამერიკის ქვეყნების პრობლემებთან შედარებით, სადაც უკვე არსებობდა და ფუნქციონირებდა საბაზრო ინსტიტუტები, სადაც საპრივატიზაციოდ განკუთვნილი სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი ასობით და არა ათასობით ერთეულს შეადგენდა.

ბუნებრივია, რეფორმის არსისა და სიძნელეების შემეცნების შემდეგ პირველდაწყებითი აღფრთოვანება და ეიფორია იცვლება პესიმიზმით, იმედგაცრუებით, აღშფოთებით, დაბნეულობით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ადგილი აქვს „ჩავარდნებს“, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. საწყის ეტაპზე ნათლად არსებობს რწმენა იმისა, რომ გარდამავალი ეკონომიკა გადაიქცევა შეუფერხებლად ფუნქციონირებად საბაზრო სისტემად, რომელიც ცხოვრების უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს პერსპექტივაში.

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის მიზანია აამაღლოს ეკონომიკის მწარმოებლურობა და ეფექტიანობა. კერძოდ კი,

– სტიმული მისცეს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდასა და განვითარებას;

– აამაღლოს შრომის მწარმოებლურობა;

– გააუმჯობესოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა;

– აწარმოოს პროდუქციის საკმარისი ოდენობა;

– შეამციროს იმ საქონლის მარაგები, რომელზედაც არ არის მოთხოვნა;

– გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა აღრინდელ გამოცდილებაზე დაყრდნობით თვლის, რომ აუცილებელია იმ ეკონომიკური სისტემიდან, სადაც მთავრობა წყვეტს საკითხს რესურსების განაწილების შესახებ, გადასვლა ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე, სადაც საქონლისა და მომსახურების განაწილება ხორციელდება მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმის საფუძველზე. რისთვისაც აუცილებელია ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

არ არსებობს რეფორმების ერთიანი პაკეტი, რომელიც ვარგისი იყოს გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყნისათვის, რამდენადაც მათი პირობები ერთმანეთისაგან ბევრად განსხვავდება. უფრო მეტიც, არსებობს უთანხმოება იმაში თუ რა ტიპის საბაზრო ეკონომიკის შექმნა არის შესაძლებელი ამა თუ იმ ქვეყანაში. მით უფრო, ყალიბდება საერთო აზრი, რომ გარდაქმნის პროცესში აუცილებელია რეფორმის მთავარი ელემენტების გათვალისწინება.

ეკონომიკური რეფორმა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და კონტროლი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ითვალისწინებს ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას ინფლაციის უმნიშვნელო დონითა და არსებული რესურსების გამოყენების მაღალი ხარისხით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა გულისხმობს:

– ისეთი გადაუდებელი და მიმდინარე პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტას, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ჭარბი ფულადი მასა (ჭარბი ლიკვიდობა) და ინფლაცია, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, საგარეო ვალი და უცხოური ვალუტის შეზღუდული რეზერვები.

– სოციალური დაცვის სისტემის შექმნას და სოციალური დაცვის უფლების უზრუნველყოფას.

– გრძელვადიან პერიოდში ქმედითი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მიმდინარე არაპირდაპირი მაკროეკონომიკური კონტროლი. ამისათვის საჭირო სპეციალური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების შექმნას, აგრეთვე ეკონომიკაში მკაცრი ფინანსური რეჟიმის შემოღებას.

ფასებისა და საბაზრო რეფორმის განხორციელება გულისხმობს:

– შიდა ფასების ლიბერალიზაციას პროდუქტებსა და მომსახურებაზე;

– საპროცენტო განაკვეთისა და ხელფასების ლიბერალიზაციას, შემოსავლების განაწილების სისტემის გარდაქმნას;

– საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას; სავალუტო კურსის მდგრადობას და ეროვნული ვალუტის ნორმალურ მიმოქცევას, საგარეო ვაჭრობის სფეროში ქვოტების გაუქმებას და საბაჟო ტარიფების დაწევას.

რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა. მცირე და მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია კი თავის მხრივ მოიცავს:

– მართვის სისტემის რეორგანიზაციას;

– საკუთრების უფლების გადანაწილებას;

– კომერციალიზაციას;

– დემონოპოლიზაციას;

– ძირითადი კაპიტალის შეფასებას, აქციების გამოშვებას;

– საცხოვრებელი ფონდის შეფასებას.

რეფორმების წარმატებით განხორციელება გულისხმობს ფინანსური ბაზრისა და ინსტიტუტების განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია:

– სამართლებრივი და მარეგულირებელი ინსტიტუტების ფორმირება.

– წარმოების მართვა, ფინანსური სექტორის ჩათვლით.

– სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმის განსაზღვრა და სახელმწიფო ადმინისტრირების გამკაცრება.

– საინფორმაციო სისტემების (აღრიცხვა, აუდიტი, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა) შექმნა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ტემპები და წარმატებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ქვეყნებში პოლიტიკური სტაბილურობის დონეზე. ამ მიზეზით რეფორმირების პროცესი სხვადასხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც მიმართულია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის დამოკიდებულია პოლიტიკურ ცვლილებებზე. შესაძლებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უფრო ძნელი აღმოჩნდეს, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული რეჟიმის დამხობა, განსაკუთრებით, თუ არ არსებობს საერთო შეთანხმება საბაზრო ეკონომიკისკენ მოძრაობის საკითხებში, აგრეთვე მისი ფუნქციონირების მექანიზმის გაგებაში.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს არასტაბილურობის ფაქტორებს. პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც გარკვეული ზომით არსებობს ყველა გარდამავალ ეკონომიკაში, წარმოადგენს მრავალი ფაქტორის ურთიერთზემოქმედების შედეგს, რომლებიც ავსებენ ეკონომიკურ პრობლემებს. კერძოდ, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს:

1. **ჯგუფური ინტერესებით.** ყოფილ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის ქვეყნებში ბევრი ეწინააღმდეგება რეფორმებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არყევს მათ ძალაუფლებას და მდგომარეობას.

ამასთან, საწარმოო სფეროს მუშაკების და საზოგადოების გაჭირვებული ფენების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა და ეშინია იმის, რომ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შედეგად ისინი დაკრაგავენ სამუშაო ადგილს.

2. **საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არცოდნით.**

3. **საერთო-ეროვნული და რეგიონული არასტაბილურობით.** კომუნისტური რეჟიმის დაცემისა და პოლიტიკური ლიბერალიზაციის დამკვიდრების შედეგად თავი იჩინა ათწლეულების და ასწლეულების მანძილზე არსებულმა ეროვნებათაშორისმა პრობლემებმა. ომმა იუგოსლავიაში სერბებსა და ხორვატებს შორის მიგვიყვანა ათასობით ადამიანის დაღუპვამდე. საბჭოთა კავშირის ყოფილ 15 რესპუბლიკაში იყო 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური მხარე და 10 ავტონომიური ოლქი, რომლებიც დასახლებული იყო 200 ეროვნების 250 მლნ ადამიანით. ეროვნებათაშორისი ურთიერთობის დაძაბულობას აქვს დიდი ფეთქებადი პოტენციალი, რაც გამოიხატა ეროვნებათაშორისი კონფლიქტებში: აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, შეიარაღებული შეტაკებებით მოლდავეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ყურადსაღებია რაციონალური ფასების როლი (იმისათვის, რომ ეკონომიკა ეფექტიანად რეაგირებდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, აუცილებელია რაციონალური ფასების დაწესება.) არ შეიძლება დაწესდეს მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები საწარმოთა მიმართ, თუ ფასების გაკონტროლება ხდება სახელმწიფოს მიერ და მათი დონე მნიშვნელოვნად დაბალია მდგრად დონეზე.

საკუთრების უფლების მნიშვნელობა. ბევრს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირველდაწყებითი მცდელობა საკუთრების უფლების სფეროში რეფორმის გარეშე წარმატებით დამთავრდეს. საბაზრო სისტემებს შეუძლიათ ფუნქციონირება საკუთრების სხვადასხვა ფორმების პირობებში, კერძოდ, სახელმწიფო, კოლექტიური და კოოპერატიული საკუთრების ჩათვლით. ბაზარზე მრავალი სახელმწიფო საწარმო კონკურენციას უწევს კერძოს, თუმცა კერძო სექტორი მათ ადანაშაულებს არასამართლიან კონკურენციაში, რამდენადაც სახელმწიფო საწარმოები მთავრობისგან ღებულობენ სუბსიდიებს და სხვადასხვა სპეციალურ შეღავათებს. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი დიდ როლს თამაშობს დასავლეთის ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში. ჩინეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სახელმწიფო და კოლექტიური საწარმოები საშინაო ბაზარზე აქტიურ კონკურენციას უწევენ კერძო სექტორს. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავისუფალი არჩევანის უფლებას, რომელიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების

ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, უკეთესად უზრუნველყოფს კერძო საკუთრება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მკაცრმა ფულად-საკრედიტო და ფისკალურმა პოლიტიკამ, შესაძლოა გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების უფრო მეტად შემცირება საბაზრო ეკონომიკასთან შედარებით, რამდენადაც გარდამავალ ეკონომიკურ სისტემაში არ ფუნქციონირებს წარმოების ფაქტორთა ეფექტიანი ბაზრები.

საინტერესოა, რეალური ხელფასის დაცემა ახდენს თუ არა ეკონომიკაზე მასტიმულირებელ ზემოქმედებას? საბაზრო ეკონომიკაში რეალური ხელფასის დაცემა იწვევს სამომხმარებლო ფასების შემცირებას, რასაც მივყავართ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდასთან, კომპანიების შემოსავლების გადიდებასთან და საბოლოო ანგარიშით წარმოების, დასაქმებისა და ინვესტიციების გადიდებასთან.

მოკლევადიანი სტაბილიზაციური პოლიტიკის გატარებასთან ერთად აუცილებელია სტრუქტურული რეფორმების დაწყება საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკურ სფეროებში, აგრეთვე სისტემური რეფორმები საკუთრებითი ურთიერთობის, საწარმოთა, ფასებისა და შრომის ბაზრის მართვის სფეროში.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში არ არსებობდა ღია ინფლაცია, მაგრამ იგი არსებობდა დათრგუნული ინფლაციის სახით, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი საქონლის დეფიციტი და იძულებითი დანაზოგების მნიშვნელოვანი ზრდა. უმეტესწილად ამას ადგილი ჰქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირში და ნაკლები ზომით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაღალი ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია სამომხმარებლო საქონელზე მაღალი მოთხოვნით, წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის პრობლემას. როცა მოთხოვნა შეზღუდული არ არის და არსებობს ჭარბი ლიკვიდობა, ჩვეულებრივ წარმოიშობა ინფლაცია, რომელიც დაბლა სწევს სტრუქტურული რეფორმების ეფექტიანობას. რეფორმის განხორციელების საწყის ეტაპზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ჭარბი ფულადი მასისგან გათავისუფლება. ჭარბი ფულადი მასის შემცირების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მსოფლიო ბანკი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე სთავაზობდა რამდენიმე მიდგომას:

1. მოსახლეობისა და საწარმოების ხელთ არსებული ფინანსური აქტივების ნაწილის გაყინვას ან კონფისკაციას.

2. ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შემცირებას ფასების გადიდების გზით.

3. სახელმწიფო საწარმოთა ძირითადი კაპიტალის გაყიდვას ფასიანი ქაღალდების აქციებისა და ობლიგაციების სახით .

გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ამ ამოცანის შესრულება დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან, კერძოდ, იმასთან, რომ საზოგადოების სოციალური მოთხოვნები იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ მთავარი ყურადღება დაუთმოს სახელმწიფო ხარჯების შემცირებას და საგადასახადო სისტემის სრულყოფას.

პირველდაწყებითმა რეფორმებმა ძალისხმევის კონცენტრაცია უნდა მოახდინონ სუბსიდიებისა და შესაძლებელი საინვესტიციო დანახარჯების შემცირებაზე.

დიდი მოცულობის სუბსიდიებზე უარის თქმა, რომელიც ყველა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში გამოიყენებოდა არაეფექტიან საწარმოთა მხარდასაჭერად და დაბალი ფასების შესანარჩუნებლად ტრანსპორტზე, ენერგიაზე, კვების პროდუქტებზე, წარმოადგენს მთავარ ფაქტორს სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად.

გარდამავალ პერიოდში შეიძლება წარმოიშვას კაპიტალდაბანდებების ხარჯების შემცირების ტენდენცია. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან 90-იანი წლების დაწყებამდე სოციალისტურ ქვეყნებში ინვესტიციებმა ძირითად კაპიტალში მიაღწია მშპ-ის 40%-ს. ამ სისტემის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო კაპიტალის მობილიზაციის მაღალი უნარი. ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო მსხვილმასშტაბიანი პროექტების განსახორციელებლად მძიმე მრეწველობაში, რაც დაბალეფექტიანი იყო. გარდამავალ ეკონომიკაში შეიძლება გამოვლინდეს მეორე ტენდენცია — მისწრაფება ინვესტიციების ზომაზე მეტად შემცირებისაკენ. მაგრამ ისინი აუცილებელია არსებული ინფრასტრუქტურის კერძოდ, გზების, კომუნიკაციების მშენებლობისთვის, ტრანსპორტის განვითარებისთვის, რომელიც არასახარბიელო მდგომარეობაშია. დროთა განმავლობაში, როცა განხორციელდება პრივატიზაცია და ჩამოყალიბდება ფინანსური ინსტიტუტები, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები თავმოყრილ უნდა იქნეს ინფრასტრუქტურის სფეროში.

რამდენადაც მთლიანი სა-

ბიუჯეტო შემოსავლების მეტი წილი სახელმწიფო საწარმოებიდან შემოდის, საწარმოთა სტრუქტურული რეფორმა, რომელიც მიმართულია მათი ფინანსური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და არამომგებიანი წარმოების აღმოფხვრისაკენ, სერიოზულ გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე. შემოსავლები პრივატიზაციიდან შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ არა რეფორმის პირველ წლებში – საცხოვრებელი ბინების პრივატიზაციის გარდა. რამდენადაც ბინის გადასახადი ხშირად არ აღემატება მისი შენახვის ხარჯებს, მისი გაყიდვა დაბალ ფასებში ან უფასოდ გადაცემაც კი სასიკეთო გავლენას იქონიებს ბიუჯეტზე. საგარეო ვაჭრობაში რაოდენობრივ შეზღუდვათა შეცვლა საბაჟო ტარიფებით მიგვიყვანს სახელმწიფო შემოსავლების გადიდებამდე და ერთდროულად იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი რაციონალური მსოფლიო ფასების დასადგენად.

იმის მიხედვით, თუ როგორ შედის მოქმედებაში სტაბილიზაციური პოლიტიკა აუცილებელია სწრაფად შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა საზოგადოების იმ ნაწილის ცხოვრების დონის მხარდასაჭერად, ვინც დაზარალდა რეფორმისგან. ამ სისტემამ უნდა დაიცვას დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ფენები ფასების ზრდის ზემოქმედებისაგან. ისინი, ვინც კარგავენ სამუშაოს უზრუნველყოფილ უნდა იქნენ დაზღვევით უმუშევრობისთვის, გაჭირვებულებს უნდა მიეცეთ სოციალური დახმარება. მნიშნელოვანია, რომ დახმარება მიუახლოვდეს მინიმალურ ხელფასს. სხვანაირად სტიმული არ შეიქმნება სამუშაოზე დაბრუნებისთვის, ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით როცა შეიქმნება ახალი შესაძლებლობები.

შემოსავლების პოლიტიკა – ეს სამთავრობო პოლიტიკაა, რომელიც ზემოქმდებას ახდენს ხელფასზე და საქონლის ფასებზე. ჩვეულებრივ იგი მოიცავს ხელფასზე და ფასებზე კონტროლის ღონისძიებებს, ამასთან ძირითადად ორიენტირებულია მათ რეგულირებაზე. რეგულირების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს დამოკიდებულების დადგენა ხელფასის მატებასა და შრომის- ნაყოფიერების ზრდას შორის. გარდამავალ ეკონომიკაში ხელფასის რეგულირების მოქმედ პრინციპს წარმოადგენს ხელფასის ზრდის დამოკიდებულება ფასების ზრდისადმი.

შემოსავლების პოლიტიკა ნაწილობრივ შეიძლება დაფინანსდეს იმ საწარმოთა მაღალი გადასახადების დაწესების ხარჯზე, რომლებსაც გააჩნიათ ხელფასის მატება დადგენილ ზღვარს ზემოთ, მოქმედებენ ლიბერალური საბიუჯეტო შეზღუდვების პირობებში ან არის მონოპოლისტები. მაგრამ, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეს გადასახადი ვერ შესძლებს შეაჩეროს ხელფასი-ფასის სპირალი. შეიძლება საჭირო გახდეს არა მარტო ხელფასის ნამატზე გადასახადის დაწესება, არამედ ამ მატების ზღვარის დადგენაც.

საკუთრების რეფორმა აუცილებელია ფასების რეფორმის წარმატებისთვის, რამდენადაც კერძო საკუთრება ამცირებს პოლიტიკურ ჩარევას საწარმოს მართვაში და ქმნის ალტერნატიულ შესაძლებლობას პიროვნებისთვის. უნდა შეიქმნას ნორმალური სამართლებრივი გარემო, რომელიც დაიცავს მესაკუთრეთა უფლებებს და დაარეგულირებს კომერციულ ურთიერთობებს, რაც აუცილებელია ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. საჭიროა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეფექტიანი სისტემის შექმნა ინფორმაციის ადექვატური ანალიზისთვის. გარდა ამისა, საჭიროა განხორციელდეს ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, რომ შესაძლებელი იყოს სამართლებრივი და მმართველობითი რეფორმების რეალიზება. დასავლეთის ქვეყნებში ამგვარი საბაზრო ინსტიტუტები, სისტემები, გამოცდილება და შესაძლებლობები ჩამოყალიბდა, დაგროვდა და განვითარდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამიტომ მათი გონივრული გამოყენება რეფორმების განხორციელებისას სასარგებლოა.

ნიკო ჩიხლაძე
კახა გაბელაშვილი

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფორმირების აქტუალური საკითხები

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა ყოვლისმომცველმა ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა უარყოფითი ასახვა ჰპოვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე. გარდამავალ პერიოდში, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირებამ. უმწვავეს პრობლემად რჩება ტერიტორიული ერთეულების მიზნებისა და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინება, შეთანაწყობა და ჰარმონიზაცია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოში არსებული მმართველობის დონეებიდან (ცენტრალური, რაიონული, მუნიციპალური) გაცილებით უკეთ არის ჩამოყალიბებული მართვის ცენტრალური რგოლი.

რეალურ ვითარებაში ხშირია ხაზგასმა საქართველოს რეგიონებში საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების აუცილებლობის შესახებ, თუმცა ზოგჯერ გვავიწყდება, რომ საინვესტიციო მიმზიდველობის განვითარება უპირველესად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება-რეალიზაციას მოითხოვს, რამდენადაც:

1. ნებისმიერი საინვესტიციო პროექტი (პროგრამა) ხორციელდება რეგიონის ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული სისტემის ფარგლებში და მათი განხილვა შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური გარემოს, ინვესტიციური ინფრასტრუქტურის გაუთვალისწინებლად.

2. ასეთი პროგრამების საორგანიზაციო და საინვესტიციო პრობლემები ვერ მოგვარდება რეგიონული ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე;

3. განვითარების პროგრამები შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეგიონის ეკონომიკის რეფორმებისა და კრიზისიდან გამოსვლის რეალური მექანიზმი.

ბოლო ათწლეულში პოსტსოციალისტურ სივრცეში, მათ შორის საქართველოში, დაგეგმვისა და მისი რეალიზების კუთხით ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოიშვა. 1994 წელს მიღებულ იქნა კანონი „ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური საფუძვლების შესახებ" (11.10.1994). სამი წლის შემდეგ, 1997 წლის ოქტომბერში მოქმედება დაიწყო ახალმა კანონმა, რითაც განისაზღვრა ინდიკატური გეგმის შინაარსი – იგი იყო სარეკომენდაციო ხასიათის და მისი საპროგნოზო გაანგარიშებით უნდა განსაზღვრულიყო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. აღნიშნული კანონის მიედვით, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამებს შეიმუშავებდნენ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საერთო მეთოდური ხელმძღვანელობით.

ძველი მეთოდოლოგიით 1997-2000 წლებისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები და ანტიკრიზისული პროგრამები შემუშავდა როგორც იმერეთისათვის, ისე ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში.[1]

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბების პერიოდისათვის (1997-1998 წლები) საქართველოს კანონით „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ" (მე-7 მუხლის „დ" ნაწილი) ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციად განისაზღვრა დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება.

როგორც რეგიონში, ისე ტერიტორიულ ერთეულებში წარმოიშვა პრაქტიკული დანიშნულების მქონე, მეცნიერულად დასაბუთებული გაანგარიშებისა და განზრახულობათა ერთიანი დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობა. მით უმეტეს, რომ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა შორის არცთუ იშვიათად ჰქონდა ადგილი საკრებულოთა მოთხოვნას რაიონული ბიუჯეტები განხილულიყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების საფუძველზე.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითა-

[1] აღსანიშნავია, რომ რეგიონის პროგრამამ აპრობაცია გაიარა ეკონომიკის სამინისტროში და პოზიტიურად იქნა შეფასებული

რების პროგრამის ფორმირება აუცილებლობა განისაზღვრა:

1. მომდინარე გადაწყვეტილებების მიღებისას სტრატეგიული მიზნების გასათვალისწინებლად;
2. რეგიონის განვითარების რეგულირების უზრუნველსაყოფად;
3. ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის;
4. ძლიერი და სუსტი მხარეების, ინდივიდუალური განსაკუთრებულობების გამოსავლენად;
5. რეგიონის ეკონომიკაში ინვესტიციების მოსაზიდად და სხვა პრობლემათა გადასაწყვეტად.

2002 წლის 20 მარტს გამოვიდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანება „საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდური რეკომენდაციების შესახებ". იგი განსაზღვრავდა ტერიტორიული ერთეულის პროგრამის რეალიზაციის შინაარსობრივ და ფუნქციონალურ მახასიათებლებს და მოიცავდა 6 განყოფილებას.

აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში შემუშავდა 2003-2005 წლების სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამები.

ცხადია, საქართველოს რეგიონების მკვეთრი სპეციფიურობის გათვალისწინებით, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების მიმართ, როგორც დამუშავების, ისე მათი რეალიზაციის კონცეპტუალური მიდგომების მიხედვით, აუცილებელი იყო ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინება.

აღნიშნულის გამო ამ წლების რეგიონული განვითარების პროგრამები ისეთი ხარვეზებით ხასიათდებოდა, როგორიცაა: ერთიანი მეთოდური და მეთოდოლოგიური ბაზის არარსებობა, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გაუთვალისწინებლობა, პროგრამის აგებისას მხოლოდ შიგა ფინანსური რესურსების გათვალისწინება, რეგიონებში საბიუჯეტო პროცესის ანალიზის, დაგეგმვისა და პროგნოზირების არასასურველი დონე, დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებისათვის შესაბამისი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების არაეფექტური გამოყენება, ნაკლები ზრუნვა პროგრამის დადებითი იმიჯის შესაქმნელად, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ა. შ. [2]

სხვადასხვა ქვეყნების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები განსაკუთრებულ როლს ასრულებს განვითარების სტრატეგიის რეალიზებაში. პოლონეთში ლოკალური სტრატეგიის შემუშავება (პოვიატებისა და ვოევოდებისათვის) რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. აქ სტრატეგიაზე მუშაობის ინიცირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადგილობრივ ლიდერზე და შესაბამისი სტრუქტურების ფორმირებაზე.

აღნიშნული სტრატეგიის ფორმირებისა და რეალიზაციაში აქტიურად მონაწილეობს მოსახლეობა. ამავდროულად, სტრატეგიული გეგმა მოსახლეობასთან კომუნიკაციის საშუალებისა და მართვის ინსტრუმენტის ფუნქციებსაც ასრულებს. თავის მხრივ, სტრატეგია შეიძლება იქცეს პროცედურის უმნიშვნელოვანეს ელემენტად, რომელიც აფასებს ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფუნქციონირების ეფექტიანობას.

გერმანიაში უარყვეს ტრადიციული მიდგომა სტრატეგიული გეგმების ტერმინოლოგიის, ანალიტიკური და სტატისტიკური ნაწილებით დატვირთვის შესახებ. აქ უპირატესობას ანიჭებენ ინოვაციური გადაწყვეტილებების შემცველ რეალისტურ პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართვას დაგეგმვისა და რეალიზების პროცესში. ამით ადგილებზე იქმნება გრძელვადიანი კოოპერაციული სტრუქტურები, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციურობის ხარისხის ამაღლებას.

რუსეთში მოქმედებს „რუსეთის ფედერაციის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უთანაბრობის შემცირების პროგრამა 2002-2010 წლებში და 2015 წლამდე პერიოდში", რომელსაც ფედერალური და მიზნობრივი ხასიათი აქვს. მისი მთავარი ამოცანაა ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრებისათვის პირობების შექმნა და სუსტი რეგიონებისათვის განვითარების სტიმულირების უზრუნველყოფა.

საქართველოში 2006 წლის 24 ივლისს ძალადაკარგულად იქნა ცნობილი კანონი „ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ", თუმცა ამით მაკროდონეზე გარკვეული უხერულობები მაინც არ შექმნილა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ მოამზადა „საბაზისო მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის", რომელიც მოიცავს საქართველოს მთავრობის სა-

[2] პრაქტიკულ რეალიზებას მოკლებულ ასეთ გეგმებს ევროპისა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ზოგიერთ ქვეყანაში "პოლკოვნიკებს" უწოდებენ ("полка" – თარო (რუს.), ანუ თაროზე დადებული, უსარგებლო)

ალოვადიან სტრატეგიას (2007-2010), რეფორმის შედეგებს 2007-2010 წლებისათვის, ასევე საქართველოს მთავრობის მმართველ პრინციპებსა და რეფორმებს.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები ამჟამად მუშაობენ ეროვნული განვითარების გეგმასა და რეგიონულ პოლიტიკაზე, რათა განისაზღვროს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების განვითარების გარკვეული ფორმა, ახალი მიმართულებები სამხარეო ადმინისტრაციებისათვის, რეგიონული სტრუქტურების როლი და სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილება მომდევნო ფინანსური წლების განმავლობაში. სახელდობრ, საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონულ საკითხთა დეპარტამენტის ინიციატივით უნდა მომზადდეს ცალკეული საელმწიფო პროგრამები რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება რესურსული პოტენციალის ამოქმედების, ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები, შემუშავდება მეწარმეობის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების მასშტაბების გაზრდის წინადადებები. დასახელებულ ჩარჩო-პროგრამაში გადამწყვეტი როლი სწორედ რეგიონებისა და ცალკეული ტერიტორიული ერთეულების საპროგრამო დოკუმენტებმა უნდა შეასრულონ.

განვლილმა პერიოდმა და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ რეგიონების თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში აუცილებელია შემუშავდეს პრაქტიკული დანიშნულების მქონე მეცნიერულად დასაბუთებული გაანგარიშებისა და განზრახულობათა ერთიანი დოკუმენტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების სახით. ამ კუთხით იმერეთში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, სამხარეო ადმინისტრაციის ეკონომიკური განვითარების სამსახურში მომზადდა მაჩვენებლთა სისტემა და გაწეული იქნა ორგანიზაციულ-მეთოდული ხელმძღვანელობა იმერეთის მუნიციპალიტეტებში (11 მუნიციპალიტეტი) 2006-2008 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების თაობაზე.

აღნიშნულის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს ერთიანი მეთოდოლოგიური და მეთოდური ბაზა რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების დასამუშავებლად. როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, ასეთი პროგრამების ახალი მოდელის შემუშავებამ საჭიროა უზრუნველყოს:

ა) რეგიონის ეკონომიკის სტაბილური განვითარების ხელშეწყობა რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენების საფუძველზე;

ბ) რეგიონის განვითარების პროგრამის საკანონმდებლო უზრუნველყოფა ჰარმონიული სისტემის (ვერტიკალური და ჰორიზონტალურ ჭრილში) ფარგლებში, რაც გრძელვადიან და სტრატეგიულ ხასიათს უნდა ატარებდეს;

გ) რეგიონის ორგანიზაციულ-სამეწარმეო ინფრასტურქტურის კორექტირება;

დ) რეგიონის ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების, ასევე ფინანსური ინტერესების დაცვა;

ე) რეგიონული და საელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების ოპტიმიზაცია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სპეციფიკისა და თითოეული მუნიციპალიტეტის რესურსული პოტენციალის გათვალისწინებით;

ვ) პროგრამის ეფექტიანი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება რეგიონის ინტერესების დაცვა ზემდგომ ორგანოებსა და რგოლებში.

ვფიქრობთ, აღნიშნული სახის თანამედროვე პროგრამა რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითადი ინგრედიენტი გახდება, რისთვისაც საქართველოს რეგიონებს სათანადო ინტელექტუალური და რესურსული პოტენციალი გააჩნიათ.

ლიტერატურა და წყაროები:

1. „იმერეთის რეგიონის 2003-2005 წლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამა".

2. როგორ მოვამზადოთ რაიონის ეკონომიკური განვითარების გეგმა საქართველოს ახალი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის. საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივა (სახელმძღვანელო). 2006;

3. Чихладзе Н., Региональные проблемы экономичеких и финансовых отношении. Кутаиси, 2003.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

დალი სოლოღაშვილი
ეკატერინე უდესიანი

საწარმოს სიცოცხლისუნარიანობისა და გაკოტრებისაგან დაცვის სისტემა


სამრეწველო საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება და მისი განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია საბაზრო მოთხოვნილების ხასიათსა და სტრუქტურაზე, საწარმოს უნარსა და შესაძლებლობაზე, დროულად განსაზღვროს და რეაგირება მოახდინოს ბაზრის მოთხოვნილებების მოსალოდნელ ცვლილებაზე. ეკონომიკის არათანაბარი განვითარება, წარმოების მოცულობისა და პროდუქციის გასაღების მერყეობა, წარმოების დაცემა ქმნის წარმოების კრიზისულ სიტუაციას, რაც განიხილება როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი საერთო კანონზომიერება.

როდესაც საწარმოს ფინანსური უზრუნველყოფისათვის დროულად არ ტარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, იქმნება გაკოტრების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში საწარმომ ან უნდა მიიღოს სპეციალური ღონისძიებები ან შეწყვიტოს თავისი საქმიანობა. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, გაკოტრება არ უნდა ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად.

საწარმოს კრიზისული სიტუაციის შექმნა და გაკოტრების პროცესი გარკვეულ კავშირშია საწარმოს სასიცოცხლო ციკლთან. გაკოტრების ზოგადი საფუძველია როგორც მოვალის გადახდისუნარობა, აგრეთვე მისი ზედავალიანება. მოვალის გადახდისუნარობა სახეზეა მაშინ, როდესაც მას არ შეუძლია ვადადამდგარი გადახდის ვალდებულებების შესრულება. ზედავალიანება კი გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც მოვალის ქონება (აქტივი) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს).

საწარმოს კრიზისული სიტუაციის შექმნის ძირითადი მიზეზია პროფილაქტიკური ღონისძიებების უგულებელყოფა ან დაგვიანება, რაც იწვევს ფინანსური დაბალანსების მოშლასა და საწარმოო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის უუნარობას, ეს კი კვალიფიცირდება გაკოტრების სტატუსით. ამ მდგომარეობის თავიდან აცილება მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების შემუშავებასა და გამოყენებას, ან საწარმოს მუშაობის შეწყვეტას და მის ლიკვიდაციას. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა და გაკოტრება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შემთხვევითი ან აუცილებელი მოვლენა. კონკურენციის მკაცრი კანონების მოთხოვნის საპასუხოდ საწარმოს უნდა გააჩნდეს შესაბამისი დამცავი ღონისძიებები, სისტემატიურად აფასებდეს შიგა და გარე გარემოს წონასწორობას და იცავდეს თავს მათი უარყოფითი მოქმედებისაგან.

საბაზრო ეკონომიკამ, რომელიც ითვლება დასავლეთის ქვეყნების განვითარების საფუძველად, შეიმუშავა კონტროლის, დიაგნოსტიკისა და საწარმოს შესაძლო კრახისაგან დაცვის სისტემა, ე.ი. საწარმოს სიცოცხლისუნარობისა და გაკოტრებისაგან დაცვის სისტემა (ნახ. 1). ამ სისტემის უნივერსალობა საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ იგი თითოეული საწარმოს გაკოტრებისაგან დაცვისათვის.




ნახ. 1. საწარმოს გაკოტრებისაგან დაცვის სისტემა

სისტემის ამოსავალი პუნქტია პრინციპებისა და მიზნების შემუშავება, რომელთა მიღწევა შესაძლებელია მათი მექანიზმების მეშვეობით.

ამ სისტემაში მთავარია ისეთი საწარმოო სტრუქტურების შექმნა, რომელიც უპასუხებს ბაზრის მიერ ფორმირებულ, რეალურ გადახდისუნარიან მოთხოვნას.

ასეთი სტრუქტურების ფორმირება პირველ რიგში საჭიროა სახელმწიფოს მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს თითოეული სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს, კონკრეტულად ასრულებდეს მის შესაბამის ფუნქციას. ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია შემდეგი პრინციპების დაცვით (ნახ. 2).

ჩვენი ქვეყნის საწარმოთა დიდი ნაწილი უკანასკნელი წლების განმავლობაში იმყოფება ფარული გაკოტრების მდგომარეობაში. ამის შედეგად კი მცირდება წარმოების მოცულობა, ხელფასი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა ან სამუშაო კვირათა რაოდენობა. მთელ რიგ საწარმოებს არ გააჩნიათ გაკოტრების სტატუსი, მაგრამ სინამდვილეში გაკოტრებულია, წყვეტს მუშაობას ან საერთოდ არ დაუწყია მუშაობა. ამ პირობებში გაკოტრების კანონის გააქტიურება აუცილებელია, რამდენადაც იგი შეიძლება გახდეს საწარმოსათვის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა საფუძველი.



ნახ. 2. გაკოტრების სისტემის მიზნები და პრინციპები

გაკოტრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტებია: საწარმოს ფინანსური საქმიანობის დიაგნოსტიკა, კონტროლი და მოახლოებული კრიზისული სიტუაციის თავიდან აცილება, რაც წარმოების მართვის მთავარი ამოცანაა. კრიზისული დიაგნოსტიკა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, საბაზრო სიტუაციის განვითარების პროგნოზირება, კრიზისული სიტუაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზებისა და ფაქტორების დროული გამოვლენა, არასპეციალისტებისათვის შეუმჩნეველი საწარმოს დამღუპველი ნიშნების დადგენა.


კრიზისული სიტუაციის გამომწვევი მიზეზები თვით საბაზრო ეკონომიკის წიაღშია ჩამარხული. თუმცა მას არ აქვს თითოეული საწარმოსათვის ფატალური ხასიათი.

საწარმოს გაკოტრებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია შესაძლებელია ორ ჯგუფად დაიყოს: შიგა და გარე ფაქტორებად (ნახ. 3).

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებითა და მათი დამცავი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის საერთო დაცემის მნიშვნელოვანი შემსუბუქება.

როგორც დასავლეთის სპეციალისტები აღნიშნავენ, გაკოტრების 1/3 მოდის გარე, ხოლო 2/3 - შიგა ფაქტორებზე.

კონტროლის სისტემას და მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციის დროულად აღმოჩენას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გაკოტრების პროფილაქტიკისა და მისი თავიდან აცილების საქმეში. საწარმოს მოსალოდნელ კრიზისულ სიტუაციაზე მიგვანიშნებს საწარმოს მიერ გატარებული ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: ხშირი რეორგანიზაცია, მომწოდებელთა ხშირი და დაუსაბუთებელი შეცვლა, ახალ ბაზრებზე გასვლა, ნედლეულისა და მასალების სარისკო შესყიდვა, პარტნიორების, მომწოდებლების, კრედიტორების, ბანკებისა და პროდუქციის მომხმარებლის უარყოფითი რეაქციაა.



ნახ. 3. კრიზისული სიტუაციისა და გაკოტრების წარმოშობის ძირითადი ფაქტორები

სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს მიეკუთვნება: მართვის სტრუქტურაში გაუმართლებელი ცვლილებები და ხელმძღვანელთა შორის არაჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულება. ხშირ შემთხვევაში წარმოების კრიზისი იწყება ზემდგომ ორგანიზაციათა და საწარმოს ხელმძღვანელობათა შორის კონფლიქტით.

გაკოტრების სხვა ადრეული ნიშნები დაკავშირებულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებასთან, ფინანსური ანგარიშგების დაგვიანებითა და უხარისხო წარდგენასთან, რაც მიგვანიშნებს შეგნებულ მოქმედებაზე ან პერსონალის დაბალ დონეზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც კრიზისული სიტუაციისა და გაკოტრების მართვის შემადგენელი ნაწილი, გვთავაზობს საწარმოს სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველაზე ეფექტიან ფორმებს, რომლებიც შეესაბამებიან კონკრეტულ სიტუაციას.


გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითოეული საწარმოსათვის აუცილებელია ის საერთო პროცედურა, რომელთაგანაც შეიძლება ავირჩიოთ ორი ძირითადი ტაქტიკა: დამცავი და შემტევი (ნახ. 4).

დამცავი ტაქტიკა ეყრდნობა ხარჯების შემცირებას, რასაც მივყავართ მთლიანად წარმოების შემცირებასთან. ასეთი ღონისძიებები არაეფექტიანია საწარმოსათვის.

შედარებით ეფექტიანია შემტევი ტაქტიკა, ე.ი. ოპერატიულ ღონისძიებებთან ერთად უფრო მეტად სტრატეგიული ღონისძიებების გატარება. ამ შემთხვევაში რესურსების დამზოგ ღონისძიებებთან ერთად ტარდება აგრესიული მარკეტინგი, ახალი გასაღების ბაზრების შესწავლა და დაპყრობა, პროდუქციაზე ფასების დაწესება, წარმოების რეორგანიზაციის, ძირითადი ფონდების სრულყოფისა და პერსპექტიული ტექნოლოგიის დანერგვისათვის დანახარჯების ზრდა.

ამავე დროს აუცილებელია საწარმოს ადმინისტრაციული აპარატის რეორგანიზაცია, კომპლექსური ანალიზი და შექმნილი სიტუაციის შეფასება. აუცილებლობის შემთხვევაში საწარმოს „ფილოსოფიის“ კორექტირება, ე.ი. ცვლილება სტრატეგია, შესაბამისად გადაისინჯება ზარზე საწარმოო პროგრამა, მიმდინარეობს წარმოს პოზიციის განმტკიცება, ბაზრის სეგმენტის დაუფლება, პროდუქციის ნომენკლატურის განახლება. აღნიშნული პრობლემების სრულყოფა გამოხატულებას პოულობს ადამიანურ, საწარმოო და საკადრო კონცეფციებში. შესაბამისად კორექტირდება ადამიანური, მარკეტინგული, ტექნიკური და ინვესტიციური პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს წარმოებას გააუმჯობესოს მისი ადამიანური მდგომარეობა.

გაკოტრების ცივილიზებულ სისტემაში ვიდიან არა მარტო საწარმოები და მათთან



ნახ. 4. საწარმოს კრიზისული სიტუაციის მართვა

კავშირებული პარტნიორები (კრედიტორები, მომწოდებლები), არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც. სახელმწიფო მართვის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ გაკოტრების სისტემის არა მარტო ორგანიზაციული, არამედ სამართლებრივი და სოციალური სისტემის ფუნქციონირებაც. ეს კი გულისხმობს მართვის სტრუქტურის, ინვესტიციების გეგმების შედგენის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის, საინაციისა და სხვა საკითხებზე გაჯანსაღების პროგრამების შედგენას.

ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ". თბ. 1999 წ.
2. საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ". საქართველოს პარლამენტის უწყებანი. 1996 წ. №19-20.
3. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბ. გამომც. „დიოგენე". 2000 წ.
4. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა, ტ. I,II. თბ. 1998 წ.
5. სოლოღაშვილი დ. სამრეწველო საწარმოს ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა. ქუთაისი. 2002 წ.
6. სოლოღაშვილი დ. პრივატიზებულ საწარმოთა ფინანსური უზრუნველყოფის მეთოდოლოგიური საკითხები. ქუთაისი. 2006 წ.
7. Экономика фирмы. Уч. пос., А.С. Бляхмен. Санкт-Петербург. 1999 г.
8. Волкова О.Н., Экономика предприятия. М., 1998 г.

მენეჯმენტი, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა

ვაჟა გურაბანიძე

კარიერის მართვა - ხელმძღვანელთა მემკვიდრეობისა და კარიერის დაგეგმვა

კარიერის მართვა შედგება კარიერის დაგეგმვისა და ხელმძღვანელთა მემკვიდრეობის დაგეგმვის პროცესისგან. კარიერის დაგეგმვა აყალიბებს პიროვნების თანდათანობით წინსვლას ორგანიზაციაში ამ ორგანიზაციის მოთხოვნილებების და მისი ცალკეული წევრების მწარმოებლურობის, პოტენციისა და უპირატესობების შეფასების თანახმად. ხელმძღვანელთა მემკვიდრეობის დაგეგმვა ხდება იმისათვის, თუ რამდენად შესაძლებელია ორგანიზაციას ჰყავდეს მისთვის საჭირო მენეჯერები ბიზნესის მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კარიერის მართვას სამი ყოვლისმომცველი მიზანი გააჩნია:

1) ისე, რომ დაკმაყოფილდეს ორგანიზაციის მოთხოვნილებები ხელმძღვანელთა მემკვიდრეობის საქმეში;

2) იმედის მომცემი პიროვნების უზრუნველყოფა თანამიმდევრული მომზადებითა და გამოცდილებით, რაც მათ შეასრულებინებს იმ ვალდებულებებს, რისი მიღწევის უნარიც გააჩნიათ;

3) შესაბამისი პოტენციის მქონე პიროვნებების კონსულტირება და დახმარება იმ შემთხვევაში, თუ მათ უნდათ გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი და მიაღწიონ წარმატებულ კარიერას ორგანიზაციაში საკუთარი ტალანტისა და მისწრაფებების შესაბამისად.

კარიერის დინამიკა გვიჩვენებს თუ როგორ ვითარდება კარიერა – იმ საშუალებებს, რომლითაც ადამიანი თავისი კარიერის წყალობით ზევით მიიწევს დაწინაურებისა და მისი როლის გაფართოებისა და გამდიდრების მეშვეობით. კარიერის განვითარება შემდეგი ეტაპებით მიმდინარეობს:

- კარიერის საწყისი ზრდა – როდესაც ადამიანი იძენს ახალ უნარს, ცოდნა სწრაფად ფართოვდება, კომპეტენტურობაც სწრაფად ვითარდება და მისწრაფებები თუ მიდრეკილებები იკვეთება:

- კარიერის ბილიკის გაკვალვა – როდესაც ზრდის საფეხურზე უკვე შეძენილი ცოდნა და უნარი გამოიყენება;

- განვითარების მაღალი დონის მიღწევა – როდესაც ადამიანი კარგადაა დაფუძნებული თავისი კარიერის ბილიკზე და ამ გზით მიიწევს წინ საკუთარი მოტივაციის, შესაძლებლობებისა და უნარის მიხედვით.

თითოეული ამ საფეხურის გავლისას ადამიანი ვითარდება და წინ მიიწევს სხვადასხვა დონისკენ. ეს ნიშნავს, რომ სიმწიფის დონეზე (განვითარების მაღალი დონე) ადამიანი აგრძელებს განვითარებას, ან "პლატოზეა", ანუ ადამიანი იზრდება, თუმცა კვლავ სასარგებლო სამუშაოს ასრულებს ან სტაგნაციაშია და დონე ეცემა.

კარიერის მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგი გადაწყვეტილებების მიღებას: ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს, შექმნის თუ გაანადგურებს საკუთარ მენეჯერებს, ან დაიქირავებს გარედან, ე.ი. ორგანიზაციას ესაჭიროება თუ არა "სისხლის გადასხმა".

მემკვიდრეობის დაგეგმვის მიზანია იმის უზრუნველყოფა, თუ რამდენად შესაძლებელია საფერისი მენეჯერები იყვნენ ხელმისაწვდომი დაწინაურების, პენსიაზე გასვლის, გარდაცვლების, სხვაგან გადასვლის ან გადაყვანის შექმნილი ვაკანსიების შესავსებად. მისი მიზანია, აგრეთვე მენეჯერთა კადრი არსებობდეს ახალი თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც შესაძლოა მომავალში წარმოიშვას.

მართვის მემკვიდრეობის დაგეგმვის ინფორმაცია გამომდინარეობს ორგანიზაციის შემეძებიდან და მოთხოვნისა და მიწოდების პრინციპიდან. მემკვიდრეობის გეგმაზე გავლენას ახდენს ორგანიზაციის განვითარების დინამიკა, აგრეთვე მწარმოებლურობისა და პოტენციის შეფასებები, რომელიც იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ არის ახლა მზად, ან მომავალში იქნება მზად დაგეგმილი ვაკანსიების დასაკავებლად. ორგანიზაციას აუცილებლად სჭირდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის აქვს პოტენციალი და აქედან გამომდინარე, შესაძლებლობა თავიანთ კომენტარებში უნდა მიუთითონ, რომ ეს არის ის პიროვნება, რომელიც არამხოლოდ ნაყოფიერად მუშაობს ახლანდელ სამუშაოზე, არამედ შეძლებს იყოს ასევე პოტენციანი მაღალი დონის თანამდებობაზეც.

კარიერის დაგეგმვა კარიერის მართვის ძირითადი პროცესია. კარიერის განვითარების საზღვრა შესაძლებელია იმ კომპეტენციის ხედვით, რაც აუცილებელია ადამიანისთვის სამუშაოს შესასრულებლად პასუხისმგებლობის, თუ მიღწევების პროგრესულ დონეზე. დონე შეიძლება დავახასიათოთ, როგორც

პეტენციის დიაპაზონი.

კარიერის დაგეგმვის პროცედურები ყოველთვის ეფუძნება იმას, თუ რა სჭირდება ორგანიზაციას, მაგრამ აღიარებულია, რომ ორგანიზაციის მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, თუ ცალკე ადამიანები იქნებიან უგულებელყოფილნი. კარიერის დაგეგმვა უნდა აღიარებდეს, რომ ორგანიზაციის წევრებს უნდა აფასებდნენ როგორც პიროვნებებს, რომელთაც გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები, სურვილები და შესაძლებლობები; ცალკეულ პიროვნებებს შეუძლიათ გაზარდონ, შეცვალონ და ახალი მიმართულებები ეძიონ იმ შემთხვევაში, თუ მათ შესაბამისი შესაძლებლობები მიეცემათ, ექნებათ მხარდაჭერა და გაუწევენ სწორ ხელმძღვანელობას.

კარიერის დაგეგმვა იყენებს მთელ ინფორმაციას, რომელიც გამომდინარეობს მემკვიდრეობის გეგმიდან, მწარმოებლურობიდან, პოტენციის შეფასებისა და თვითშეფასებიდან. მემკვიდრეობის პროგრამების განსავითარებლად, დაგეგმვის ამოცანების მისაღწევად და მოტივაციის, ვალდებულებებისა და მწარმოებლურობის გასაუმჯობესებლად. ამ გამოყენებულ პროცედურებს ეხებათ:

- პირადი განვითარების დაგეგმვა;
- მომზადება და ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;
- დამრიგებლობა;
- კარიერის შესახებ კონსულტაციები.

პირადი განვითარების დაგეგმვას ასრულებს პიროვნება, თავისი მენეჯერის დახმარებით, რეკომენდაციებით და მხარდაჭერით. პირადი განვითარების გეგმა ისახავს ისეთ ქმედებებს, რომლითაც ადამიანებმა უნდა ისწავლონ და განვითარდნენ.

ხელმძღვანელობის კვალიფიკაციის ამაღლება ხელს უწყობს ბიზნესის წარმატებას იმით, რომ ეხმარება ორგანიზაციას მისთვის საჭირო კადრების გაზრდაში, აძლევს განვითარების შესაძლებლობებს და ამით უზრუნველყოფს მართვის თანმიმდევრობას.

დამრიგებლობა არის სპეციალურად შერჩეული და მომზადებული ადამიანების გამოყენება კონსულტაციის და რჩევების მისაცემად. დამრიგებლობის მიზანია სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ სწავლების დამატებითი გამოყენება, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს გარკვეული უნარისა და ცოდნის ათვისების საშუალება, რაც მომუშავისათვის აუცილებელია. დამრიგებლობა, ოფიციალური მომზადების გარდა, გულისხმობს მომუშავისათვის ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარების გამოცდილი მენეჯერების მეშვეობით. დამრიგებლები მათზე განპირობებულ ადამიანებს უწევენ შემდეგ დახმარებას:

- კონსულტაციებს უწევენ პირადი განვითარების პროგრამების ან სასწავლო კონტრაქტების შედგენაში;
- რეკომენდაციებს აძლევენ, თუ როგორ უნდა მიიღონ აუცილებელი ცოდნა და კვალიფიკაცია ახალი სამუშაოს შესასრულებლად;
- კონსულტაციებს უწევენ პიროვნებებს ნებისმიერი ადმინისტრაციული, ტექნიკური ან ადამიანური პრობლემების გარკვევაში, განსაკუთრებით მათი მუშაობის დაწყების ადრეულ ეტაპზე;
- ავარჯიშებენ სპეციფიკურ უნარში და ა.შ.

მწარმოებლურობის მართვის პროცესები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკონსულტაციო შეხვედრებით ცალკეულ პიროვნებებსა და მენეჯერების შორის. განვითარების ცენტრები კარიერის შესახებ კონსულტაციებისა და დაგეგმვის საუკეთესო საშუალებაა.

კარიერის შესახებ კონსულტაციები სერიოზული და კვალიფიციური სამუშაოა. ზოგიერთი დიდი ორგანიზაცია ნიშნავს სპეციალისტს, რომლის ერთადერთი სამუშაოა რჩევებით მომსახურება – თუ რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ და უფრო ზოგადად ორგანიზაციამ. ამ ადამიანებს ესაჭიროებათ მეტი თვითდაჯერება, ინფორმაციის მიღება კარიერის განვითარების შესაძლებლობების შესახებ და გადაწყვეტილების მიღების სრულყოფის უნარი. დამრიგებლობაც შესაძლოა გამოყენებული იყოს ამ მიზნებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ კარიერის მართვა მოითხოვს ისეთ მეთოდს, რომელიც ნათლად ითვალისწინებს როგორც ორგანიზაციას, ისე დაქირავებულის ინტერესებს. მასში შედის დაქირავება, პირადი განვითარების გეგმები, ჰორიზონტალური გადაადგილებები, განვითარების პოზიციები და იმ დაქირავებულთა დახმარება, ვისაც უნდა კვალიფიკაციის ამაღლება.

ლიტერატურა და წყაროები:

1. მ. არმსტრონგი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ. 2003.
2. ნ. პაიჭაძე, შრომის ეკონომიკა, თბ. 2000.
3. ჯ. გურაბანიძე, ნ. ქიქოძე, შრომითი რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი. 2006.
4. ნ. ქიქოძე, მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი. 2004.

ბიზნესის ეკონომიკა

თეა ვალიშვილი
ნუგზარ თოდუა

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში

თანამედროვე ეტაპზე განათლება ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და პერსპექტიული დარგია. დღეისათვის მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნის მოცულობა საგანმანათლებლო მომსახურებაზე, განსაკუთრებით უმაღლეს და დიპლომისშემდგომ განათლებაზე, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მათი ყოველწლიური ზრდის ტემპი აღწევს 10-15%-ს. თავისი პოტენციალითა და განვითარების ლოგიკით განათლების სფერო ინვესტორების სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. განათლება მიმზიდველია ასევე კაპიტალდაბანდებების საბოლოო მომგებიანობითაც. განათლების სფეროში ინვესტიციების გამოსყიდვა ყოველ დაბანდებულ დოლარზე შეადგენს 3-დან 6 დოლარამდე. მაგრამ ასეთი უკუგება მიიღწევა არც თუ ისე მალე, ამას დრო სჭირდება. ამით არის განპირობებული ამ სფეროში მოღვაწე სუბიექტების მოქმედებების სტრატეგიისა და ტაქტიკის, განსაკუთრებით მარკეტინგის თანამებროვე კონცეფციების კარგად გააზრების აუცილებლობა.[1]

ბაზრის სუბიექტების მოღვაწეობის მართვისადმი მარკეტინგული მიდგომა საკმაო სიძნელეებს აწყდება განათლების სფეროში. ტრადიციულად განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც კი განათლების სფერო იყო და არის სახელმწიფო სტრუქტურების განსაკუთრებული ყურადღებისა და ხელშეწყობის ობიექტი. ამიტომ სახელმწიფო ამ დარგის დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი მოცულობის ასიგნებებს გამოყოფს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ქვეყანაში, რომელიც წარმატებით აშენებდა თანამედროვე ბაზარს (მაგალითად, ომისშემდგომი გერმანია და იაპონია, აგრეთვე გერმანია გაერთიანების შემდეგ) სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების სფეროს (ანუ უმაღლესი და დიპლომისშემდგომი განათლების სფეროს) სახელმწიფო განიხილავდა როგორც პრიორიტეტულს და სწორედ ამის საფუძველზე გეგმავდა თავის საინვესტიციო პოლიტიკას.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენება. ეკონომისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ადამიანური რესურსები და არა კაპიტალი და ბუნებრივი სიმდიდრე განსაზღვრავს მთლიანობაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხასიათს. ადამიანური რესურსების ჩამოყალიბებაში კი უპირატესი როლი განათლების სისტემას აკისრია. საქართველოში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდი განათლების სიტემისათვის საკმაოდ რთულია, რასაც განაპირობებს ძველი სტერეოტიპების რღვევა, ახალი კანონმდებლობა, რომელიც საგანმანათლებლო მომსახურებისათვის არც თუ იშვიათად შეიცავს წინააღმდეგობებს და რაც მთავარია, ეს ყველაფერი მიმდინარეობს უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე.

ამ შემთხვევაში ერთგვარ „ხსნის გზად" შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგი, რომლის საშუალებითაც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები ახორციელებენ რეაგირებას გარე ფაქტორების ზემოქმედებაზე, შიგა სტრუქტურების ადაპტაციასა და მოსახლეობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე დამატებითი სახსრების მოზიდვასა და აკუმულირებას.

ტრანსფორმირებადმა საქართველომ ვერ შესძლო წასულიყო ამ გზით. თავი იჩინა რესურსების მკაცრმა დეფიციტმა, ხოლო პოლიტიკურ-სამართლებრივი დეკლარაციები განათლების პრიორიტეტის შესახებ განუხორციელებელი დარჩა. ჩვენში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საგანმანათლებლო დაწესებულებები იძულებით ჩაერთვენ საბაზრო ურთიერთობებში, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შესძლეს მატერიალურად მათი საკმარისად უზრუნველყოფა. განათლების სისტემის დაწესებულებები იძულებულნი გახდნენ თავად შეიმუშაონ გადარჩენის სტრატეგია და მოახდინონ მისი რეალიზაცია ჯერაც ჩამოუყალიბებელ სამამულო ბაზარზე. თუ განვითა-

[1] Миронова Н. Дифференцированный подход к маркетингу услуг. http://www.marketologi.ru.

რებულ ქვეყნებში განათლების სფეროში მარკეტინგის აუცილებლობა ჯერ კიდევ იზრდება, საქართველოში განათლების სფეროს აქტიურმა კომერციალიზაციამ ამ სფეროში მარკეტინგის პრობლემა საკმაოდ მკაცრად დააყენა, მათ შორის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშეც.

ჩვენში არსებული სასწავლო დაწესებულებათა უმრავლესობა არ მიიჩნევს აუცილებლობად მარკეტინგის გამოყენებას, რასაც ხელს უწყობს რეალურ ვითარებაში შექმნილი მცდარი წარმოდგენები. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკმარისი მხოლოდ ახალი სპეციალობების ან კურსების შემოღება, მეორე ნაწილის აზრით კი აუცილებელია მხოლოდ საათის მექანიზმის მსგავსად ფუნქციონირებადი სასწავლო პროცესი. სხვა ნაწილს აქცენტი კონტიგენტის მოსახიდად რეკლამაზე და გასაღების სტიმულირებაზე გადააქვს. მსგავსი ორიენტაციები ნაკლებად უკავშირდება მარკეტინგსა და მის შესაძლებლობებს, რამდენადაც ისინი ცალკეულ მიზნებს ემსახურებიან და არა ერთი მთლიანი, ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან წარმოქმნილ კომპლექსს.

თანამედროვე პირობებში სასწავლო დაწესებულებების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგის გამოყენება, რომელიც კლიენტების მოთხოვნების და ინტერესების განსაზღვრასა და დაკმაყოფილებას გულისხმობს. სწორედ ამგვარი მარკეტინგით მიიღწევა ტრიუმვირატის (ორგანიზაცია, მომხმარებელი, საზოგადოება) კეთილდღეობა.

მსოფლიოს ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა უკვე გაითავისა ასეთი მარკეტინგული საქმიანობის აუცილებლობა. ამიტომ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებს უკვე გააჩნიათ პროფესიული თანამშრომლებით დაკომპლექტებული მარკეტინგის განყოფილებები.

საქართველოში, ეკონომიკის სხვა დარგების მსგავსად, განათლების სფეროშიც უმაღლეს სასწავლებლებს არ შეუძლიათ შეიმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამები საკუთარი რესურსებიდან გამომდინარე. საგანმანათლებლო საქმიანობის ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს მომხმარებლების (სტუდენტების, მსმენელების, მომავალი დამსაქმებლების, რეკრუტინგული სააგენტოების, აბიტურიენტების, მთლიანად საზოგადოების) მოთხოვნილებები და მოთხოვნები. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა დროულად და სწორად ვერ აფასებს ახალ სიტუაციებს. ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ვერ ამჩნევს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს და გათვლებს ისევ აკეთებს განათლების ტრადიციულ მოდელზე. უმაღლესი სასწავლებლების წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანების გადასაჭრელად მათ მოუწევთ სერიოზული ცვლილებების გატარება.

ეს ცვლილებები უწინარეს ყოვლისა, მოიცავს განათლების ბაზარზე უმაღლესი სასწავლებლის მიერ საკუთარი მდგომარეობის გაანალიზებას, საკუთარი კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრას, სწავლების პროცესისადმი დამოკიდებულების შეცვლას როგორც სტუდენტების, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან. უმაღლესი სასწავლებლების მიერ საგანმანათლებლო ბაზარზე წამყვანი მდგომარეობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება კურსდამთავრებულებთან და გარე ორგანიზაციებთან მყარი და გრძელვადიანი ურთიერთობების გარეშე, რომლებიც შრომის ბაზარზე ცვლილებების მონიტორინგის საშუალებას იძლევა. სასწავლო დისციპლინების შინაარსში ცვლილებების შეტანა უმაღლესი სასწავლებლის მიერ უნდა განხორციელდეს მიზნობრივი ბაზრის მოთხოვნილებების კვლევის საფუძველზე და მას თან უნდა ახლდეს ახალი ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების დაუფლება. ამასთან, აქცენტის გადატანა საუდიტორიო დატვირთვიდან დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურ ორგანიზაციაზე მოითხოვს დამოუკიდებელი მუშაობის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფის მოთხოვნის შემუშავებას, ცოდნის შეფასებისა და პედაგოგიური შემადგენლობის სპეციალური მომზადებისა და სერთიფიკაციის შეცვლას. პედაგოგის თანდასწრებითა და კონტროლის ქვეშ სწავლებიდან უმაღლესი სასწავლებლები უნდა გადავიდნენ სასწავლო პროცესის ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც ითვალისწინებს თავად სტუდენტის პასუხისმგებლობას სწავლის ხარისხსა და შედეგებზე. ეს კი მოითხოვს მოტივაციის და ცვლილებების მართვის ახალი სისტემის შექმნას.

ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ შრომის ბაზრის მოთხოვნები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოებრივი მოხმარების საქონელსა და მომსახურების წარმოება ხდება მოსახლეობის ერთი ნაწილის (გადასახადის გადამხდელების) ხარჯზე, ხოლო მათ მოიხმარს სხვა (მაგალითად, საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლები). აწარმოებს რა საზოგადოებრივი მოხმარების პროდუქტს, საგანმანათლებლო დაწესებულება მუშაობს ერთდროულად ორ ბაზარზე. უმაღლესი სასწავლებელი საზოგადოებას სთავაზობს გარკვეული სახის მომსახურებას, რომელთა მომ-

ხმარებლები არიან მოსწავლეები და სტუდენტები. ამავდროულად იგი თავისი მოღვაწეობის შედეგებს წარმოადგენს შრომის ბაზარზე, რომლის მომხმარებლებიც არიან ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები. ამ ორმაგ ბუნებას შეაქვს გარკვეული გაუგებრობა საგანმანათლებლო საქონლის, გასაღების მიზნობრივი ბაზრისა და მომხმარებელთა ჯგუფის განსაზღვრაში. მოღვაწეობს რა ორ დაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ ბაზარზე (საგანმანათლებლო მომსახურების და შრომის ბაზარზე), უმაღლეს სასწავლებელს, მიუხედავად ამისა, გააჩნია მხოლოდ ერთი პროდუქტი, რომლითაც ის გადის ორივე ბაზარზე. ყველა მკვლევარი ეთანხმება იმას, რომ უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სტრატეგიის შემუშავებისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სწავლის მსურველთა მოთხოვნილებები.[2]

საგანმანათლებლო მომსახურების საერთაშორისო ბაზარი ხასიათდება ისეთივე ტენდენციებით, როგორითაც სამომხმარებლო საქონლის ბაზარი. გლობალიზაციის პროცესების განვითარების კვალდაკვალ საგანმანათლებლო მომსახურებამ გადააბიჯა ნაციონალურ საზღვრებს, ვითარდება ტრანსნაციონალური და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები. ინტეგრაციის პროცესმა ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და ნაციონალური საგანმანათლებლო სისტემების თანამშრომლობაში, რაც გულისხმობს სასწავლო დატვირთვის ზომის ერთეულებისა და ხარისხის ერთიანი სტანდარტების შერჩევას, ასევე იცვლება განათლების როლიც თანამედროვე მსოფლიოში. ის ხდება ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესი, ვინაიდან მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანი აწყდება ცოდნის მოძველების პროცესს, მისი განახლებისა და შევსების, ახალი პროფესიული დარგების დაუფლების აუცილებლობას. დღეისათვის ბაზარზე სიტუაციის შეცვლამ გამოიწვია ინიციატივისა და ძალაუფლების გადასვლა მომხმარებლის ხელში. თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნები უკვე აღარ წარმოადგენს „ერთგვაროვან მასას" და მრავალრიცხოვანი ჯგუფები თავისი სპეციფიკური მოთხოვნებით ხასიათდება. ამასთან, იზრდება მომხმარებლებთა ე. წ. არატრადიციული ჯგუფების წილი, რომელთა დემოგრაფიული მახასიათებლები, მოთხოვნები და მოხმარების პირობები განსხვავდება ტრადიციული სტუდენტებისაგან.[3]

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ თანამედროვე პირობებში იმის მტკიცება, თითქოს ჩვენში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ იმუშაონ მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე და ამიტომ მათ არ ესაჭიროებათ საერთაშორისო საქმიანობა, მცდარია. დღეისათვის ნაციონალური საზღვრები სულ უფრო გამჭირვალე ხდება და საგანმანათლებლო მომსახურებათა ბაზარი ამაში ხშირად უსწრებს ეკონომიკის სხვა დარგებს. საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი გარკვეულ დონეზე მაინც მუშაობს საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. ამიტომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის ვერ ახერხებს უცხოური უმაღლესი სასწავლებლების მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას, მათ მიერ გამოშვებულ სპეციალისტებს მაინც მოუწევთ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში მუშაობა. აქედან გამომდინარე, ცხადია, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ნებისმიერ შემთხვევაში მონაწილეობენ შრომის ბაზარზე არსებულ საერთაშორისო კონკურენციაში.

ყოველივე ეს კი მოითხოვს სამამულო უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის ორიენტაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, რაც გულისხმობს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შემოღებასა და მათ მკაცრ დაცვას. ასეთი სტანდარტების სისტემის შერჩევა უნდა მოხდეს უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე. უმაღლეს სასწავლებელს ესაჭიროება სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს განვითარების ყველა მიმართულებას და მის პოზიციებს ბაზარზე, ყოველი მიმართულების კონკრეტული ბიზნეს მოდელების შემუშავებას და მათი მართვის პროცესებს.

[2] Сагинова О.В. Маркетинг образовательных услуг. Маркетинг в России и за рубежом. №1/1999

[3] Сагинова О.В. Изменения на рынке образовательных услуг и качество подготовки специалистов. http://www.marketologi.ru.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ცვლილებების მართვის სისტემის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს მარკეტინგული საქმიანობის არსებული და ახალი მიმართულებების ანალიზისადმი სტრატეგიული მიდგომა.

ცხადია, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება რთული და ტევადი თემაა, რომელიც ცალკე განხილვის საგანია, მაგრამ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ამ სტრატეგიის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრინციპი. პირველი ესაა მიზნებისა და საუკეთესო შედეგებისადმი შესაბამისობის პრინციპი. საქმიანობის ყველა დაგეგმილი სახეობა უნდა შეესაბამებოდეს დასახულ ამოცანებს. შესრულების პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საქმიანობის იმ სახეობებს, რომლებიც საუკეთესო შედეგებს გვაძლევს. ამიტომ სტრატეგიულ დაგეგმვაში აუცილებელია ჩავდოთ გარკვეული მოქნილობა. მეორეა სისტემურობის პრინციპი, რომელიც საშუალებას მისცემს უმაღლეს სასწავლებელს საქმიანობის თითოეული სახეობა განიხილოს არა იზოლირებულად, არამედ საერთო ამოცანებთან და საქმიანობის სხვა სახეობებთან კავშირში. ეს კი უზრუნველყოფს მაქსიმალური სინერგიული შედეგის მიღწევას. მესამეა ჯანსაღი ოპორტუნიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ ახალი მიმართულებები და ამავე დროს არ გადავუხვიოთ საწყის სტრატეგიას. მეოთხეა ცვლილებების გააზრებული აუცილებლობის პრინციპი, რაც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ გეგმის შესრულების პროცესში წამოჭრილი პრობლემები და შევიტანოთ შესაბამისი ცვლილებები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს ინტენსიურად ყალიბდება მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები ერთდროულად წარმოადგენენ თავიანთ პროდუქტს და მომსახურებას ეროვნული საზღვრებით შეზღუდვის გარეშე. ეს კი ნიშნავს, რომ სურს თუ არა ეს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს, მზად არიან თუ არა ისინი ამისათვის, აცნობიერებენ თუ არა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს, ისინი მუშაობენ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. მათ უნდა იბრძოლონ აბიტურიენტებისათვის არა მარტო ქართულ უმაღლეს სასწავლებლებთან, არამედ საზღვარგარეთულ უმაღლეს სასწავლებლებთან და მათ შუამავლებთანაც, რომლებით ქართულ ბაზარზე თავაზობენ თავიანთ მომსახურებას. ცხადია, რაც უფრო სტაბილური იქნება უცხოური ინვესტორების თვალში სიტუაცია საქართველოში, მით უფრო საინტერესო და მიმზიდველი იქნება ქართული საგანმანათლებლო ბაზარი უცხოური უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ვინაიდან ეს გარდაუვალი აუცილებლობაა, უნდა ვიზრუნოთ, რათა ღირსეულად ჩავებათ ამ კონკურენციულ ბრძოლაში.

რამაზ ნამიჭეიშვილი

ეკონომიკური აზრის ისტორია საქართველოში

ნიკო ნიკოლაძე და მისი თანამედროვეები

მხედველობაში თუ არ მივიღებთ რადიკალურ განსხვავებებს, ნიკო ნიკოლაძე პოპულარულ პუბლიკაციებსა და აკადემიურ ლიტერატურაში დასურათხატებულია ერთნაირი შინაარსით. ამ წყაროებიდან ვგებულობთ, რომ ნიკო ყოფილა პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, სამოციანელთა თვალსაჩინო წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე.

„განსხავებით თავის დიდ თანამდროვეთაგან, ნიკო ნიკოლაძე არ ყოფილა პოეტი, ბელეტრისტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი, მათ გვერდით სამუდამოდ დგომის უფლება მან მსხვილი პუბლიცისტურ-კრიტიკული კალმითა და ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაიმსახურა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო იგი თავისი მოწოდების სფეროში, როცა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ბუმბერაზი ქართველი მწერლები და მშობლიური ხალხის ფიქრთა მპყრობელნი-ილია და აკაკი მას ყველაზე საიმედო თანამებრძოლად და მოაზროვნედ თვლიდნენ“[1].

ნიკო ნიკოლაძე,-სავსებით სწორია, რომ არ იყო არც პოეტი და ბელეტრისტი, არც კრიტიკოსი (კრიტიკის პროფესიას!!! ვგულისხმობ). იგი ერთადერთი თვითმყოფადი ტალანტი იყო და გამორჩეულ პიროვნებად დარჩა ყველა მისი თანამედროვისაგან აზროვნების და, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური აზროვნების განახლებისა და კიდევ გლობალური, ინოვაციური, მენეჯერული და პრაქტიკული, რეფორმისტული საქმიანობის მრავალსახეობით. ნიკო ნიკოლაძის რეფორმისტულ ნააზრევს და იმის უპრეცედენტო ინოვაციური საქმიანობის პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სიღრმისეულ პლასტებში ბევრ მკლევართაგან ერთი თვალის გადავლებას თავისი ახსნა გააჩნია.

„ნაროდნიკული“ მოძრაობა ფრიად კეთილშობილიური და სწორად მიგნებული დიდი საქმე გახდა ხალხის განათლებისთვის და, მართალია, სახელდობრ განათლება არის ქვეყნის მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირიდან და უკიდურესი სოციალური დაძაბულობიდან მოსახლეობის თავის დაღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალება, მაგრამ მოსახლეობისთვის განათლების მიწოდება სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმების მეშვეობით ხორციელდება. აქ საჭიროებისა და აუცილებლობის შეგნება, უმეტესწილად, მოვლენის ზედაპირზე ძევს, რაც ხშირად გადაწყვეტილების მიღების აჩქარებულ იმპულსებს ქმნის და რეალიზაციის მექანიზმების არჩევანში გვიშლის ხელს. კეინსი მარშალის „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპების“ შესავალში წერს, თუ როგორი ძნელი გზა განვლო მარშალმა ეკონომიკური მეცნიერების გაგებამდე. ნიკო ნიკოლაძემაც ასეთი დაკვირვებით დაიწყო, რაც კარგად ჩანს მისი ვრცელი ნაწერებიდან 1860 წლიდან, ვიდრე 1880-იან წლებამდე. ეს საკმაოდ გრძელი პერიოდი გახლავთ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძის არაორდინალური ინტენსიური შრომისა და მოღვაწეობისა, რომელიც მის კრიტიკულ აზროვნებას ასპარეზს უქმნის და აჩვენებს, რომ „განათლების მიზანი ცოდნა კი არა, მოქმედებაა“ და მოსახლეობისთვის სწრაფად გადამდები სწორედ მაშინ ხდება, როცა სწავლული ადამიანი ნოვატორი და თვითშემოქმედია. ამისი შემეცნება გახდა ათვლის წერტილი, მკვეთრი შემობრუნება ნიკო ნიკოლაძის აზროვნებაში, თავისთავში, რამაც განაპირობა მისი სწრაფი მოქცევა მეწარმეობრივ საქმიანობაში. ყველაფერი ეს, როგორც აღნიშნული გვქონდა, ერის განმანათლებელი მამებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა და საქვეყნო საქმიანობიდან გაქცევად და ფულზე გამოდევნებად ჩაუთვალეს.

მეწარმეობისაკენ შემობრუნებას მისი სოციალური წარმოშობაც უწყობდა ხელს. ნიკო ნიკოლაძეს გენეტიკურ მემკვიდრეობად მოსდგამდა ბაბუისა და მამისაგან თვითორგანიზაციის, თვითრეალიზაციისა და თვითგამორჩევის, მეწარმეობისა და რისკზე ორიენტაციის უნარ-ჩვევები. და კიდევ: ინტუიციისადმი გამოდევნება. ამითაც გამორჩეული უპირატესობა ჰქონდა მის თანამედროვეთაგან შედარებით. თვით ნიკო ნიკოლაძის ოჯახური ცეცხლოვანი მატერია რად ღირს (ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია).

ახლა ზემოთ დაწყებულ საქმეს მივუბრუნდეთ. მაშინდელი რუსეთის იმპერიის საქართველო ძალზე ჩამორჩენილი აღმოჩნდა ევროპის

[1] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. თბ., 1962. გვ. 7.

ეკონომიკური და სოციალური პროგრესისაგან და კანონზომიერია ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძის მეწარმეობრივი, მენეჯერული, შემოქმედებითი და რეფორმისტული საქმიანობა იმ დროს უფრო ავტორიტეტულ საზოგადოებრივ საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან მიმართებაში წვრილმანად ჩათვალეს და მერე პრაქტიკულად მივიწყებული აღმოჩნდა. თუმცა თვითონ, როგორც პიროვნება, იგი ყველას ყოველთვის სჭირდებოდა და ამას ხშირად მისი ევროპული ენების ცოდნას უკავშირებენ (გვჩვევია ქართველებს დიდი და სახელოვანი პიროვნებების მსჯელობისას, უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლების უკანა პლანზე გადატანა. ნიკო ნიკოლაძესთან მიმართებაში ძნელი არ არის შემჩნევა იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძის ყველა უმნიშვნელოვანესი პიროვნული წარმატება მხოლოდ მისი ევროპული განათლებით აიხსნას, ვითომცდა იმის გარდა, სხვა ქართველს იმდროინდელ ევროპაში ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენები არ ესწავლოთ).

სოციალიზმის პირობებში უკვე დამარცხებული კაპიტალისტური ეკონომიკის ნიკო ნიკოლაძის რეფორმები, იმ დროს მტრულ ბურჟუაზიულ წარსულს ეკუთვნოდა და ამიტომ მისი ეკონომიკური შემოქმედება იმ ეპოქის ინტერესებში არ ექცეოდა, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მოღვაწეობა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს ეხება, გლობალურია, ვრცელია, საინტერესოა,სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის და ტალანტის ხელწერაა, თანაც არარევოლუციურია, რაც შემდგომში კაპიტალიზმის კრიტიკოსების მხოლოდ მორცხვი დაწუნების ფარგლებს არ გასცდენია. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ იმ შრომების მხოლოდ მცირე ნაწილია ხელმისაწვდომი მკითხველთათვის და მათში, ძირითადად, ნიკოს ახალგაზრდული ცხოვრების პერიოდია ასახული. ნიკო ნიკოლაძის შრომების თხზ. შვიდი ტომი (მერვე და მეცხრე ტომი ახლახან დაიბეჭდა), როგორც უკვე აღვნიშნე, მისი ახალგაზრდული მოღვაწეობის პროდუქტებია და ამდენად, ნიკოლაძის უფრო მაღალ აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე ცალმხრივი წარმოდგენის ფაქტურაა. ამის მიხედვით ყველაფერზე შეიძლება მსჯელობა და კამათი. მარტო რევოლუციონერ გ. ჩერნიშევსკის ციმბირის კატორღიდან გათავისუფლებაში მისი დამსახურება რამდენის მთქმელია. ყოველივე ამაზე გვერდის ავლა არც მაშინ შეიძლებოდა და ახლაც ხომ არ ივარგებს.

იმდროინდელ შრომებში მისი დამოკიდებულება ერის განმანათლებელი მამების მოღვაწეობისადმი, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ორიგინალური იყო და საზოგადოებრივი აზროვნებისადმი არც ისე ხელმისაწვდომი. ამის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება ნიკო ნიკოლაძის თანამოაზრეობისა და თანამებრძოლობისა. ყველაფერი პირიქითაა, ესაა მისი გამიჯვნის პერიოდი თანამედროვეებისაგან.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან იგი აზრობრივად და პრაქტიკული მოღვაწეობითაც შორდება მის თანამედროვეებს. ეს ნათლად ჩანს მისი პოლემიკური წერილებიდან. ნიკო ნიკოლაძე ევროპული აზროვნების მის ფავორიტებზე მაღლა მდგომი რეფორმატორია. ბევრის მთქმელია პრინციპული დამოკიდებულება მისი სიძის-გიორგი წერეთლისადმი.

გიორგი წერეთელს იგი აფასებდა, როგორც მწერალს, პროზაიკოსს, მაგრამ მის შეხედულებებს ლინგვისტობაზე, ენათმეცნიერებაზე, ისტორიაზე არასერიოზულად თვლიდა. იგი სწორია, მის შენიშვნებს, ვერც ერთ შემთხვევაში წუნს ვერ დავდებთ[2].

ქართველებს გვჩვევია ერთ ადამიანს ყველაფერი ისეთი მივაწეროთ, რომელსაც თვითონ არასგზით არ იკადრებდა, მითუმეტეს, რომ იმ ადამიანს ამნაირი არც სიკვდილამდე სჭირდებოდა და მის შემდეგაც ვერაფერს მიმატებს. ერის მამა, უბადლო მწერალი ილია ჭავჭავაძე ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნას იძულებად მიიჩნევდა, რასაც ლუკმა პურის შოვნა უბიძგებდა თურმე და ამით მის მწერლობას აკლდებოდა. „მე სწორედ გითხრა, ცუდი აგებულების კაცი ვარ! დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ ამის გამო დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყებულს მალე შევასრულებ და თუ დაწყებული შემაწყვეტინა რამემ, გათავდა, მე იმ დაწყებულს ვეღარ მივუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ასეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოსვენება არა მაქვს და ამის გამოა ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რითი ვიცხოვრო! ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის დევნაში, სამსახურს რომ თავი დავანებო“[3]. იგივე პოზიცია ეკავა ნიკო ნიკოლაძესაც, ოღონდ ათ-

[2] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 8. „პირველი ქართული ლექცია“ და „ბატონ წერეთლის წერილის გამო“.

[3] მანსვეტაშვილი ი. მოგონებები. თბ., 1985. გვ. 138.

ვლის სხვა წერტილიდან. „მწერლობაზე ხელი აიღოო, რაკი ფულიანი ადგილი იშოვნაო“. კარგად არ გაუცვნია მწერლის მოვალეობა იმას, ვინც ამას მაყვედრის! დიახაც, ისეთი მოწიწებით ვეპყრობი მწერლის დანიშნულებას, რომ ყოველთვის, როცა ან რკინის გზის, ან მრეწველობის, ან ქალაქის სამსახურს ვკისრულობდი, უადრეს მოვალეობად ვთვლიდი მწერლობაზე ხელი ამეღო. ორ ღმერთს, ერთსა და იმავე დროს, კაცი ვერ ემსახურება“[4].

ცხადზე ცხადია, რომ ნიკო ნიკოლაძემ მიაგნო თავის ადგილს ქვეყნისა და მისი ეკონომიკის რეფორმირებაში - მწერლობას გაერიდა. ამაში მჟღავნდება მისი განსაკუთრებული ფენომენი - რიგითი მკლევარიც შეამჩნევს, რომ ნიკო ნიკოლაძის აზროვნების სიღრმე და მასშტაბები მის შრომებში ასაკთან ერთად ღონიერი და აღმავალი ხდება და არ სუსტდება. ბევრს გაუჭირდა კაპიტალისტური აზროვნების გაგება. „იგი მართლაც გამორჩეულია მისი თანამედროვეთაგან. იგი უდაოდ უფრო პრაქტიკული თვალითა და უახლოესი ამოცანების გარკვევის ინტერესებიდან გამომდინარე იხილავდა და აფასებდა საზოგადოებრივ მოვლენებს. იგი ადრევე დარწმუნდა ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების აუცილებლობაში და ამ დიდ მოვლენას მან გვერდი არ აუარა არა როგორც მოაზროვნემ, არამედ როგორც პრაქტიკოსმა...მის გადასვლას პრაქტიკოს-მოღვაწეთა რიგებში მისივე თეორიული წინამძღვრები განაპირობებდნენ“[5]. ზემოხსენებული ავტორი აქ უკვე სწორია, მაგრამ სიტყვა „გადასვლა“ ზუსტი არ არის. ჩანს, რომ სულმნათი მკლევარი, ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო მოძრაობის უპირატესობის აზრის მიმდევარია.

ნიკო ნიკოლაძემ პირველმა იტვირთა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ეკონომიკის რეფორმატორის მძიმე ტვირთი და შექმნა სამეურნეო პატრიოტის პორტრეტი, რასაც ძნელია მოეძებნოს ანალოგი და პარალელიც. იგი არის ცალკერძ თავისთვის მდგომი, ერის წინამძღოლი ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე[6].

ხელოვნურია და მოგონილი დიდი ადამიანების შეხედულებების ჰარმონიის გამოძერწვა და მცდელობა იმის დაჯერებისა, რომ ყველა დიდ ადამიანს ერთმანეთში იდეალური ურთიერთობა აქვთ. მგონიაო, არ ვიტყვი, ცხადია, ეს ამაოდმცდელობაა. ადამიანის გენიალობა მისი შეხედულებების ორიგინალობაშია. თანაც რა საჩოთირო საქმეა იმ მკაცრი დაპირისპირების სიცხადეზე გამოტანა ილიასა და ნიკოს შორის რომ იქმნებოდა ხოლმე. ეს ხომ ამ ორი დიდი ადამიანის იდეათა და შეხედულებათა ომია, მეტოქეობა პოლიტიკურ ალტერნატივებზე და არა ომი მაკარონისა და ნავთობის მოტივებზე. იყო მათ შორის მკაცრი, დაუნდობელი, მაგრამ არა ახირებული, არამედ პრინციპების დაპირისპირება. მაგრამ ამაში არაფერია საქვეყნო სირცხვილისა. ეს ამ ადამიანებისთვის დამახასიათებელი შეხედულებათა უთანხმოებების კოლიზიაა. არც იმის მოშველება მოგვცემს რაიმეს, რომ თითქოსდა ბატონ ნიკოს თავისი ნაშრომები დროზე გაყოლილად ჩაუთვლია და სოციალისტურ საქართველოში ილიას შრომების თხზულებათა სახით გამოცემა წინა პლანზე გამოუტანია. პუბლიცისტიკა რომ დროს მიჰყვება, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ვის მოუბრუნდება ნიკო ნიკოლაძის შრომები იმ დროის გაყოლილად ჩათვალოს, ფაქტია ისიც, რომ სოციალის მის მოკლევადიანმა სინამდვილემ და კაპიტალიზმის იძულებით განდევნამ ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შრომები დროებით გვერდზე ტოვა, მაგრამ სინამდვილეა ისიც, რომ დიდ მწერლად და ერის მოძღვრად დარჩა ბანკო და სხვა საქმიანობის მიუხედავად.

სოციალისტური ყაზარმული სისტემიდან ერის შემობრუნება ისევ ილიას აზროვნებით და მოწოდებით შეიძლებოდა და ეს ასეც და. დიდი ილია ისევ ერის მამა და მოძღვარი დიდი ნიკო-ქართული ეკონომიკის რეფორმატორი და სოციალური პროგრესის მეთაური, ბაზრო ეკონომიკის მესაძირკვლე. ილია მწერალთა შორის მწერლად დარჩა და ნიკო კიდევ ფორმატორად. ორი ბატონის შეუთავსებლობა ისინი იმ ადგილებზე დატოვა, სადაც თვითსურდათ. ილია, მიუხედავად თავისი უზარმაზარი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, პირველ ლისა, ისევ გავიმეოროთ, მწერალია. ნიკო ხედავად თავისი უზარმაზარი სამწერლო მოვაწეობისა, პირველ ყოვლისა, ქართული ეკონმიკის პირველი რეფორმატორია. ისინი საქთველოს პატრიოტულ გუნდებს ქმნიან, მაგრ

[4] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 1. გვ. 63.

[5] იქვე გვ. 62.

[6] უფრო დაწვრ. იხ. რ. ნამიჭეიშვილი, „საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისა და ეკონომიკის რეფორმების ნიკოლაძის ინტერპრეტაციები“ და რ. ნამიჭეიშვილი „ნ. ნიკოლაძის ეკონომიკური ფენომენი“. (ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა", შესაბამისად №9, 2005 და №4, 2006).

თითოეული თავის გუნდს უდგას სათავეში.

გარკვეულია ის, რომ კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების რევოლუციური მასშტაბები ევოლუციის ბოლო 250 წლის პერიოდის წყალობაა. მიუთითებენ იმასაც, რომ ყველაფერი ეს მეცნიერების განვითარებამ, აღმოჩენებმა და გამოგონებებმა გამოიწვია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, მეცნიერების განვითარების პრეისტორია ფაქტების დაგროვების პრიმატიდან იღებს სათავეს, მაშინ ცხადი გახდება ისიც, რომ ათასეული წლები ტრადიციების შექმნას ემსახურებოდა, რომლებიც ახლა ცოდნისა და გამოცდილების ამოუწურავი მასივებია, საიდანაც შემდგომი განვითარების ვარიანტების მარაოსებრი სიმრავლე იმპულსირდება. ნიკო ნიკოლაძემ ესეც დროულად შეამჩნია. „ძველი მოღვაწეების ნაშრომთა შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბობოლებისაგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები, მაგალითად, ყველასაგან ერთიანად დავიწყებული საადგილ-მამულო ბანკები“[7]. თუ რა შედეგები მოჰყვა, ნიკო ნიკოლაძის ამ რეპროდუქციას, უკვე ცნობილია.

დიდი რეფორმატორი სწორია-ეკონომიკური რეფორმაციები და სოციალური ინოვაციები, ღრმა კრიზისიდან გამოსვლის გზები და რესურსები ტრადიციებშია გაბნეული და იქედან უნდა გამოვიტანოთ. ალექსანდრე იაკოვლევი თანამედროვე რუსეთის დემოკრატიზაციის მემკვიდრეობას სტოლიპინის რეფორმებში ხედავდა[8]. ეს ის სტოლიპინია, რომლის რეფორმები რუსულ იმპერიას სჭირდებოდა, მაგრამ არა ფეოდალური დესპოტიზმის საზოგადოებას ბურჟუაზიულ ეპოქაში. სტოლიპინი საზოგადოების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ რა წარმატებებს მიაღწევდა ფეოდალური ურთიერთობების სისტემაში (რომელიც იგივე იაკოვლევის აზრით, ძლიერია დღესაც თანამედროვე რუსეთში), როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაასრულებინეს-მოკლეს.

ნიკო ნიკოლაძის რეფორმები ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის პროდუქტებია, მკაცრი და თანმიდევრული, სამეურნეო პატრიოტიზმით გაჯერებული, პიროვნებებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ეკონომიკური ინტერესების მეთოდური ბალანსირებით. მისი რეფორმები არის თანამშრომლობა ინტელექტუალებთან, შედეგები-მატერიალურად ხილვადი და თანაც პროგრესული, პერსპექტიული, თეორიულად საფუძვლიანად დასაბუთებული. იმდროინდელი სუსტი კაპიტალისტური ურთიერთობების პირობებში კრიტიკოსი ბევრი, მაგრამ კლასობრივი მტერი არ ჰყოლია. თანდათან იზრდებოდა ნიკოს საზოგადოებრივი მხარდაჭერის ფრონტი. დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური აღორძინების სიძნელეებიც მასზე იყო გათვლილი-მენშევიკურმა მთავრობამ იგი საგარეო საქმეთა ეკონომიკურ მრჩევლად დანიშნა, მაგრამ კომუნისტური იმპერიის უზურპაციამ დროებით შეაჩერა მისი დაწყებული რეფორმები. მიმდინარე საუკუნის საქართველოს ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სისრულით გამოიყენებს იგი ნიკო ნიკოლაძის რეფორმატორულ ტრადიციებს.

[7] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 1. გვ. 63.

[8] Яковлев А. Сумерки. Глава третья. "Петр Столыпин". М.: Материк, 2005.

რამაზ იაშვილი
თინათინ გუგეშაშვილი

ეკონომიკური აზრის ისტორია

ნიკო ნიკოლაძე და საბანკო საქმიანობის განვითარება საქართველოში

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე, იყო მრავალმხრივ განათლებული ადამიანი, ნიჭიერი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მწერალი, ეკონომისტი, იურისტი, მგზნებარე პოლემისტი, გამოჩენილი საზოგადებრივ-პოლიტიკური მოღვაწე.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ნიკო ნიკოლაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ვაჭრობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ბანკების, ამიერკავკასიის რკინიგზას და სხვა ეკონომიკურ საკითხებს.[1]

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი შეხედულებები და მოსაზრებები საბანკო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალურობას. სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ ნიკო ნიკოლაძე იყო ჭეშმარიტად, არა მარტო თავისი ეპოქის უდიდესი პიროვნება, არამედ თავისი ჭეშმარიტი დებულებებითა და დასკვნებით დღევანდელობას ეხმიანება. მისმა მოსაზრებებმა საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო.

ნიკო ნიკოლაძე პრაქტიკოსი ბანკირი, როგორც ასეთი, არ ყოფილა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სტატიები „ჩვენი კრედიტი", „ქუთაისის ბანკის საქმე", „საადგილმამულო კრედიტის პრაქტიკა", „მრუდე გამოსარჩლება", „FIAT LUX" (ლათ. „დე იყოს სინათლე") და „პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა", რომლებიც 1876 წელს დაიბეჭდა გაზეთებში „ტიფლისსკი ვესტნიკში" და „დროებაში", ნათლად წამოაჩენს მას როგორც საბანკო და საკრედიტო საქმის უაღრესად ღრმა მცოდნეს და რაც ასევე აუცილებლად ხაზგასასმელია, ამ სტატიებში, გარდა მისი ჭეშმარიტად ეკონომიკური შეხედულებებისა, ნიკო ნიკოლაძე პირველ რიგში, მგზნებარე პატრიოტი და მოჭირნახულეა თავისი ერისა და ქვეყნისა.

საყურადღებოა, რომ ქუთაისის საადგილმამულო-სათვადაზნაურო ბანკის გახსნასთან დაკავშირებულმა პოლემიკამ წამოწია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებით. მართალია, მაშინ მეწინავე საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო, მაგრამ ეს გაყოფა არ ყოფილა დაყოფის, დაშლის და დანაწილების, ურთიერთგაუცხოების დასაწყისი მაშინდელ ქართულ, ჭეშმარიტად საზოგადო მოღვაწეებში. პირიქით, ამ დროს გამოვლინდა მათი მაღალმოქალაქეობრივი ვალი ერისა და მამულის წინაშე. მათი კამათი იყო სწორედ ის, რაც შემდგომში ჭეშმარიტებად დადასტურდა. რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს წაიკითხავ მავანი მეცნიერ-მკლევარის მონოგრაფიას და შავით თეთრზე ამოიკითხავ, რომ თურმე - „ნიკო ნიკოლაძე უსამართლოდ და პირადი ინტერესების გამო ებრძოდა ბესარიონ ღოღობერიძეს და მის მიერ შედგენილ ბანკის წესდებას, რომელსაც მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძე, **რადგან ქუთაისისა და თბილისის ბანკების წესდება ერთი პრინციპით იყო შედგენილი**"[2]. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ეს ფრიად დაუსაბუთებელი და დაუზუსტებელი ბრალდებაა. ალბათ ეს იმ ეპოქის ბრალია, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ, სადაც ერთმანეთის კრიტიკა უკვე გაუთავებელ ლანძღვა-გინებაში გადადის და ინტრიგას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ჭეშმარიტებისათვის კამათს. დიახ, რადგან იმ ეპოქაში, როცა ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდნენ, ერთმანეთთან კამათში იბადებოდა საღი აზრი, იგივე „ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის" არ ნიშნავდა დაუსრულებელ ომს მამებსა და შვილებს შორის, არამედ ეს გახლდათ მომავალი საქართველოს კეთილდღეობისათვის თავგანწირული ბრძოლა, სადაც სიტყვა იყო მახვილიც და ფარიც ამავდროულად. კიდევ ერთი იმ არგუმენტის გასასამართლებლად, რომელიც ზემოთ აღინიშნა, არსად, ან ვერსად ნახავთ, რომ ერთმანეთის მიმართ მიმართვები სცილდებო-

[1] პ. გუგუშვილი, „ნიკო ნიკოლაძე. დაბადების ასი წლისთავისათვის" „კომუნისტი", 1943 წ., 202.

[2] გ. ცაავა „ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი" თბილისი, 1999 წ. 118-ე გვ.

დეს ზომიერების ფარგლებს, სინდისის და ნამუსის ზღვარს. პირიქით, მოვიყვანთ ამონარიდს ნიკო ნიკოლაძის მიერ გამოქვეყნებულ სტატიიდან "მრუდე გამოსარჩლება": „უმეტესი ნაწილი უფალი ჭავჭავაძის სტატიისა სრულიად არ შეეხება ჩემი პირველი სტატიის შინაარს და საგანს" და ასეთი ბევრია მათ ერთმანეთის საპასუხო სტატიტებში. მიაქციეთ ყურადღება: „უფალ ჭავჭავაძესო" – ასე მიმართავს არა მარტო მას, არამედ ყველას, ვისთანაც კი პოლემიკაში შედის ნიკო ნიკოლაძე. მას შეეძლო, გამოეყენებინა წინასიტყვად „თავად ჭაჭვჭავაძეს", მაგრამ იგი მაინც ამ ტერმინს ხმარობს, რამეთუ ამითვე სჩანს მისი დიდი ბუნება: სხვა პიროვნების მიმართ კამათში ის ყოველთვის თავმდაბალი და შემწყალეა. და, საერთოდ, მადლიერმა შთამომავლობამ ამ ორ ბუმბერაზ პიროვნებას თავიდანვე მიაგო სათანადო პატივი და უწოდა "დიდი ილია", "დიდი ნიკო". ხოლო მათი ნეშტი მთაწმინდაზე ერთმანეთის გვერდითაა დაკრძალული.

ახლა გადავიდეთ ძირითადზე და გავარკვიოთ, რითი არის ნიკოსეული ხედვა ასე აქტუალური. პირველი - ეს იყო მისი თვალთახედვა ბანკის წესდებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის წესდება ბესარიონ ღოღობერიძის მიერ, როგორც ნიკო აღნიშნავს, "გადმოწერილია სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელად, ისე რომ ერთი ასოს გადასაწორებაც ვერ გაუბედნია შემდგენელს",[3] მაშინდელი რუსეთის იმპერიის ხერსონისა და ხარკოვის ბანკების წესდების საფუძველზე. თითქოსდა საკამათო ამაში რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ნათლად ჩანს, თუ რას ნიშნავს ყოველგვარი ეროვნულობის იგნორირება და რა უარყოფით შედეგს იწვევს, საბოლოო ჯამში, იგი. დიდი ნიკოს სიტყვები რომ გამართლდა. უცხო სხეულის იმპლანტაციას ყოველთვის კარგი შედეგი არ მოაქვს პაციენტისათვის, თავი რომ დავანებოთ ოპერაციის კარგად ჩატარებას, რეამინირების შედეგად თითქმის ყველა პაციენტს ფსიქოლოგიური ჩარევა ესაჭიროება. ვინაიდან ვერ ეთვისება სხვა სხეულს. იქნებ დღესაც არ დაგვეშვა შეცდომები და, რაც საუკეთესო და სასარგებლოა, ის გადმოგვენერგა ქართულ მიწაზე, შეგვეხამებინა ქართულ ფსიქიკასთან, მორალთან და ტრადიციასთან და ასე გაშალაშინებული დაგვემკვიდრებინა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში. ეს ეხება არა მარტო ეკონომიკას, არამედ ქართული რეალობიდან გამომდინარე, სახალხო-მეურნეობისა და მეცნიერების თითქმის ყველა დარგსა და მიმართულებას. დიდი ნიკო შიშს გამოთქვამდა, რომ უცხოელთა მოძალებას ის მოჰყვება, რომ ქართულ მიწაწყალს უცხოელი ვაჭრები და კაპიტალისტები დაეპატრონებიან, რომელნიც საქართველოს მტაცებლური ექსპლოატაციისა და ძარცვის ობიექტად გადააქცევენო. სწორედ „ამ მოსულების ეშინია ჩვენს ხალხს, და ეშინია საფუძვლიანად, იმიტომ, რომ ისინი დაუზოგავად სარგებლობენ ჩვენი ხალხის და საზოგადოების სისუსტით, დაუსოგველად ყვლეფენ და აღარიბებენ მას"[4], ავიღოთ თუნდაც დიდი ნიკოს შემდეგი გამონათქვამი ბანკში ჩადებულ გირაოსთან დაკავშირებით: "ვთქვათ, მე ვაპირებ ჩემი მამულის დაგირავებას ბანკში - ვთქვათ, კიდევ მყავს ოციოდე მეზობელი ან სახლის-კაცი, რომელთაც ეწყინებათ შემდგომში, ჩემი მამული რომ ვისმე გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს. ვთქვათ კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონს ან სახეიროდ მიაჩნია ჩემი სოფლის გლეხ-კაცობას, რომელსაც, მართალია, ერთბაშად მისი ყიდვა არ შეუძლია, მაგრამ, ყიდვაზე რომ საქმე მივარდეს და რამდენიმე ათი წლით გაუნაწილოს კაცმა მისი ფასი, გარდახდა, ყიდვის უარს არ იტყვიან და დიდის სიამოვნებით შეიძენენ იმ ჩემს მამულს. განა შეუძლებელი საქმეა, ბანკში ამგვარ სახლის-კაცებთან, მეზობლებთან და გლეხებთან თავდაპირველამდე მორიგებაში შევიდეს, დაფასების დროს, და მტკიცე პირობა ჩამოართვას, რომ ვინიცობაა ჩემი მამული გასაყიდად რომ შეიქნეს ბანკის ვალში, ის ჩემი მეზობლები, სახლის-კაცები ან გლეხები მოვალეობას აიღებენ ამ და ამ ფასად ის მამული აიღონ და ამდენ და ამდენი წელიწადში მისი ფასი ბანკს დაუბრუნონ. წარმოვიდგინოთ ეხლა, რომ ბანკის წესდების შემქმნელმა იქონია მხედველობაში ეს წესი. ვნახოთ რამდენს სარგებელს მოუტუნდა ის ამით ქუთაისის ბანკს და საზოგადოებას."[5].

მდგომარეობიდან გამოსავალს ნიკო ნიკოლაძე ხედავდა სპეციალური საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებაში. ეს უკანასკნელი სამამულო მეურნეობის დაცვისა და განვითარების მოთავეები უნდა ყოფილიყვნენ: "საზოგადოებრივი ბანკები, – წერდა ნიკო ნიკოლაძე, იმისთვის არიან დაარსებულნი, რომ ურთიერთის შეერთებით

[3] ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. ტ-4, 1874-1876. თბ. 1964 „საბჭოთა საქართველო„. გვ. 378.

[4] იქვე, გვ. 388.

[5] იქვე, გვ. 389.

და თავდებით თანხა და ნდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი".

დღესდღეობით საქართველოში საბანკო სექტორი ყველაზე მეტი წარმატებულია სხვა ეკონომიკურ დარგებთან შედარებით. წარმატებულია იმიტომ, რომ ე. წ. „ჯიბის ბანკების ეპოქა", მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად, კარგახანია, რაც ისტორიას ჩაბარდა. გაიზარდა ბანკების საწესდებო კაპიტალი, მაგრამ, რაოდენ პარადოქსული არ უნდა იყოს თანამედროვე ბანკები მაინც ვერ აღწევენ სასურველ შედეგს ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებაში. ნიკოსეული ხედვა იმაში, რომ: „საკრედიტო დაწესებულების სწორი შეფასება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კაპიტალის ბრუნვისა და მოგების ოდენობით, დღესაც არ კარგავს აქტუალურობას. ეს იმითაც გამოიხატება, რომ მიუხედავად ბანკების მიერ კაპიტალის საგრძნობლად გადიდებისა და ახალი თანამედროვე საბანკო მომსახურებისა მოსახლეობის ნდობა მათ მიმართ მაინც არასახარბიელოა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ იმერეთის საბანკო სტატისტიკის 2005 წლის პირველი ივნისის მონაცემები სადაც მოზიდული ანაბრები ნახევარ მილიონ ლარს[6] ოდნავ სცილდება, რაც თავისთავად არა არის საკმარისი და კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთქმულ მოსაზრებას. ამას კიდევ ხელს უწყობს ისიც, რომ მეანაბრეს არ შეუძლია გახსნას ბანკში ვადიანი ანაბარი თუ ის 500 ათას ლარს არ აღემატება, არადა მოთხოვნამდე ანაბრის გახსნა არც ისე სახარბიელო მდგომრეობაში ამყოფებს კლიენტს, რამეთუ მასზე დარიცხული სარგებელი ძალზე დაბალია.

ავიღოთ თუნდაც იმერეთის მხარეში არსებული ბანკების ფილიალების მიერ გაცემული სესხები. 2006 წლის ექვსი თვის ჯამური მონაცემების საფუძველზე სულ გაცემულია დაახლოებით 32 მილიონი ლარი, აქედან ფიზიკურ პირებზე დაახლოებით 14 მილიონი ლარი (ეს ლომბარდული სესხებია, ოქროსა და ძვირფასი ლითონების საწინდრის ქვეშ გაცემული), ვაჭრობის მოსახურებაზე კი - 12 მილიონი ლარი. ხოლო საქართველოს ფარგლებს გარედან ჩამორიცხული ვალუტა ფიზიკურ პირებზე შეადგენს დაახლოებით 69 მილიონს, რაც წინა წელთან შედარებით 39,06%-ით მეტია.


ეს ციფრები ნამდვილად არ გვაძლევს დამშვიდების საშუალებას. ე. ი. გამოდის, რომ საქართველოდან გასული მოსახლეობა უფრო მეტს აგზავნის ფულად გზავნილებს თავიანთ ოჯახებში, ვიდრე მთლიანად ბანკები იძლევიან სესხს. არადა, ბანკები რომ უფრო ადვილად იძლეოდნენ სესხს, მაშინ, ალბათ, არც მოსახლეობის ის აქტიური ნაწილი გავიდოდა საზღვარგარეთ სამუშაოდ და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაც არ იქნებოდა ასე სავალალო მდგომარეობაში და როგორც დიდი ნიკო ამბობს „გაჭირვებული ხალხიც" ნაკლებად გვეყოლებოდა.

ამ პრობლემასთან ერთად ალბათ ის ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სათავეს მქონე ბანკები რეგიონებში არ არსებობენ. ამიტომ გაძნელებულია აღგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებით სესხების გაცემა. მოკლედ, თბილისში მყოფი სათავეს მქონე ბანკში სათანადოდ ვერ აღიქვამენ რეგიონში არსებულ სინამდვილეს. მათთვის ნაკლებად მიმზიდველია რეგიონებში კაპიტალის დაბანდება, რაც საბოლოო ჯამში, „ფინანსურ შიმშილს" და მოსახლეობის დაუსაქმებლობას იწვევს. ამას ემატება ისიც, რომ რეგიონებში არსებული ფილიალების მეშვეობით ხდება კაპიტალის გადადინება დედაქალაქში, რაც საბოლოოდ, რეგიონების გაღარიბებას იწვევს. ზემოხსენებული პრობლემა გადაიჭრება მაშინ, როცა შესაძლებელი გახდება მტკიცე საბანკო რეგიონული სექტორის ჩამოყალიბება. რეგიონული საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პრობლემას ორი ასპექტი აქვს: უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის რეგიონული სისტემის სიმყარის უზრუნველყოფა, რომელიც კაპიტალის მოძრაობის მაკროეკონომიკურ ტენდენციებთანაა დაკავშირებული, და მეორეც, ცალკეული რეგიონების საბანკო სისტემის სიმყარე, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარების შიდარეგიონულ პროცესებთან, ცალკეული რეგიონების მდგომარეობის სპეციფიკასა და ახალ პირობებში მათი განვითარების პერსპექტივებთან.

[6] იმერეთის საბანკო სტატისტიკა. 2005 წლის 6 თვის მონაცემები.

ნობელიანტი ეკონომისტები

ჩვენი ჟურნალი აგრძელებს ნარკვევების გამოქვეყნებას ნობელიანტი ეკონომისტების შესახებ. ამჯერად პ. სამუელსონის, ს. კუზნეცის და ვ. ლეონტიევის მიღწევებს შემოგთავაზებთ.



პოლ სამუელსონი დაიბადა 1915 წლის 15 მაისს ინდიანას შტატის გერიში. 20 წლისაც არ იყო პოლი, როცა ჩიკაგოს უნივერსიტეტში ბაკალავრის ხარისხი მიიღო. იგი ყველას აოცებდა თავისი ნიჭითა და უნარით. 1936 წელს მაგისტრის ხარისხის მიღებისთანავე იწყებს მუშაობას უმცროს მეცნიერ მუშაკად.

1941 წელს სამუელსონის ჰარვარდის უნივერსიტეტში იცავს დისერტაციას და უმაღლესი ხარისხის წარჩინებასთან – დევიდ უელსის მედალთან – ერთად იღებს დოქტორის ხარისხს. სამუელსონის დისერტაცია დაედო საფუძვლად ფუნდამენტალურ ნაშრომს „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები“. 1947 წელს ამერიკულმა ეკონომიკურმა ასოციაციამ მას გადასცა ჯონ კლრაკის პირველი მედალი, რომელიც ენიჭებოდათ 40 წლამდე ასაკის ეკონომისტებს მეცნიერებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის.

იმავე წელს იგი ხდება მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი და ეკონომიკის კათედრის გამგე. დიდი შრომა გასწია, რომ ეს კათედრა ეკონომიკის თეორიის კვლევის ცენტრად გადაქცეულიყო.

ეკონომიკურ მეცნიერებას სამუელსონმა მყარი მათემატიკური საფუძველი დაუდო და განაცხადა, რომ მათემატიკის ენა არის ერთადერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება გადმოიცეს თანამედროვე ეკონომიკური თეორიები. სამუელსონი თვლიდა, რომ მათემატიკური მეთოდის გამოყენება ეკონომიკურ ანალიზს უფრო ნათელს ხდის და რომ მისი თეორიები ატარებენ ემპირიულ დატვირთვას.

1938 წელს ჟურნალ „ეკონომიკაში“ დაიბეჭდა სამუელსონის პირველი სამეცნიერო სტატია „შენიშვნა მომხმარებელთა ქცევის წმინდა თეორიის შესახებ“.

1947 წელს გამოვიდა სამუელსონის წიგნი „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები“, რომელმაც ფურორი მოახდინა ეკონომისტთა შორის. ნაშრომი მოიცავდა ეკონომიკური თეორიის ყველა სფეროს, გადმოცემულს მათემატიკის ენით. წიგნმა გაუძლო გამოცდას და აღიარებულია XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ნაშრომად.

1948 წელს გამოქვეყნდა სამუელსონის მნიშვნელოვანი შრომა „ეკონომიკური ანალიზის შესავალი“. ეკონომიკური თეორიის ეს სახელმძღვანელო 15-ჯერ გამოიცა და ითარგმნა 20 ენაზე.

პირველ გამოცემაში გაანალიზებულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები, ხოლო შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა ეკონომიკური პრლობლემები, ხდებოდა წიგნის კორექტირება. სამუელსონმა შეასრულა უზარმაზარი მოცულობის სამუშაო – თვითონ მოამზადა სახელმძღვანელოს თორმეტივე გამოცემა. იგი ამავე დროს ნაყოფიერად მუშაობდა როგორც თეორეტიკოსი და პედაგოგი. სახელმძღვანელოების გადამუშავებისას სამუელსონი ცდილობდა მიახლოებოდა თავის მიზანს – მიეღწია „დიდი ნეოკლასიკური სინთეზისათვის“, რომელიც გააერთიანებდა ეროვნული შემოსავლის ანალიზის თანამედროვე მეთოდებსა და პოლიტიკური ეკონომიკის „მამების“ – **ა. სმიტის, დ. რიკარდოსა** და სხვების წმინდა პრინციპებს.

სამუელსონი არის 100-ზე მეტი სტატიის ავტორი. მისი ნაშრომების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. 1958 წელს გამოდის მისი ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ნაშრომი „სამომხმარებლო კრედიტის ზუსტი მოდელი სოციალურ ასიგნებათა გამოყენებით ან გამოუყენებლად“. ამ მოდელის მიხედვით, შუა ხნის ადამიანები თავიანთი შემოსავლის ნაწილს გადასცემენ ახალგაზრდებს კრედიტის სახით, იმ იმედით, რომ სიბერეში აიღებენ ამ კრედიტის პროცენტს.

ეროვნულ აღიარებას სამუელსონმა მიაღწია 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც გახდა იმ დროისათვის სენატორისა და პრეზიდენტობის კანდიდატის, ხოლო შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტ ჯონ კენედის ეკონომიკური მრჩეველი. პოლიტიკური ხედულებებით ის მიეკუთვნებოდა „ახალი კურსის მიმდევარ ეკონომისტ-დემოკრატთა მემარჯვენე ფრთას“.

1970 წელს სამუელსონმა მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში „სტატიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორიის განვითარების და ეკონომიკური მეცნიერების ანალიზის საერთო დონის ამაღლებისათვის“. პრემიის მიღების შემდეგ მეცნიერი აგრძელებს მუშაობას თეორიული ეკონომიკის სფეროში.

სამუელსონი სხვადასხვა წლებში იყო ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის, ეკონომიკური საზოგადოების, საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი. ასევე ჰუგენგეიმის, ფორდისა და კარნეგის ფონდების სტიპენდიატი, სხვადასხვა აკადემიის წევრი, მინიჭებული ჰქონდა მრავალი უნივერსიტეტისა და კოლეჯის საპატიო სამეცნიერო ხარისხი.



ამერიკელი მეცნიერი **საიმონ კუზნეცი** დაიბადა 1901 წლის 30 აპრილს უკრაინის ქალაქ ხარკოვში. როცა საიმონი ექვსი წლის გახდა, მამამისი სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

1922 წელს საიმონმა და მისმა უმცროსმა ძმამ – სოლომონმა მოახერხეს ნიუ-იორკში მამასთან ჩასვლა. საიმონმა ჩააბარა კოლუმბიის უნივერსიტეტში; მიიღო ბაკალავრის ხარისხი, ხოლო 1924 წელს – ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი და გააგრძელა სწავლა კოლუმბიის უნივერსიტეტში ეკონომისტ – **უისლი მიტჩელის** ხელმძღვანელობით.

1926 წელს ს. კუზნეცს მიენიჭა დოქტორის ხარისხი. დისერტაციის სათაური იყო „ციკლური რხევები: შეერთებულ შტატებში საცალო და საბითუმო ვაჭრობა 1919-1925 წლებში“. ნაშრომი გამოხატავდა ავტორის მისწრაფებას, ეკონომიკის მომავალი განჭვრიტა სტატისტიკური ინფორმაციის დაგროვების საფუძველზე, ემპრიული გზით, ეკონომიკურ კანონზომიერებათა პროგნოზირების მეშვეობით.

კუზნეცის უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ მან შეიმუშავა ნაციონალური შემოსავლის გამოთვლის ისეთი მეთოდი, რომელიც ეფუძნება ერთიან თეორიულ კონცეფციას ნაციონალური შემოსავლის გამოთვლილ მოცულობასა და კეთლდღეობის შესაბამის დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

1931 წელს ს. კუზნეცი გახდა პენსილვანიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სტატისტიკის პროფესორი, მაგრამ მას ეკონომიკური გამოკვლევების ნაციონალურ ბიუროსთან კავშირი არ გაუწყვეტია. მოგვიანებით იგი გახდა სამხედრო მრეწველობის სამინისტროს დაგეგმვისა და სტატისტიკის ბიუროს დირექტორის მოადგილე (1944-1946 წლები).

თავისი ნაშრომების უმრავლესობაში ს. კუზნეცი განიხილავდა დანაზოგებისა და ინვესტიციების როლს, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის პროცესში კაპიტალდაბანდებათა და ტექნოლოგიური პროცესების მნიშვნელობას. მან ეს პრობლემები წინ წამოსწია წიგნში **„კაპიტალი და ამერიკული ეკონომიკა“**. ამ ნაშრომში მან აჩვენა, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაგროვების პროცესის სტაბილიზაცია განსაზღვრავს ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა წილს. ავტორმა ამ წიგნში შეიმუშავა კაპიტალდაბანდებათა მოცულობის განსაზღვრის მეთოდი; აჩვენა, რომ აქციონერთა კაპიტალის შესაბამისი მოცულობა ჩვეულებრივ იზრდება ეკონომიკური ზრდის პროცესში.

1971 წელს საიმონ კუზნეცს ნობელის პრემია მიენიჭა – „ეკონომიკური ზრდის ემპრიული დასაბუთებისა და განმარტებებისათვის, რომელთაც მივყავართ ეკონომიკური პროცესის უფრო ღრმა, ახლებურ გაგებამდე“. პრეზენტაციის დროს შვედეთის სამეფო სამეცნიერო აკადემიაში ითქვა: „კუზნეცის მუდმივი ორიენტირი იყო რაოდენობრივად განსაზღვრა ეკონომიკური სიდიდეები, შეეტანა მეტი სიცხადე სოციალურ ცვლილებათა პროცესებში. მას ხელთ ჰქონდა მართლაცდა, უმდიდრესი სტატისტიკური მასალა, რომელსაც იგი იმდენად ღრმად და დაწვრილებით ამუშავებდა, რომ თვითონ ეს მასალა ასხივებდა მძლავრ აზრს და სრულიად ახლებურ შუქს ჰფენდა ეკონომიკური ზრდის პრობლემებს“.

1971 წლიდან ს. კუზნეცი ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია.

საიმონ კუზნეცი გარდაიცვალა კემბრიჯში, 1985 წლის 10 ივლისს. მას მიღებული ჰქონდა მრავალი საპატიო ჯილდო, იყო ჰარვარდის, პრინსტონის, კოლუმბიის, პენსილვანიის და ებრაული უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი.



რუსული წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი **ვასილ ლეონტიევი** 1906 წელს სანკტ-პეტერბურგში დაიბადა. მამა – ვასილ ლეონტიევი პეტერბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი იყო, 1906 წელს მიუნხენის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. შეიძლება ითქვას, რომ შვილმა გააგრძელა მამის ტრადიცია. 14 წლის ლეონტიევი პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სწავლობდა ფილოსოფიას, სოციოლოგიას და ეკონომიკურ მეცნიერებებს. 1925 წელს მიიღო ეკონომისტის დიპლომი და მუშაობდა ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. მალე იგი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში წავიდა და ბერლინის უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე. სწავლასთან ერთად იწყებს პროფესიულ კარიერას, მუშაობს ეკონომისტ-მკვლევარად კილის უნივერსიტეტის მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუტში.

ოცდაორი წლის ასაკში ლეონტიევმა მიიღო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1929 წელს გაიგზავნა რკინიგზის სამინისტროს ეკონომიკურ მრჩევლად ჩინეთის მთავრობაში. დაბრუნების შემდეგ კვლავ აგრძელებს მუშაობას მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუტში.

ერთ-ერთი პირველის ტატია მომავალმა ნობელიანტმა საბჭოთა კავშირის 1923-24 წლების სახალხო მეურნეობის ბალანსის ანალიზს მიუძღვნა. ეს იყო პირველი ცდა, ციფრებით გამოეხატათ საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება და განაწილება. 1931 წელს მიიწვიეს შეერთებული შტატების ეკონომიკურ კვლევათა ეროვნულ ბიუროში სამუშაოდ. მალე მასთან მშობლებიც გადავიდნენ.

1932 წელს ლეონტიევი მუშაობას იწყებს ჰარვარ-

დის უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის სპეციალისტად, იმავე წელს აყალიბებს კვლევით ჯგუფს „ეკონომიკურ კვლევათა ჰარვარდის პროექტის“ სახელწოდებით.

ლეონტიევის კარგი მათემატიკური მომზადება და მკვლევარის ნიჭი ბრწყინვალედ გამომჟღავნდა თეორიის „დანახარჯი-გამოშვება“ შექმნაში, ეს იყო მისი უმთავრესი მიღწევა, რისთვისაც იგი მომავალში წარდგენილ იქნა ნობელის პრემიაზე. თეორიას საფუძვლად დაედო კონცეფცია, რომლის თანახმადაც არსებობს უწყვეტი კავშირი პროდუქციის გამოშვებასა და ნედლეულის, სამუშაო ძალასა და სხვა დანახარჯებს შორის როგორც ცალკეულ დარგში, ისე მთელს სახალხო მეურნეობაში. იმის საჩვენებლად თუ რა კავშირია ეკონომიკის სხვადასხვა ელემენტს შორის, ლეონტიევმა მთელი სახალხო მეურნეობა დიდი საჭადრაკო ცხრილის სახით წარმოადგინა.

1973 წელს ვასილ ლეონტიევს მიენიჭა ნობელის პრემია „სხვადასხვა საწარმო პროცესებს შორის კავშირის შესწავლისათვის“.

ამავე წელს ლეონტიევი ჩადის მშობლიურ სანკტ-პეტერბურგში (მაშინ ლენინგრადში) და მონაწილეობს ლეონტიევის ფონდის შექმნაში, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო რუსული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის.

1975 წელს მეცნიერი გადადის ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, სადაც სამი წლის შემდეგ აარსებს ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტს. 1986 წლამდე ლეონტიევი ამ ინსტიტუტის დირექტორია. 80 წლის ასაკში ტოვებს ადმინისტრაციულ სამუშაოს, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას.

1932 წელს ლეონტიევმა იქორწინა პოეტ ესტელ ჰ ელენ მარქსთან. მათ შეეძინათ ქალიშვილი – სვეტლანა ალპერსი, რომელიც შემდეგში ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის პროფესორი გახდა.

ვასილ ლეონტიევი 1999 წელს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა.[1]

1 ნარკვევი შედგენილია ამავე სახელწოდების გამოცემის (რედ. დოც. ა. გრიშაკაშვილი, თბ., „ინტელექტი“, 2005) და ინტერნეტმასალების მიხედვით.

ჩვენი ავტორები

რევაზ კაკულია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

იაკობ მესხია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ნუგზარ თოდუა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ნიკო ჩიხლაძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

გიორგი ღავთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

კახა გაბელაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რამაზ ნამიჭეიშვილი – სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი

თინათინ გუგეშაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ვაჟა გურაბანიძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რამაზ იაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლელა ბახტაძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დალი სოლოღაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

აზა იფშირაძე – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი


ბორის ჭიჭინაძე – სოხუმის აკ. ჩხარტიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის მასწავლებელი

მაკატერინე უდესიანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

თეა ვალიშვილი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

ახალი წიგნები

ნიკო ჩიხლაძე
„ეკონომიკა. სავარჯიშოების და ტესტების კრებული“



რეცენზენტი:
ე.მ.დ., პროფესორი, საქ. მეცნ. აკადემიის წ/კორესპონდენტი **ლეო ჩიქავა**

რედაქტორი:
ე. მ. დ., სრული პროფესორი **გიორგი ლავთაძე**

ნაშრომი განკუთვნილია ზოგადეკონომიკური დისციპლინების ცალკეული საკითხებისა და პრობლემების დეტალური გაშუქებისათვის. ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს საგანმანათლებლო სივრიცის უმაღლესი საფეხურის ევროპული კრედიტების სისტემასთან დაახლოების აუცილებლობა. სახელმძღვანელო ერთერთი პირველი მცდელობაა ეკონომკურ დისციპლინათა სწავლებისას აქტიურად დაინერგოს ტესტებისა და სავარჯიშოების სისტემა, რაც პოზიტიურად იმოქმედებს სასწავლო პროცესში შუალედური და შემაჯამებელი ტესტირებების ეფექტიანად წარმართვაზე.

ISBN 99928-79-04-9
2006 წ. – 240 გვ.
ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი

ვაჟა გურაბანიძე, ნუნუ ჭიჭოძე
„შრომითი რესურსების მენეჯმენტი“




რეცენზენტები:
ე. მ. კ., ასოცირებული პროფესორი **ემზარ ჯულაყიძე**
ე. მ. კ., ასოცირებული პროფესორი **გურამ უფლისაშვილი**

ავტორთა მიზანია ახსნან ფირმებსა და საწარმოებში შრომითი რესურსების მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ასევე შრომითი რესურსების მართვის თავისებურებები. მას თან ერთვის სხვადასხვა ხასიათის ტესტები. ნაშრომი, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის და პროაქტიკოსი სპეციალისტებისათვის, განხილულია შრომითი რესურსების მენეჯმენტის ისეთი საკითხები, როგორიცაა შრომითი რესურსების მენეჯმენტის არსი, მნიშნელობა და ძირითადი ფუნქციები, შრომითი რესურსების მართვის კონცეფციები და ძირითადი მიდგომები, სტრატეგიული მართვა, სამუშაოს, როლისა და კომპეტენტურობის ანალიზი, კარიერის მართვა და ა. შ.

ISBN 99928-79-75-0
2006 წ. – 208 გვ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი წიგნები



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2007 წ. – 100 გვ.

დალი სოლოლაშვილი „საბანკო დაწესებულებებში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა კორესპონდენცია“

რეცენზენტები:

ე. მ. კ., სრული პროფესორი **გიორგი ღავთაძე**

ე. მ. კ., ასოცირებული პროფესორი **რამაზ იაშვილი**

რედაქტორი:

ე. მ. დ., ასოცირებული პროფესორი **ლამარა ჟოჟიაური**

ნაშრომი შედგენილია საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და მისი გამოყენების ინსტრუქციის მიხედვით. იგი განკუთვნილია პრაქტიკოსი მუშაკებისა და საბანკო დაწესებულებებში ბუღალტრული აღრიცხვით დაინტერესებული პირებისათვის.

ნაშრომის გამოყენება ხელს შეუწყობს საფინანსო-ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს და ბუღალტერთა მომზადებისა და გადამზადების კურსების მსმენელებს საბანკო დაწესებულებებში ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკული კურსის შესწავლაში.

კახა კუპატაძე „იმერეთის მხარის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის ანალიზი 2001-2005 წლებში“

რეცენზენტები:


ე. მ. კ., სრული პროფესორი **გიორგი ღავთაძე**

ე. მ. კ., ასოცირებული პროფესორი **იზოლდა გაბადაძე**

რედაქტორი:

ე. მ. კ., ასოცირებული პროფესორი **ინეზა წერეთელი**

ნაშრომი მორიგი მცდელობაა ქართულენოვან ეკონომიკურ ლიტერატურაში საბიუჯეტო რეალობისა და შესაძლებლობების გაშუქებისა. კვლევის ობიექტის რიგიონულ ჭრილში გადმოცემა ორგანულად უკავშირდება ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ ფინანსურ ბაზას, მისი შეფასებისა და გაზრდის შესაძლებლობას. ნაშრომი მოიცავს საკმაოდ დიდ მონაცემთა ბაზას, რომელიც დაეხმარება პროფესიულ მკითხველს ზოგადი შარმოდგენა მიიღოს რეგიონის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.



ISBN 99940-52-34-9
2006 წ. – 100 გვ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ დაიბეჭდა შპს „ენციკლოპედია „ქუთაისის“ მიერ. ქუთაისი. რუსთაველის 3. ტელ.: 4-57-83, 4-47-14, 893-30-57-08